

მერაბ ურუშაძე

**გლობალიზაცია –  
გლობალური ტერორიზმის  
საფრთხე**



**გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2007**

რედაქტორი მამია ებრაელიძე

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

© მერაბ შრუშაძე, 2007

ISBN 978-99940-61-19-8

ავტორისაგან .....	5
შესავალი .....	7
1. ტერმინ „ტერორიზმის“ გაგებისათვის .....	14
2. „ტერორიზმი“ თანამედროვე საზღვარგარეთულ სამეცნიერო ლიტერატურაში .....	39
„ტერორისტის ფსიქოლოგია“ და „ყურანი“ .....	59
მასმედია და კომუნიკაციები ტერორიზმის კონტექსტში .....	80
3. გლობალიზაცია და „მუსლიმანური ტერორიზმი“ აღმოსავლეთის ქვეყნები და დასავლეთის ტრანსნაციონალური კომპანიები .....	91
მაკმადიანური ქვეყნების პოლიტიკური აქტივიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ .....	99
„შარიათი“ და თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაცია .....	102
ისლამი და გლობალიზაციის პოლიტიკა .....	109
დასავლეთის უკიდურესი რაციონალიზაცია და დეჰუმანიზაცია .....	111
მუსლიმანური განათლების სისტემა და რელიგიური ფანატიზმი .....	116
გლობალიზაცია – გლობალური ტერორიზმის საფრთხე .....	124

დასკვნები და რეკომენდაციები .....	138
Глобализация – опасность глобального терроризма [Краткое изложение] .....	148
Globalization – Global Terrorist Threat (Summary) .....	182
2005 წლის 11 ოქტომბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ვაშინგტონის ანტიტერორისტული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სია.....	190
მითითებული ლიტერატურის საძიებელი .....	192
გამოყენებული ლიტერატურა .....	205

ნიუ-იორკში 2001 წლის 11 სექტემბრის მშვენიერი, მზიანი დილა თენდებოდა. ჰაერი იმდენად ნათელი და გამჭვირვალე იყო, რომ მეტრო „დ“ მატარებლის (D train) ვაგონიდან, რომელიც მანჰეტენის ხიდზე გადადიოდა, მკაფიოდ მოჩანდა „ვერადანოს“ ხიდი, მანჰეტენის ყურე, ბორნები, პატარა-პატარა სატვირთო გემები და ქალაქის „დაუნთაუნი“.

ვცდილობდი ჩემი პირადი მლელვარება მომეთოკა — მე ხომ დღეს ახალი პროფესია უნდა მომნიჭებოდა — აუდიოინჟინერი ვხდებოდი. ამ დღეს აუდიოგამოკვლევის ინსტიტუტში ბოლო გამოცდა მქონდა. ნიუ-იორკისათვის დამახასიათებელი ტემპით საქმიანად მივაბიჯებდი “Greenwich Village“-ში და თავში უამრავი აზრი მიტრიალებდა — მეცადინეობაში რამდენი დამე თეთრად გამითენებია, რამდენი სიძნელე დამიძლევია, და აი დადგა დღეც, როდესაც ჩემი შრომა და მონღომება კეთილად უნდა დაგვირგვინებულიყო. იმ მომენტში ვერც კი წარმომედგინა, რომ ეს იქნებოდა დღე, რომელსაც მსოფლიო ვერასოდეს დაივიწყებდა...

დაახლოებით ცხრა საათსა და თხუთმეტ წუთზე ოთხი სამოქალაქო თვითმფრინავი, რომლებიც ნიუარკის, ბოსტონისა და ვაშინგტონის აეროპორტებიდან გამოფრიადა, ტერორისტებმა ერთდროულად გაიტაცეს. ამ თვითმფრინავების მგზავრთა მობილური ტელეფონებით გადმოცემული ცნობები მოწმობენ, რომ თითოეულ თვითმფრინავში 3-6 კაციანი ტერორისტული ჯგუფი მოქმედებდა. ორი თვითმფრინავი ნიუ-იორკში მდებარე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის — „ტყუპების“ ცათამბჯენებს შეასკდა, მესამე აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში მდებარე პენტაგონის შენობას დაეჯახა, მეოთხე კი, რომლის მგზავრებმაც ტერორისტებს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს, პენსილვანიის შტატში მინდორს დაენარცხა. ამ საზარე-

ლი ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა 2801 უდანაშაულო ადამიანი, ხოლო 70 უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

დღესაც თვალწინ მიდგას ადამიანთა გაოგნებული სახეები, თავზარდაცემულნი რომ მისჩერებოდნენ „ტყუპებს“, რომლებიც, შავ კვამლში გახვეულნი, სანთელივით იღვენტებოდნენ. ამ საზარელი სანახაობის თვითმზილველი მეც აღმოვჩნდი. ისეთი განცდა დამეუფლა, რომ იმ წუთებში თითქოს მსოფლიო შეიცვალა, შეიცვალა ყველა და ყველაფერი, მათ შორის მეც.

ტერორიზმის პრობლემები მანამდეც მაინტერესებდა და ბევრი რამ უკვე ვიცოდი მისი ისტორიიდან, მაგრამ 11 სექტემბრის ტრაგიკულმა მოვლენებმა მტკიცედ გადამაწყვეტინეს საფუძვლიანად შემესწავლა და გამეაზრებინა, თუ რა ფენომენია ტერორიზმი, რა ფაქტორები განსაზღვრავენ მის წარმოშობას და რა უნდა ვიღონოთ მისი თავიდან აცილებისათვის.

## შესავალი

XX საუკუნის უდიდესმა აღმოჩენებმა, ტექნიკისა და საკომუნიკაციო ქსელების განვითარებამ, ცხადია, დიდად შეუწყო ხელი კაცობრიობის პროგრესსა და ქვეყნების დაახლოებას, მაგრამ უამრავი მწვავე პრობლემაც წარმოშვა (საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგია, პლანეტის მოსახლეობის ზრდა, ეპიდემიები და სხვ.).

დღეს ყოველი ჩვენგანი ატომური, ბიოლოგიური, ქიმიური იარაღის გამოყენების საშიშროების წინაშე დგას, სულ ერთია, ეს მოხდება შემთხვევით, თუ ვიღაცის წინასწარი განზრახვით. ხალხის სასიცოცხლო, მტკივნეულ პრობლემებს მრავალ ქვეყანაში ხელისუფლება უსულგულოდ ეკიდება ან ისინი, საერთოდ, იგნორირებულა. ამასთანავე ჩვენ მოწმენი ვხდებით, თუ როგორ ყალიბდება და ვითარდება სხვადასხვა სისტემები, როგორ იკარგება მრავალფეროვნება და ინდივიდუალობა, როგორ ხდება სახელმწიფოებში ხელისუფლების სულ უფრო მეტი ცენტრალიზება და როგორ იქმნება რაღაც ერთი, უფორმო, ადვილად მანიპულირებადი მექანიზმი.

დღესდღეობით მასმედია მთელ მსოფლიოში ერთ სტილში ფუნქციონირებს. მულტინაციონალური კორპორაციული სისტემები და რეკლამის საშუალებები ერთმანეთს სულ უფრო მეტად ემსგავსება — მათი მისია სწორედ ის არის, რომ შეიქმნას ერთი საერთო სამომხმარებლო ბაზარი. სხვადასხვა ქვეყნის „ელიტა“ იყენებს სოციალური მეცნიერების იდენტურ აბსტრაქტულ ტერმინოლოგიას — „ლეგიტიმურობა“, „ლუსტრაცია“, „კანონის უზენაესობა“, „რეიტინგი“, „სიღარიბე“, „უსახლკარობა“... იგი მიმართავს იდენტურ პოლიტიკურ მანევრებსა და ტექნოლოგიებს არსებული სისტემის გახანგძლივებისა და მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის.

რაც უფრო აქტიურად მიმდინარეობს ხელისუფლების ცენტრალიზების პროცესი და ძლიერდება ბიუროკრატია, მით უფრო კნინდება ინდივიდისა და საზოგადოების როლი, ეს კი, თავის მხრივ, იწვევს გარკვეული ჯგუფების ადამიანთა აქტივიზაციასა და გარდაუვალ რეაქციას — ძალადობას.

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მოვლენა, რომელიც არღვევს სახელმწიფოებს შორის არსებულ სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირ-ურთიერთობებს, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მსოფლიოს თავზე და მას განადგურებით ემუქრება — ტერორიზმია.

ტერორიზმის, კერძოდ, საერთაშორისო ტერორიზმის გააქტიურებას დიდად შეუწყო ხელი ჯერ კოლონიურმა და ანტიკოლონიურმა, ხოლო შემდეგ ნეოკოლონიურმა და ანტინეოკოლონიურმა მოძრაობებმა.

ხშირია შემთხვევები, როცა ქვეყნებში, რომლებიც ტერორისტების „სამიზნეს“ წარმოადგენენ, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით („შემინებულთათვის ყველა რევოლუციონერი ტერორისტია“<sup>1)</sup>) ხდება ჯერ დემოკრატიის შეზღუდვა, შემდეგ ხელისუფლების ცენტრალიზება, რასაც, საბოლოო ანგარიშით, დიქტატურისაკენ მიჰყავს ეს ქვეყნები. ძალადობა იქცევა მართვის ჩვეულებრივ ბერკეტად — იქმნება ძლიერი მაკონტროლებელი აპარატი, იზრდება კაპიტალდაბანდებები ახალი თავდაცვითი თუ სათვალთვალო ტექნოლოგიების შესაქმნელად, ყოველივე ეს კი ძალზე მომგებიანია კომერციული საქმიანობისათვის. უდიდესი მოგება მოაქვს იარაღით ვაჭრობას, ოფიციალურ პირთა გატაცების საწინააღმდეგო დაზღვევას, მედიის მიერ ტერორისტული აქტების სენსაციურად გაშუქებას და სხვ.

დღის წესრიგში დგება ქვეყნებს შორის ახალი ურთიერთობების, ახალი პოლიტიკური მიდგომების ჩამოყალიბების აუცილებლობა, მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ამოქმედე-



ბა იმ მიზნით, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა ტრადიციებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით შესაძლებელი გახდეს მრავალი სასიცოცხლო პრობლემის გადაწყვეტა.

XX საუკუნის 30-იან წლებამდე ტერორიზმს განიხილავდნენ როგორც არასამართლებრივ მოვლენას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ცალკეულ პიროვნებათა (ძირითადად, სახელმწიფო მეთაურთა და სახელმწიფო მოღვაწეთა) სიცოცხლესა და ქონებას. მაგრამ, როცა ტერორი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა (სსრკ), როცა ფაშისტური გერმანია „მხარს უჭერდა და ამყარებდა „ახალ წესრიგს“ ევროპაში“ (რუზველტი), ქვეყნები უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ: ტერორი ძირს უთხრიდა არა მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის სტაბილურობას, არამედ თვით სახელმწიფოთა სუვერენიტეტს.

წინათ ტერორისტული ქმედებები ფოკუსირებული იყო უშუალოდ ხელისუფლების წარმომადგენლებზე (მაგ., XIX საუკუნეში რუსეთში ნაროდოვოლცების მიერ დიდ თავად სერგეიზე დაგეგმილი ტერორისტული აქტი ჩაიშალა იმის გამო, რომ მასთან ერთად ეტლში მისი ცოლი, შვილები და ძმისშვილები იმყოფებოდნენ) ან სტრატეგიულ ობიექტებზე: სამხედრო ყაზარმებზე, ციხესიმაგრეებზე, პოლიციის განყოფილებებსა და სხვ. მძევლების აყვანა ხდებოდა წინასწარდაგეგმილი გამოსყიდვის მოთხოვნით ან იძულებითი მოლაპარაკების მიზნით. დღეს კი იშვიათობას არ წარმოადგენს ტერორისტთა მიერ ჩადენილი ისეთი ქმედება, როგორიცაა ბომბის დეტონირება ლონდონის „ჰეროდის“ სავაჭრო ცენტრში, ხელყუმბარის შეგდება რომის „ვია ვენეტოს“ ტურისტულ კაფეში, სადაც დაიღუპა უამრავი ადამიანი, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონიათ არც ხელისუფლებასთან და არც პოლიტიკასთან.

უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი შემთხვევითი არ არის. მეამბოხეთა ან აჯანყებულთა მიერ გამოყენებული მასობრივი მკვლევლობების სტრატეგია გამოწვეულია არსებული კონვენ-

ციური ომის ლეგიტიმური სამხედრო ტაქტიკით (სევასტოპოლის, სტალინგრადის, ღრეზდენისა და სხვა ქალაქების მასობრივი დაბომბვა, ჰიროსიმა და ნაგასაკის ატომური ტრაგედია და სხვ.). რასაკვირველია, ომს მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი ყოველთვის თან ახლავს, მაგრამ მსოფლიო საზოგადოების მხრივ უდანაშაულო ხალხის მასობრივ განადგურებაზე რეაქციის უგულებელყოფა XX საუკუნემ მოიტანა.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების („ირგუნ ცვაი ლეუმის“, „ლენის“, ანუ „შტერნის ბანდის“) აქტიური ზემოქმედების შედეგად შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო. მსოფლიოში არსებობს კიდევ იმის არაერთი მაგალითი, როცა კოლონიებმა ტერორის გზით შეძლეს თავისუფლების მოპოვება და საკუთარი ეროვნული სახელმწიფოების შექმნა. ტერორი „უკიდურესობის პოლიტიკად“ არის მიჩნეული, მაგრამ, რაგინდ ამალღებულ მიზნებსაც არ უნდა ისახავდეს, „კარგი ტერორი“ არ შეიძლება არსებობდეს, როცა უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი მასობრივი მკვლევლობების სტრატეგიით წინასწარ არის გამიზნული და ადამიანთა ფსიქოლოგიურ შოკირებას, პანიკასა და საზოგადოებაში შიშის სინდრომის დანერგვას ემსახურება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა გაიზარდა სოციალისტური ქვეყნების რიცხვი, ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის — კაპიტალისტურისა და სოციალისტურის — დაპირისპირებამ მრავალი წინააღმდეგობა წარმოშვა. იმის შიშით, რომ საბჭოთა კავშირიდან მოდიოდა მსოფლიოს „გაწითლების“ საფრთხე, დასავლეთის ქვეყნების, მათ შორის აშშ-ის, სპეცსამსახურები აქტიურ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ, ცდილობდნენ სახელმწიფო მმართველობიდან ჩამოეცილებინათ მათთვის არასასურველი პოლიტიკური ფიგურები<sup>2</sup>. 1977 წლის ჟურნალი „US News And World Report“ იუწყებოდა, რომ 1961–1977 წლებში აშშ-ის ცენტრა-

ლურმა სადაზვერვო სამმართველომ (CIA) აშშ-ისათვის არასასურველი საზოგადო მოღვაწეებისა და მთავრობების წინააღმდეგ საზღვარგარეთ 900-მდე ოპერაცია ჩაატარა<sup>3</sup>. ცნობილია ისიც, რომ, ოფიციალურ პირთა აღიარებით, აშშ-მა დიდად შეუწყო ხელი სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული მრავალი ტერორისტული ორგანიზაციის (მათ შორის „თალიბანისა“ და სხვ.) შექმნასა და საქმიანობას.

ტერორისტული აქტების რიცხვმა განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იმატა როგორც ევროპისა და აზიის, ასევე ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. თუ მანამდე წელიწადში 300-მდე შემთხვევა ხდებოდა<sup>4</sup>, 1980–1987 წლებში ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და დღეს ტერორისტული აქტები თითქმის ყოველდღე ხდება. ჩამოყალიბდა უამრავი ტერორისტული ორგანიზაცია, მართალია, სხვადასხვა მოტივაციითა და სხვადასხვა იდიოლოგიურ საფუძველზე, მაგრამ მათი საბოლოო მიზანი პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება იყო და არის. ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნება: „ეტა“ (ბასკეთი), „წითელი ბრიგადები“ (იტალია), „ასალა“ (სომხეთის განმათავისუფლებელი საიდუმლო არმია), „ირა“ (ირლანდია), „სენდერო ლუმინოსი“ (პერუ), „თალიბანი“ (ავღანეთი), „ჰეზბოლა“ (პალესტინა), „ჰამაზი“ (მუსლიმანური ორგანიზაცია), „წითელი არმია“ (იაპონია), „აქსიონ დირექტი“ (საფრანგეთი), „მებრძოლი კომუნისტური ჯგუფები“ (ბელგია), „სიკვდილის ესკადრონები“ (გვატემალა), „სიქების სეპარატისტული დაჯგუფება“ (ინდოეთი), „შავი ინტერნაციონალი“, „ცისფერი დივიზია“, „კომანდო 41“ (ესპანეთი). აშშ-ში დღესაც არსებობენ ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არ არის აკრძალული: „ებრაელთა დამცველები“, „გაერთიანებული ებრაული იატაკქვეშეთი“, „ებრაელთა უშუალო მოქმედება“, „მოხალისეთა ორგანიზაცია პორტო-რიკოს რევოლუციისათვის“, „გუსანოსი“ (კუბა) და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით რთულდება სიტუაცია, როდესაც ტერორისტული ჯგუფები ერთიანდებიან, ქმნიან სპეციალურ ცენტრებს თავიანთი მოქმედების კოორდინაციის, ტერორისტების გაწვრთნის, ფინანსური და ტექნიკური ურთიერთდახმარებისათვის. ასეთი ცენტრები არსებობენ ლიბანსა და სირიაში, სადაც წვრთნიან „რევოლუციონერებს“ დასავლეთ ევროპიდან, აფრიკიდან, ლათინური ამერიკიდან, აზიიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდანაც კი<sup>5</sup>.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა შეძრა მთელი მსოფლიო და ყველა დაარწმუნა იმ ჭეშმარიტებაში, რომ, თუკი ისეთმა ძლიერმა შესახელმწიფომ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, ვერ შეძლო საკუთარი ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რა შეიძლება დაატყდეს თავს ნებისმიერ სხვა ქვეყანას, თუ ტერორიზმმა გლობალური მასშტაბები მიიღო – კაცობრიობის წინაშე დადგება არა მხოლოდ საერთაშორისო სტაბილურობის, არამედ, საერთოდ, მთელი პლანეტის ყოფნა-არყოფნის საკითხი (თუ გავითვალისწინებთ ატომური იარაღის გამოყენების საფრთხეს). მისი გადაჭრა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ სახელმწიფოები უარს იტყვიან „ორმაგ სტანდარტებზე“ და საერთო ძალისხმევას მიმართავენ ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად. მაგრამ იმისათვის, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტიანად წარიმართოს, ჯერ უნდა გაირკვეს, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, მსოფლიოში მიმდინარე რა პროცესებმა განაპირობეს საერთაშორისო ტერორიზმის ასეთი გამძაფრება.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმი მრავალპლანიანი მოვლენაა – იგი გადაჯაჭვულია ეროვნულ, რელიგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ, კულტურულ, სამართლებრივ და მრავალ სხვა პრობლემასთან. თითოეული ამათგანი სპეციალურ, სიღრმისეულ ჩაწვდომას მოითხოვს, რაც ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებლად მიგვაჩნია. მაგრამ ჩვენ

შევეცადეთ ამჟამად ჩვენთვის ხელმისაწვდომ მონაცემთა საფუძველზე, ჩამოგვეყალიბებინა ჩვენეული პლატფორმა და რეკომენდაციები, რომლებიც, ვფიქრობთ, ერთგვარ დახმარებას გაუწევენ პოლიტიკოსებს, ტეროლოგებს, ფსიქოლოგებსა და ექსპერტებს, ტერორის თავიდან აცილების მიზნით, წინასწარ განჭვრიტონ ის უარყოფითი რეაქცია, რაც შეიძლება მოჰყვეს რადიკალური სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული პოლიტიკის გატარებას.

ტერმინი „ტერორიზმი“ წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „terror“, რაც ნიშნავს „შიშს“, „ძრწოლას“. ტერორისტული ქმედებების გააქტიურებასთან ერთად გაჩნდა ცნებები: „ტერორისტული აქტი“, „სახელმწიფო ტერორიზმი“, „საერთაშორისო ტერორიზმი“, „საერთაშორისო მნიშვნელობის ტერორისტული აქტი“ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმმა მეტად საშიში მასშტაბები მიიღო, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების დამლევს და 70-იანი წლების დამდეგს, როდესაც, საერთოდ, ტერორიზმისა და, კერძოდ, საერთაშორისო ტერორიზმის ინტენსიური შესწავლა დაიწყო<sup>1</sup>, პოლიტოლოგებმა, სხვადასხვა სააგენტოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ვერ ჩამოაყალიბეს ტერმინის ყველასათვის მისაღები განსაზღვრება. ამჟამადაც ვერ ხერხდება „ტერორიზმის“ ამომწურავი განმარტების დადგენა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, „ტერორი (ლათინურად) ფიზიკური ძალადობაა (მკვლელობა...), რომელიც გამოყენებულია კლასობრივი ან პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დაშინების მიზნით“<sup>2</sup>.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ განმარტებით, „ტერორისტული აქტი პოლიტიკური მიზნით სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სიცოცხლის ხელყოფა, ანდა სხვა ტიპის ძალადობაა მის მიმართ“...

საერთაშორისო სამართალი ტერორისტულ აქტად მიიჩნევს „სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრის მკვლელობას, ანდა სხვაგვარ ხელყოფას ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკაზე ზემოქმედებისა და ზეწოლის მიზნით. ტერორიზმი ზოგიერთი იმპერია-

ლისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპად იქცა<sup>3</sup>.

ვ. ი. დალის რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში ხაზგახმულია ტერორიზმის ძირითადი მიზანი – „ძალმომრეობა და სიკვდილით დაშინება“.

ს. ი. ოუეგოვის<sup>4</sup> განმარტებით, „ტერორი არის ფიზიკური ძალმომრეობა, რომელიც პოლიტიკური მეტოქეების ფიზიკურ განადგურებას ითვალისწინებს“.

„მოკლე პოლიტიკური ლექსიკონი“ ტერორიზმს განმარტავს როგორც დაშინების, ძალმომრეობისა და ანგარიშსწორების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია პოლიტიკური მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურებისკენაც კი<sup>5</sup>.

ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონი „ტერორისა“ და „ტერორიზმის“ შემდეგ განმარტებას გვაძლევს: „ტერორი“ – საშიში, უდიდესი შიშის მდგომარეობა, ინტენსიური შიშიანობა, საშინელება. ტერორიზმი – ტერორის სისტემა: 1) დაშინების გზით მართვა; 2) პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს თავზარი დასცეს მათ, ვის წინააღმდეგაც ის არის მიმართული“<sup>6</sup>.

უებსტერის ლექსიკონის მიხედვით, ტერორიზმი არის „სისასტიკისა და მუქარის გამოყენება, დაშინება ან იძულება, განსაკუთრებით, პოლიტიკური მიზნებით“ და „მართვის ტერორისტული მეთოდი ან მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება“. „ჩვეულებრივ, ტერორისტი არის იმ ჯგუფის წევრი, რომელიც იყენებს ან იცავს ტერორიზმს“<sup>7</sup>.

საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი ტერორიზმს განიხილავს როგორც საერთაშორისო მასშტაბით საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა ერთიანობას, რომელსაც შედეგად მოაქვს ადამიანთა უაზრო მსხვერპლი, სახელმწიფოთა და მათ წარმომადგენელთა ნორმალური დიპლომატიური საქმიანობის, საერთაშორისო კონტაქტებისა და შეხვედრათა განხორციე-

ლების შეფერხება, სახელმწიფოთა შორის სატრანსპორტო კავშირების რღვევა<sup>8</sup>.

ვ. მალისონისა და ს. მალისონის (აშშ) თვალსაზრისით, „ტერორი არის უკიდურესი ძალმომრეობისა და ძალის მუქარის სისტემატური გამოყენება საზოგადოებრივი ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“<sup>9</sup>.

რ. არონი (აშშ) შემდეგნაირად განსაზღვრავს ცნებას „ტერორიზმი“: „ტერორიზმი არის ძალმომრეობის აქტი იმ შემთხვევაში, როცა მისი ფსიქოლოგიური ეფექტი მისი ნამდვილი ფიზიკური შედეგების უკუპროპორციულია“<sup>10</sup>.

ე. არეჩაგა (ინდოეთი) ტერორიზმს განმარტავს როგორც აქტებს, რომლებიც, თავისთავად, წარმოადგენენ სისხლის სამართლის დანაშაულის ტრადიციულ ფორმებს, მაგრამ, რომლებსაც სწადიან წინასწარი განზრახვით იმ მიზნით, რომ ორგანიზებულ საზოგადოებაში გამოიწვიონ პანიკა, უწესრიგობა და ტერორი, დაანგრიონ საზოგადოებრივი წესრიგი, საზოგადოებრივ ძალებში გამოიწვიონ ტერორის საწინააღმდეგო ქმედებების პარალიზება და მოახდინონ საზოგადოების ტანჯვისა და უბედურების ინტენსიფიცირება<sup>11</sup>.

ტეხასის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის ჰ. ჰ. ა. კუპერის აზრით, „ტერორიზმი არის ადამიანთა მიერ მასობრივი საზოგადო შიშის დანერგვა სხვა ადამიანებზე კონტროლის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების მიზნით“<sup>12</sup>.

ამერიკელი მეცნიერები თ. არნოლდი და მ. კენედი აღნიშნავენ, რომ ტერორიზმის მართებული გაგებისათვის აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვებს: „ვინ, როგორ, სად, ვისი ინტერესების გამო?“<sup>13</sup>.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი დეფინიციებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერორი, ტერორიზმი, ტერორისტული აქტი გაგებულია როგორც ძალისმიერი მეთოდების გამოყენება პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ე. ი. კონკრეტული საზოგადოების ან იმ კონკრეტული ფიზიკური პირის მიმართ, რომე-



ლიც სახელმწიფო, პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებს.

მაგრამ ტერორიზმმა, რომელიც ადრე ცალკეული სახელმწიფო მოღვაწეების წინააღმდეგ იყო მიმართული და მიზნად ისახავდა ერთეულების სასტიკი დასჯით ათასობით ადამიანის დაშინებას (ჩინური ანდაზისა არ იყოს: „მოკალი ერთი, დააშინე ათი ათასი“), მიმართულება შეიცვალა და უდანაშაულო ადამიანთა დიდ მსხვერპლზე აიღო გეზი (ჰოლოკოსტი, ჰიროსიმა, ნაგასაკი, 11 სექტემბრის ტერაქტი და სხვ.). სწორედ ამიტომ იქცა ტერორიზმი გლობალურ საშიშროებად.

7 ექვალ აჰმედის (Ahmad, Eqbal)<sup>14</sup> აზრით, არსებობს ტერორიზმის ხუთი სახეობა: 1) სახელმწიფო ტერორიზმი, 2) რელიგიური ტერორიზმი, 3) კრიმინალური ტერორიზმი, 4) პათოლოგიური ტერორიზმი, 5) პოლიტიკური ტერორიზმი.

ტერორიზმის ზემოხსენებულ სახეობებს შორის რელიეფურად იკვეთება ორი უმთავრესი: „სახელმწიფო ტერორიზმი“ და „საერთაშორისო ტერორიზმი“. იმისათვის, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტიანად წარიმართოს, აუცილებელია თითოეული მათგანის სპეციალური გამოკვლევა, იმ ზღვა მასალის დამუშავება, რომელიც კაცობრიობის ისტორიას საუკუნეების მანძილზე დაუგროვდა. რა თქმა უნდა, ამის შესრულება ერთ ნაშრომში ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ შემოვიფარგლებით 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად განვითარებული მოვლენების შესახებ არსებული მასალის ანალიზით. საქმე ისაა, რომ ამ ტერაქტმა მკაფიოდ დაანახვა მსოფლიოს, თუ რა დიდ საშიშროებას წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის და, საბოლოო ანგარიშით, მთელი პლანეტის არსებობისათვის (ატომური დარტყმები, ქიმიურ-ბიოლოგიური ომი და სხვ.).

ტერორიზმის სხვადასხვა სახეობათა დეფინიცია მოწმობს, რომ ხშირად საქმე გვაქვს ტერმინების „სახელმწიფო ტერორიზმის“ და „საერთაშორისო ტერორიზმის“ აღრევასთან. სა-

ჭირო ხდება მათი გამიჯვნა, თუმცა მათ შორის მკვეთრი ზღვარის გატარება ვერ ხერხდება.

1987 წლის მარტში ჟენევის საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული დეკლარაცია შემდეგნაირად განმარტავს „სახელმწიფო ტერორიზმს“: „ეს არის გაბატონების მიზნით დამყარებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, შიშის გარემოს შექმნით, ყველა საშუალების გამოყენებით, მათ შორის მკვლელობების, სიკვდილით მასობრივი დასჯის, წამების, ფიზიკური ზემოქმედებისა... და სხვათა გზით“<sup>15</sup>.

რუსი მეცნიერი ვ. ი. ბლიშჩენკო წერს: „სახელმწიფო ტერორიზმი უნდა გავიგოთ როგორც სახელმწიფოს, მისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების ქმედებათა ერთიანობა, რომელიც მიმართულია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ფიზიკური და მორალური განადგურების (ან ასეთი განადგურების მუქარის) გზით ცალკეულ პირთა, სოციალურ ჯგუფთა, საკუთარი ხალხისა და სხვა ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ“<sup>16</sup>.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო ტერორიზმი მიმართულია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ასეთი რეჟიმები თავს იმართლებენ იმით, რომ ექსტრემალური მეთოდები გამოიყენება სახელმწიფოებრივი მთლიანობის შესანარჩუნებლად, მხოლოდ თავდაცვის მიზნით. თუ საერთაშორისო ტერორიზმი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ექცევა, რატომღაც სახელმწიფო ტერორიზმი („წითელი ტერორი“ საბჭოთა კავშირში, ტერორი ფაშისტურ გერმანიაში, ჩილეში, იოგოსლავიაში და სხვ.) იშვიათად ან საერთოდ არ ხდება ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მსჯელობის საგანი. მართალია, ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს კონკრეტული ადამიანების, ცალკეული ჯგუფების, ეროვნული უმცირესობებისა და სხვათა უფლებების დარღვევის ფაქტებს, მაგრამ არავენ არა-

ფერს ამბობს ავტოქტონური ერების უფლებების დაცვაზე. ასეთმა ვითარებამ კი შესაძლოა ახალი პოლიტიკური გართულებების წინაშე დააყენოს მსოფლიო. არსებობს იმის ალბათობა, რომ დიქტატორული რეჟიმები სხვა ქვეყნების პოლიტიკურ რეჟიმებზეც გავრცელდეს და საშიშროება შეუქმნას საერთაშორისო უსაფრთხოებას, როგორც ეს გასული საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა (საბჭოთა რუსეთი და ფაშისტური გერმანია). სახელმწიფო ტერორიზმის საერთაშორისო ტერორიზმში გადაზრდის საშიშროებას ხაზგასმით აღნიშნავენ რუსი მეცნიერები ნ. ბ. კრილოვი და ი. ა. რეშეტოვი ნაშრომში „სახელმწიფო ტერორიზმი – საერთაშორისო უსაფრთხოების მუქარა“, ლ. ა. მოჯორიანი და სხვები<sup>17</sup>.

სახელმწიფო ტერორიზმი ცალკე თემაა, რომელიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს და ამჯერად სცილდება ჩვენი ინტერესის სფეროს. ჩვენი კვლევის საგანი საერთაშორისო ტერორიზმია, რომელიც გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს და არავინ იცის სად, როდის, რა ფორმით ან რა მოტივით შეიძლება განხორციელდეს.

ტერმინი „საერთაშორისო ტერორიზმი“ XX საუკუნის 70-იანი წლების პოლიტიკურ ლიტერატურაში ჩნდება, ხოლო 80-იან წლებში საბოლოოდ მკვიდრდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 34-ე სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია „სახელმწიფო ტერორიზმის დაუშვებლობის შესახებ, სახელმწიფოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია სხვა სუვერენული სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის დასანგრევად“<sup>18</sup>.

მართალია, ტერმინი „საერთაშორისო ტერორიზმი“ 70-იან წლებში გაჩნდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრად უფრო ადრეც, თავისი საერთაშორისო პოზიციების განსამტკიცებლად თითქმის ყველა სახელმწიფო მიმართავდა ფარულ ძირ-გამომთხრელ ქმედებებს.

1947 წელს აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული სპეციალური კანონის შესახებ რუსი მეცნიერი ვ. ფ. პეტროვსკი წერდა: „1947 წლის კანონი გათვლილი იყო იმაზე, რომ შეენარჩუნებინათ და მიესადაგებინათ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათვის ომის დროს გამოყენებული მეთოდები, ფორმები, საშუალებები და ყველაფერი ეს დაემორჩილებინათ სოციალიზმის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლისათვის“<sup>19</sup>.

პეტროვსკისეული ეს შეფასება დასტურდება იმ უამრავი დოკუმენტით, რომლებიც დღის სინათლეზე გამოვიდა მას შემდეგ, რაც ამერიკის კონგრესის ორგანოებმა 70-იან წლებში გამოიძიეს და გამოაქვეყნეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA), გამოძიების ფედერალური ბიუროსა (FBI) და სხვა ოფიციალური სპეცუფიყებების ძირგამომთხრელი სადაზვერვო საქმიანობის მასალები.

ამერიკელი ჟურნალისტი ტეილორ ბრანჩი 1976 წლის სექტემბერში წერდა: „ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (CIA) განახორციელა 900 ჩარევა საზღვარგარეთ. იგი აწარმოებდა საიდუმლო ომებს მთელ მსოფლიოში და ფარულად დომინირებდა უცხოურ მთავრობებზე იმდენად, რომ ისინი გადაიქცნენ აშშ-ის კლიენტ-სახელმწიფოებად“<sup>20</sup>.

ასეთივე ბრალდებას უყენებდა აშშ-ის ყველა ადმინისტრაციას ჟურნალი „ტაიმი“ (Time) 1976 წლის მაისში: „ისიც კი, რის გამომჟღავნებაც მოხერხდა გამოძიებათა დროს, უმძიმეს საბრალდებო მასალას წარმოადგენს ვაშინგტონის ექვსი ადმინისტრაციისა და ომისშემდგომი პერიოდის აშშ-ის ყველა მთავრობის წინააღმდეგ“<sup>21</sup>.

ორი წლით ადრე კი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) დირექტორი უ. ქოლბი თავის ინტერვიუში აღიარებდა იმ ფარული ოპერაციების არსებობას, რომლებსაც მისი უწყება აწარმოებდა საზღვარგარეთ. „ზოგჯერ

იქმნება სიტუაცია, — ამბობდა იგი, — როცა მცირე დახმარებაში ამერიკის რამდენიმე მეგობრისა და ადამიანთა ჯგუფის მიმართ, რომლებიც გარკვეულ პოლიტიკას ან გარკვეულ პროგრამას იცავენ სხვა ქვეყნებში, შესაძლებლობა მოგვცეს ზემოქმედება მოვახდინოთ სიტუაციაზე ადგილებზე... დრო იცვლება... ჩვენ უკვე აღარ გვსურს საზღვაო ქვეითთა გაგზავნა ასეთი სიტუაციების მოსაგვარებლად“<sup>22</sup>.

ასევე ფარულად მოქმედებდნენ საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებიც, მაგრამ ეს მასალები დღემდე გასაიდუმლოებულია.

იმის შიშით, რომ სოციალისტური ქვეყნების გაძლიერება გამოიწვევდა კომუნიზმის იდეების გავრცელებას მთელ მსოფლიოში, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) უპირველესი მიზანი იყო ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თავის წიგნში „ილუზიების დრო“ ჯ. შელი (აშშ) შემდეგნაირად ახასიათებდა ამერიკის უმაღლესი ეშელონების განწყობილებას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში: „ამერიკულ პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინირებდა რწმენა, რომ მსოფლიოში ყველა ერის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ემუქრება ერთიანი გლობალური კომუნისტური შეთქმულება, რომელსაც სსრ კავშირი აკონტროლებს (კურსივი ჩემია — მ. უ.). ამიტომ ანტიკომუნიზმი იყო არა მხოლოდ ამერიკის საგარეო პოლიტიკის ღერძი, არამედ მისი საშინაო პოლიტიკის ცენტრალური საკითხი“<sup>23</sup>.

ეროვნული უშიშროების გამოკვლევების ცენტრის თანამშრომელი ჯონ მარქსი (აშშ) 1977 წლის 28 ივნისის „ნიუ-იორკ ტაიმსში“ წერდა: „ბოლო 35 წლის განმავლობაში ჩვენი მთავრობა (ე. ი. აშშ-ის მმართველი წრეები) რეგულარულად იყენებდა ტერორიზმს საგარეო პოლიტიკის იარაღად... ცივი ომის პირველი ორი ათწლეულის მანძილზე ამერიკის სტანდარტული პრაქტიკა იყო შენობების აფეთქება და მკვლე-

ლების მიგზავნა. ეს ფარული ბრძოლა, ჩვეულებრივ, ხდებოდა შორეულ რეგიონებში და ამ ბრძოლის მსხვერპლი შეიძლებოდა კომუნისტად თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, ვიღაც გაურკვეველ საეჭვო უცხოელად ჩამოწერილიყო<sup>24</sup>.

1972 წლიდან დაწყებული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომებზე დღის წესრიგში შეაქვთ პუნქტი ტერორიზმის შესახებ – „ზომები საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ, რომელიც ემუქრება უდანაშაულო ადამიანებს, იწვევს მათ დაღუპვას ან საფრთხეს უქმნის ძირითად თავისუფლებას. ტერორიზმისა და ძალმომრეობის აქტების იმ ძირეული მიზეზების შესწავლა, რომლებიც მომდინარეობს სიღარიბიდან, გამოუვალი მდგომარეობიდან, უბედურებიდან, სასოწარკვეთილებიდან და რომელიც ზოგიერთს უბიძგებს ადამიანთა სიცოცხლის, მათ შორის, საკუთარი სიცოცხლის გაწირვისათვის იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს რადიკალური ცვლილებები“<sup>25</sup>.

თუ თვალს გადავაკვლებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამი სესიის (1973, 1977 და 1979 წლები) მასალებს საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ, დავინახავთ, რამდენად რთულია საერთაშორისო ტერორიზმის ცნების დეფინიციის დადგენა<sup>26</sup>.

1973 წელს აშშ-ში ამერიკელი პროფესორების მ. ბასიონისა და ვ. ნანდის რედაქციით გამოვიდა „საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრაქტატი“, სადაც ტერორიზმი (იგულისხმება საერთაშორისო) შემდეგნაირად არის განმარტებული: „ტერორიზმი წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს, რომელიც ემუქრება ადამიანთა სიმშვიდეს და უსაფრთხოებას, შეურაცხყოფს საყოველთაო სინდისს და ზიანს აყენებს ადამიანურ ღირსებას“<sup>27</sup>.

ჯონ დუგარდის აზრით (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), საერთაშორისო ტერორიზმი არის ძალმომრეობის აქტები, რომელთა მიზანია გამოიწვიოს ისეთი პოლიტიკური ცვლილებე-

ბი, რომლებიც ძირს უთხრის საერთაშორისო ურთიერთობებს და რომლებსაც საერთაშორისო თანამეგობრობა განიხილავს როგორც ქცევის სასურველ ნორმებთან შეუთავსებელს, საერთაშორისო მორალისა და სამართლის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას<sup>28</sup>.

ინდოელი პროფესორის ს. აგრაველას აზრით, საერთაშორისო ტერორიზმის აუცილებელი დამახასიათებელი ელემენტებია: ძალის მუქარა, ძალმომრეობის გამოყენება, რაც საშიშროებას უქმნის უდანაშაულო ადამიანებს, მოსახლეობას საერთოდ, და აქვს დანაშაულის საერთაშორისო ხასიათი<sup>29</sup>.

პროფესორი დინსტიინი (ისრაელი) აღნიშნავს, რომ, „საზოგადოდ, ტერორიზმის და, კერძოდ, საერთაშორისო ტერორიზმის არსი მქლავნდება უწესრიგო ძალმომრეობაში, რომელიც, ჩვეულებრივ, განურჩევლად ადამიანების (უდანაშაულო მოწმეების) წინააღმდეგ არის მიმართული, რათა მასებში გაავრცელოს იდეა, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებებს. ტერორისტის შეხედულებით, რაც უფრო საზარელია დანაშაული, მით უკეთესია“<sup>30</sup>. ამავ მოსაზრებას იზიარებს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA-ს) ყოფილი დირექტორი უ. ქოლბიც.

1976 წლის ივლისში ამერიკის კონგრესმა მოგვცა „ტერორიზმის“, „საერთაშორისო ტერორიზმის“ შემდეგი დეფინიცია: „ტერორიზმი არის დაშინების გზით ძალის გამოყენება, ძალმომრეობითი თავდასხმა საზოგადოების არასამხედრო ნაწილზე, პოლიტიკური ან სამხედრო მიზნის მისაღწევად“<sup>31</sup>.

ინდოელი მეცნიერები მ. ნავაზი და გ. სინგი მიიჩნევენ, რომ „საერთაშორისო ტერორიზმის“ ცნების განსაზღვრისათვის, აუცილებელია:

- 1) განისაზღვროს ცნება „ტერორისტის“ შინაარსი;
- 2) გამოვლინდეს, თუ როგორი ხასიათის ქმედება მიეკუთვნება ტერორისტული აქტების რიგს;

- 3) გარკვეულ იქნეს საერთაშორისო ელემენტი (კომპონენტი), რომელიც დამახასიათებელია ტერორისტული აქტისათვის;
- 4) გაირკვეს, მხედველობაში უნდა იყოს თუ არა მიღებული მოტივი და განზრახვა ტერორისტული აქტის დახასიათების დროს;
- 5) განისაზღვროს, თუ ვინ წარმოადგენს ტერორიზმის მსხვერპლს<sup>32</sup>.

აშშ-ის 1977 წლის ოფიციალურ დოკუმენტში „აქტი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ არის ასეთი დეფინიცია: „საერთაშორისო ტერორიზმი შეიცავს... ნებისმიერ არასამართლებრივ აქტს, რომელსაც შედეგად მოჰყვა ნებისმიერი ადამიანის სიკვდილი ან მისთვის ფიზიკური ზიანის მიყენება, ძალით თავისუფლების აღკვეთა, ანდა ადამიანთა ქონების განზრახ განადგურება; როდესაც თავსდასხმა ხდება ან არსებობს თავდასხმის რეალური მუქარა და ყველაფერი ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა აქტს, მუქარას, ან ამგვარ მცდელობას ადგილი აქვს ან მოსდევს შედეგი იმ ტერიტორიის გარეთ, რომლის მოქალაქეც სავარაუდო ბოროტმოქმედი; ან იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ეს აქტი, მაგრამ ბოროტმოქმედმა იცის ან უნდა იცოდეს, რომ ის პირი, რომლის წინააღმდეგაც ეს აქტი ტარდება, უცხოელია (იმ სახელმწიფოსათვის, სადაც ხდება დანაშაული); ან ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როცა აქტს მხარს უჭერენ საზღვარგარეთიდან, მნიშვნელობა არა აქვს სავარაუდო ბოროტმოქმედის მოქალაქეობას.

საერთაშორისო ტერორისტული აქტი მიზნად ისახავს სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას ან მუქარას, ან მიმართულია იქითკენ, რომ სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიიღოს დათმობები; ის არ ითვლება ტერორიზმად, როდესაც აქტები ძირითადად მიმართუ-



ლია შეიარაღებული ძალების, სახელმწიფოს სამხედრო მიზნების ან რეგულარული შეიარაღებული ჯგუფების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების ან მათთან გათანაბრებული მოქმედებების მიმდინარეობის დროს“<sup>33</sup>.

გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის დაგროვდა დიდძალი ლიტერატურა „ტერორიზმისა“ და „საერთაშორისო ტერორიზმის“ შესახებ, მაგრამ მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ზუსტი და საყოველთაოდ მისაღები დეფინიციის დადგენა მაინც ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, ამერიკელი ტეროლოგების თ. არნოლდისა და მ. კენედის დაკვირვებით, „ბევრი ეთანხმება იმ აზრს, რომ ცნება „ტერორიზმის“ განსაზღვრა შეუძლებელია“<sup>34</sup>.

იმავე 80-იან წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 34-ე სესიამ მიიღო რეზოლუცია: „სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის დაუშვებლობა სახელმწიფოთა ნებისმიერ ქმედებაში, რომელიც მიმართულია სუვერენულ სახელმწიფოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის ძირგამოსათხრელად“, სადაც გაჩნდა ტერმინი „სახელმწიფო ტერორიზმი“, თუმცა მასში ისევ „საერთაშორისო ტერორიზმი“ იგულისხმება.

ამავე წლებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ მოხსენებებში „ტერორიზმი“, „საერთაშორისო ტერორიზმი“ შემდეგნაირად არის განმარტებული: „ტერორიზმი – ეს არის პოლიტიკური მიზნით ძალის გამოყენება ცალკეული პირების ან პიროვნებათა ჯგუფების მიერ, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში მოქმედებენ მთავრობის დასაცავად ან მის საწინააღმდეგოდ, როცა ასეთი ქმედებები მიზნად ისახავს დარტყმა მიაყენოს ან დააშინოს ადამიანთა უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი, ვიდრე უშუალო მსხვერპლი, ვის წინააღმდეგაც გამოიყენება ეს ძალმომრეობა“<sup>35</sup>.

ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს (CIA) განმარტებით: „ტერორიზმი, რომელიც ხორციელდება უცხოური მთავრობის

ან ორგანიზაციის მიერ (ან მიმართულია უცხოელი მოქალაქეების, ორგანიზაციების ან მთავრობის წინააღმდეგ) და ტერორისტულ საქმიანობას აწარმოებენ ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავენ დაამხონ გარკვეული სახელმწიფო წყობა (მაგ., იუგოსლავიაში, სალვადორში), გამოასწორონ ეროვნული ან ჯგუფური უსამართლობა (მაგ., პალესტინელები), ან ძირი გამოუთხარონ საერთაშორისო წესრიგს (მაგ., „იპკონური წითელი არმია“), – ეს არის მათი საქმიანობის საბოლოო მიზანი“<sup>36</sup>.

საინტერესოა, რომ 1981 წლიდან იწყება კონკრეტული ტერორისტული აქტების აღნუსხვა-შესწავლა, მათი ჩადენის მოტივაციის დადგენა (ე. მიკოლესი, რ. ქლატერბაქი და სხვ.)<sup>37</sup>.

საერთაშორისო და სახელმწიფო ტერორიზმის გააქტიურებასთან ერთად იზრდება ამ ტერმინების უფრო ვრცელი და ამომწურავი დეფინიციის მცდელობა. ეს განსაკუთრებით ეხება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს (FBI).

1983 წელს სახელმწიფო დეპარტამენტი „გლობალური ტერორიზმის სარწმუნო საბუთებში“ აღნიშნავს, რომ ტერორიზმი არის „წინასწარგანზრახული, პოლიტიკურად მოტივირებული ძალმომრეობა, რომელიც სუბნაციონალური ჯგუფების ან სახელმწიფოს საიდუმლო აგენტების მიერ არასამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ არის მიმართული“<sup>38</sup>.

იმავე წელს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ტერორისტული ინციდენტების კვლევისა და ანალიზის ცენტრის, სისხლის სამართლის საგამოძიებო განყოფილების ტერორიზმის სექციის მიერ გამომუშავებული განმარტება ასეთია: „ტერორიზმი უნდა განისაზღვროს როგორც ძალის ან ძალდატანების კანონსაწინააღმდეგო გამოყენება პიროვნების ან საკუთრების, მთავრობის, სამოქალაქო მოსახლეობის ან მისი სხვა ნაწილის მიმართ დაშინების ან ზემოქმედების გზით, რა-

თა რეალიზებულ იქნეს პოლიტიკური ან სოციალური მიზნები“<sup>39</sup>.

არსებობს ტერორისტული ინციდენტის სხვა განმარტებაც: „ტერორისტული ინციდენტი განისაზღვრება როგორც ძალმომრეობის ან ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში აქტი, რომელიც არღვევს შეერთებული შტატების ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონებს და მიმართულია მთავრობის, სამოქალაქო მოსახლეობის ან მისი ნაწილის წინააღმდეგ პოლიტიკური ან სოციალური მიზნების განხორციელებისათვის“<sup>40</sup>.

1984 წლის 5 ივნისს აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „ტერორიზმს ადგილი აქვს, როდესაც სისხლის სამართლებრივი ძალმომრეობა გამოიყენება:

- სამოქალაქო მოსახლეობის დასაშინებლად ან მასზე ზეგავლენისათვის,
- მთავრობაზე ზემოქმედების, მისი დაშინების, მისი იძულებისა და
- მკვლევლობით ან მძევალთა აყვანით მთავრობის ქცევაზე გავლენის მიზნით“<sup>41</sup>.

ზემოთ მოყვანილი მრავალი დეფინიციის მიუხედავად, „საერთაშორისო ტერორიზმის“ ამომწურავი განსაზღვრება დღესაც არ არსებობს. თუმცა 1972 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანო განიხილავს „საერთაშორისო ტერორიზმის“ პრობლემებს, ამ ტერმინის დეფინიციის დროს სპეციალისტები ურთულეს პოლიტიკურ-სამართლებრივ სიძნელეებს აწყდებიან (გაეროს 27-ე, 31-ე და 39-ე სესიები), რადგან საერთაშორისო დანაშაულის ელემენტები განიხილება, ძირითადად, საერთაშორისო სამართლის სისტემის თვალსაზრისით, ეს სისტემა კი არსებითად განსხვავდება სამართლის შიდასახელმწიფოებრივი სისტემებისაგან<sup>42</sup>. ამიტომ გაერომ შესთავაზა სახელმწიფოებს საკუთარი განსაზღვრება

წარმოდგინათ და ექსპერტებს ეთანამშრომლათ „საერთაშორისო ტერორიზმის“ ყველასათვის მისაღები დეფინიციის შესამუშავებლად. როდესაც ეს დეფინიციები წარმოდგენილ იქნა, „საერთაშორისო ტერორიზმის“ შემსწავლელმა გაეროს სპეციალურმა კომიტეტმა აზრთა სერიოზული სხვადასხვაობის ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს. ეს შენიშვნები დეტალურად არის განხილული ცნობილი რუსი მეცნიერის ე. გ. ლიახოვის ჩვენ მიერ არაერთხელ მოხსენიებულ წიგნში<sup>43</sup>.

მეცნიერი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციათა უმრავლესობის ანალიზი ცხადჰყოფს, თუ რაოდენ *საშიშოა* (კურსივი ჩემია. — მ. უ.) საერთაშორისო ტერორისტული აქტები საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო მართლწესრიგისათვის.

„განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფორმულირება, — წერს ე. ლიახოვი, — რომელიც „საერთაშორისო ტერორიზმს“ საერთაშორისო დანაშაულის კატეგორიას აკუთვნებს და შედარებით უფრო ზუსტად განსაზღვრავს მის სუბიექტს, ობიექტსა და საგანს: სახელმწიფოს თანამდებობის პირებს, სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო მართლწესრიგს, პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს, დიპლომატებსა და სხვ.“<sup>44</sup>

თავის წიგნში — „ტერორიზმი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები“ — პროფესორი ე. ლიახოვი აღნიშნავს: „საზღვარგარეთიდან ორგანიზებულ თავდასხმებს სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებზე, ძირგამომთხრელ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს, მკვლელობათა მცდელობებს, რომლებიც ზიანს აყენებენ საერთაშორისო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სხვა სისტემათა სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, სხვადასხვა მიზნით იყენებენ სახელმწიფოები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, სისხლის სამართლის დამნაშავეები და სხვადას-

ზვა ჯურის ექსტრემისტები. თუმცა მათი მიზნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, საბოლოო ანგარიშით, ყველაფერი ეს საერთაშორისო ურთიერთობების, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ნგრევისაკენ არის მიმართული... საერთაშორისო ტერორისტული აქტები უფრო და უფრო მრავალფეროვან ფორმას იღებს. ამ აქტების უმეტესობა ორგანიზებულია და ხორციელდება ტერორისტული ჯგუფების მიერ ორგანიზებულ ბოროტმოქმედებთან, მაფიასთან, კერძოდ, ნარკომაფიასთან კავშირში; შეინიშნება კავშირი საერთაშორისო ტერორიზმის იდეოლოგიასა და დოქტრინას შორის (სახელმწიფო იდეოლოგიისა და დოქტრინის ჩათვლით)“<sup>45</sup>.

მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთაშორისო ტერორიზმს „სისხლის სამართლის“ საერთაშორისო დანაშაულად მიიჩნევს<sup>46</sup>. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის ასოციაციის მიერ შექმნილი საერთაშორისო ტერორიზმის შემსწავლელი კომიტეტის არაერთი დისკუსია მიეძღვნა საერთაშორისო ტერორიზმის დეფინიციის საკითხს. 1984 წელს ასოციაციის 61-ე კონფერენციამ სასარგებლოდ ჩათვალა დაბრუნებოდნენ საერთაშორისო სამართლის ტრადიციულ ნორმებს „საერთაშორისო ტერორიზმის“ საკითხში<sup>47</sup>.

„საერთაშორისო ტერორიზმის“ მოვლენას სამართლებრივი სახე რომ მიეცეს, აუცილებელია საერთაშორისო ტერორიზმის ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება, რისთვისაც საჭიროა ყველა იმ კონკრეტული შემთხვევის შესწავლა, რაც მიუღებელია საერთაშორისო თანამეგობრობისათვის და განიხილება როგორც ტერორისტული ქმედება. მიზანი ერთია – ეფექტიანი ღონისძიებები იქნეს გატარებული საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ.

1990 წლის გაეროს მე-8 კონგრესზე გენერალური მდივნის მოხსენებაში – „ორგანიზებული დანაშაული და საერთაშორისო ტერორიზმი“ – ნათქვამია: „საერთაშორისო ტერორიზმი შეიძლება დახასიათდეს როგორც ტერორისტული აქ-

ტები, რომელთა ჩადენისას შემსრულებლები (ან შემსრულებელი) გეგმავენ თავის ქმედებებს, ღებულობენ სახელმძღვანელო მითითებებს, ჩამოდიან სხვა ქვეყნებიდან, გაქცევით შველიან თავს ან თავშესაფარს ეძებენ, ან ნებისმიერი ფორმით იღებენ დახმარებას არა იმ ქვეყანაში ან ქვეყნებში, სადაც ხდება ეს ქმედებები“<sup>48</sup>.

90-იანი წლებიდან, როდესაც საერთაშორისო ტერორიზმმა უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო, კიდევ უფრო გაძლიერდა ინტერესი ამ მოვლენის მიმართ.

მეცნიერები, რომლებიც ზემოხსენებულ პრობლემას სწავლობენ, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ეს არის „ფარული სამხედრო მოქმედებები“ ამა თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ მოსაზრებას იზიარებენ ამერიკელი მეცნიერები: რ. ქლაინი და ი. ალექსანდერი<sup>49</sup> თავიანთ წიგნში „ტერორიზმი – როგორც სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ფარული ომი“, ბ. ჯენკინსი სტატიაში „საერთაშორისო ტერორიზმი – სხვაგვარი მსოფლიო ომი“<sup>50</sup>, რ. მილერი, რომლის მტკიცებით სხვადასხვა ქვეყნის ტერორისტული დაჯგუფებების საქმიანობის კოორდინაცია შესაძლებლობას იძლევა განხილულ იქნეს ტერორიზმი როგორც „მცირე ინტენსივობის კონფლიქტები – ომის განსაკუთრებული სახეობა“<sup>51</sup>.

საერთაშორისო სამართლის პროფესორი ა. პ. რუბინი<sup>52</sup> (აშშ) აღნიშნავს, რომ ტერორისტულ აქტებს „ადგილი აქვს მშვიდობიანობის დროს“.

ტორონტოს (კანადა) უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორის დენი გოულდსტიქის აზრით, „ტერორიზმი *საომარი მოქმედება*“<sup>53</sup> (კურსივი ჩემია. – მ. უ.).

პოლ უილკინსონი წიგნში „პოლიტიკური ტერორი“ აღნიშნავს: „ტერორიზმი იმით განსხვავდება ომისაგან, რომ ის ოფიციალურად გამოცხადებული არ არის“<sup>54</sup>.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ტერორიზმის შესწავლის შედეგად ტეროლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ

ეს არის მშვიდობიანობის დროს მიმდინარე ფარული ომი, რომელსაც აწარმოებენ სახელმწიფოთა მთავრობები სხვა სახელმწიფოებზე ზემოქმედების მოსახდენად, იქ თავიანთთვის სასურველი პოლიტიკის გატარების მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფარული ტაქტიკა მიღებულია ოფიციალურად გამოცხადებული საომარი მოქმედებების დროს (საბოტაჟი, დივერსია და სხვ.).

ჯერ კიდევ 1984 წლის ოქტომბერში სენატორმა ბარი გოულდუოთერმა ტერორიზმის (საერთაშორისო) შემდეგი განსაზღვრა შესთავაზა აშშ-ის სენატს: „ტერორიზმი შეიცავს ფარული დაჯგუფებებისა და ინდივიდების მიერ კლაუზვიციის პრინციპების („ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით“, როგორც ამას განმარტავს ი. ლიანზოვი) გამოყენებას პერსონალური მიმართულების გარეშე. კლაუზვიციის თეორია ასეთი ოპერაციების ჩატარების ნებას იძლევა ორი სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ომში, ბრძოლის ველზე“<sup>55</sup>.

მსოფლიოს ხალხთა უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებით სახიფათოა „ორმაგი სტანდარტის“ პოლიტიკა, როცა სახელმწიფოები, ერთი მხრივ, თითქოს ებრძვიან საერთაშორისო ტერორიზმს, ხოლო, მეორე მხრივ, მხარს უჭერენ, აფინანსებენ და ორგანიზებას უკეთებენ ტერორისტულ აქტებს. ასეთი ფარული საომარი ტაქტიკა უფრო საშიში ხდება, როდესაც ტერორიზმი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აღის. ამგვარ პოლიტიკას ის სახელმწიფოები ატარებენ, რომლებიც მსოფლიოში გავლენისა და კონტროლის მოპოვებისათვის ისწრაფვიან, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ქვეყნის სპეცსამსახური დაკავშირებულია ორგანიზებულ-დანაშაულებრივ ჯგუფებთან ან ტერორისტულ ორგანიზაციებთან. კლაინისა და ალექსანდერის წიგნში „ტერორიზმი როგორც სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ფარული ომი“<sup>56</sup> მოცე-

მულია მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციებისა და ჯგუფების სიები.

ამერიკელი მეცნიერი ჯ. მაკმაჰანი თავის წიგნში „რეიგანი და მსოფლიო. იმპერიული პოლიტიკა ახალ ცივ ომში“ პირდაპირ ამბობს, რომ რეიგანის ადმინისტრაციის მიზანია გააკონტროლოს საერთაშორისო მოვლენათა მსვლელობა, რისთვისაც აუცილებლად მიიჩნევს მთელი რიგი მოთხოვნების განხორციელებას:

- 1) იმ რეჟიმთა შენარჩუნებას, რომლებიც აშშ-ის უმთავრეს მოთხოვნებს აკმაყოფილებენ;
- 2) იმ რეჟიმთა ჩამოცილებას, რომლებიც არასაკმარის ყურადღებას იჩენენ აშშ-ის ინტერესებისადმი და იქ მორჩილი დიქტატორის მოყვანას;
- 3) იმ პოლიტიკის გატარებას, განვითარების იმ მოდელის ხელშეწყობას, რომელსაც აშშ უჭერს მხარს;
- 4) არსებული რეჟიმებისათვის ამერიკული ნების თავს მოხვევას<sup>57</sup>.

საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და მსოფლიო ჰეგემონიისათვის აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო ბიუროს (CIA) როგორც ამერიკის (სადაც, ყოველ შემთხვევაში, 2001 წლის 11 სექტემბრამდე არ იკრძალებოდა ტერორისტული ორგანიზაციები), ასევე სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე აქვს ბანაკების ფართო ქსელი, სადაც სპეცდანიშნულების ჯგუფებს ამზადებენ. მაგალითად: ამერიკული სამხედრო ბაზები ფორტ-ბრაგე (ჩრ. კაროლინა), ფორტ-ბენინგი (ჯორჯია), ფორტ-ლუისი (ვაშინგტონი), ამერიკის 10 შტატში ფუნქციონირებს 25 ბანაკი და 130 „კერძო“ სკოლა, ლიბიაში არსებული ბანაკები და სხვ., რომლებიც „პოტენციური მტრის“ – სსრ კავშირის, „მესამე სამყაროსა“ და აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ზემოთ აღნიშნული ვითარება დამახასიათებელია არა მხოლოდ აშშ-ის საგარეო პოლიტიკისათვის. რა თქმა უნდა, არც



სხვა სახელმწიფოები, მაგალითად, ყოფილი სსრ კავშირი, ისრაელი, პაკისტანი და სხვ., ამბობდნენ უარს მსგავსი პოლიტიკის გატარებაზე (თუმცა შესაბამისი დოკუმენტები იქ საიდუმლო გრიფით ინახება). გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ ცნობილი ხდება ხოლმე ასეთი მასალები აშშ-ში, როგორც ეს მოხდა სენატორ ჩერჩის კომისიის შემთხვევაში.

სენატორ ჩერჩის კომისიამ, რომლის შექმნის მოტივი თავდაპირველად პარტიული ბრძოლა იყო, გამოძიების მსვლელობის დროს ვერ შეძლო გარკვეულ ფარგლებში ჩატეულიყო და ისეთ ფაქტებს ახადა ფარდა, რომელთა გამომხეურება სულაც არ შედიოდა მის მიზნებში. სენატორი ჩერჩი (აიდაჰოს შტატიდან) ხელმძღვანელობდა კონგრესის კომისიას, რომელიც იკვლევდა ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს (CIA) მიერ მოწყობილ მკვლევლობებს 1974 წლის შუა რიცხვებიდან.

ცსბ-ს (CIA) დოკუმენტიდან ირკვევა, თუ როგორ მზადდებოდა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა ლიკვიდაცია, მაგალითად, პატრის ლუმუმბასი (კონგო), ალიენდესი (ჩილე), ჩე გევარასი (არგენტინა), თავდასხმები გამალ აბდელ ნასერზე (ეგვიპტე), ფიდელ კასტროზე (კუბა) და სხვა<sup>58</sup>.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამდებობის პირები დღეს უკვე აშკარად აღიარებენ, თუ რა მძიმე შედეგები მოუტანა ცსბ-ს (CIA) მიერ გატარებულმა პოლიტიკამ თვით შეერთებულ შტატებს (მაგ., „თალიბანის“ შემთხვევაში, რომელიც შექმნილი იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად ტერორისტების მომზადებისათვის) და საკუთარ თავზე იღებენ გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

მსოფლიოში თითქმის არ არის ქვეყანა, სადაც არ ხდება ტერორისტული აქტები, სადაც არ არიან ტერორისტული ჯგუფები ან ტერორისტული ორგანიზაციები. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ტერორს მხოლოდ მემარცხენე-რევო-

ლუციური მოძრაობები იყენებდნენ, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში აშკარა გახდა, რომ ამ მიმართულებით მემარჯვენე ექსტრემისტებიც აქტიურ საქმიანობას ეწევიან. ჯერ კიდევ 1978 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოვიდა ნაშრომი მემარჯვენე ექსტრემიზმის, მისი ორგანიზაციების, მისი საერთაშორისო კავშირების შესახებ<sup>59</sup>. ჟურნალი „ზიხერჰაიტს-ბერატერი“ (გფრ), რომელმაც არაერთი სტატია მიუძღვნა მემარჯვენე ექსტრემიზმის პრობლემას, წერდა: „მემარჯვენე ძალებმა შეისწავლეს მემარცხენე ტერორიზმი, ახდენენ მისი ტაქტიკის კოპირებას და იატაკქვეშეთში წასვლას აპირებენ. ისინი მზად არიან ყველაფერი გაწირონ, საკუთარი სიცოცხლეც კი“<sup>60</sup>.

ერთ-ერთ ამგვარ ორგანიზაციაზე, „ებრაელთა დაცვის ლიგაზე“, იტყობინებოდა აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო თავის ანალიტიკურ მოხსენებაში აშშ-ში 1981–1985 წლებში ტერორისტული ინციდენტების, ტერორისტებისა და მათი საქმიანობის შესახებ<sup>61</sup>.

თავიანთ წიგნში „ფიქრები ტერორიზმზე. ახალი ტიპის ომი“ თ. არნოლდი და მ. კენედი პირდაპირ ამბობენ, რომ ტერორისტულ ორგანიზაციებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და საერთაშორისო კავშირებზე ისეთი მასშტაბით, რომ დააჩქარონ ახალი სახელმწიფოების შექმნა. ამის მაგალითად მათ მოჰყავთ პალესტინაში მოქმედი ებრაული ტერორისტული ორგანიზაციები „ირგუნი“ და „შტერნი“, რომლებიც გამოდიოდნენ დიდი ბრიტანეთის პროტექტორატის წინააღმდეგ, იბრძოდნენ პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის და ისრაელის სახელმწიფოს ცნობისათვის<sup>62</sup>.

ზემოხსენებული ავტორების აზრით, იმავე გზით შეიქმნა კენიის სახელმწიფოც. ერთ-ერთი უძველესი ორგანიზაცია, რომელიც 1919 წლიდან ტერორის გზით ცდილობდა ირლანდიის გაერთიანებას, იყო ჩრდილოეთ ირლანდიასა და მთელ

ბრიტანეთში მოქმედი „ირლანდიის რესპუბლიკური არმია“ (ირა).

გლობალური უსაფრთხოებისათვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს ტერორისტული ჯგუფებისა და ორგანიზაციების გაერთიანება რომელიმე ერთი მოვლენის, სახელმწიფო დაწესებულების ან თვით სახელმწიფოს წინააღმდეგ. 1984 წელს იყო მცდელობა შეექმნათ ერთიანი „ევროტერორიზმის“ ცენტრი. იმავე წლის თებერვალში იტალიური გაზეთი „ესპრესო“ იტყობინებოდა, რომ ტერორისტები ერთობლივ „ინტერნაციონალურ“ ოპერაციებს პარიზში გეგმავდნენ. ამგვარად დაიგეგმა და „წითელი არმიის ფრაქციამ“ (გფრ) განახორციელა თავდასხმა ნატოს გენერალზე (გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში), „წითელი ბრიგადების“ (იტალია) მიერ ვერონაში ორგანიზებულ იქნა ამერიკელი გენერლის ჯ. დოუზერის გატაცება, იტალიის პრემიერ-მინისტრის, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული საბჭოს თავჯდომარის ალდო მოროს მკვლელობა (1978 წ.) და მრავალი სხვ.

ცნობილი ფაქტია, რომ 1985 წელს ფრანგულმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ „აქსიონ დირექტმა“ და გფრ-ის ტერორისტულმა ორგანიზაციამ „წითელი არმიის ფრაქციამ“ ხელი მოაწერეს ერთობლივ დოკუმენტს, სადაც პირდაპირ აცხადებდნენ დასავლეთევროპული პარტიზანული ომის დაწყებას იმპერიალისტური სტრატეგიისა და მისი ყველაზე ორგანიზებული სისტემის – ნატოს ბატონობის წინააღმდეგ. „ფრანს პრესი“ იუწყებოდა, რომ ამ მხრივ გააქტიურდა მოძრაობა ბელგიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს ორგანიზაციები არა მხოლოდ გეგმავდნენ, არამედ პრაქტიკულად ახორციელებდნენ ტერორისტულ თავდასხმებს ცნობილ სამხედრო ფიგურებზე (1985 წელს მოკლულ იქნა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი რენე ოდრია-

ნი, იმავე წელს — დასავლეთ ევროპის საავიაციო-კოსმოსური მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ერნსტ ციმერმანი, მრავალი უდანაშაულო ადამიანი დაშავდა ათენის ერთ-ერთ ბარში მომხდარი აფეთქების შედეგად და მრავალი სხვ.).

ე. ო. ბლანსს თავის წიგნში „ტერორიზმი 1980—89 წლებში“ მოჰყავს უამრავი მაგალითი, რომლებიც „აქსიონ დირექტის“ (საფრანგეთი), „წითელი არმიის ფრაქციისა“ (გფრ) და „მებრძოლი კომუნისტური ჯგუფების“ (ბელგია) ურთიერთ-კავშირზე მეტყველებს<sup>3</sup>.

რთულია და მრავალფეროვანი ტერორისტული ჯგუფების სტრუქტურა და გაერთიანებები ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ და ცენტრალურ ამერიკაში, პერუში, გვატემალაში, არაბულ სახელწიფოებში, ინდოეთში თუ სხვაგან.

ტერორისტული ჯგუფების გაერთიანების საშიშროება ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან არსებობდა, როცა გამოიკვეთა ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობა ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის<sup>4</sup>. ამერიკელი ექსპერტები კუპერმანი და თრენდი აღნიშნავენ, რომ ლიბანსა და სირიაში პალესტინის ტერორისტულ ბანაკებში მომზადებას გადიოდნენ „რევოლუციონერები“ დასავლეთ ევროპიდან, აფრიკიდან, ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, აზიიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, „შავი ჯიქების“, „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“, სომხური საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის „ასალას“, იაპონური „წითელი არმიისა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები. საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერთა შეკრებები გაიმართა ლიბანში (1972 წ.) და კვიპროსის ქალაქ ლარნაკაში (1977 წ.), რომლებშიც მონაწილეობდნენ ტერორისტული ჯგუფების ლიდერები გფრ-იდან, იაპონიიდან, ირანიდან, თურქეთიდან, ჩრდილოეთ ირლანდიიდან<sup>5</sup> და სხვ.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ კიდევ უფრო დიდი საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს ქვეყნებს. ის გარემოება, რომ თანამედროვე ზესწრაფი ტექნიკის – კომპიუტერული ქსელის გამოყენებით ტერორისტულ ორგანიზაციებს შეუძლიათ მომენტალურად დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი, პროპაგანდა გაუწიონ თავიანთ იდეოლოგიას, რელიგიურ მრწამსს, აგრესიას, დააფუძნონ ფინანსური ფონდები ტერორისტული აქტებისათვის, ცენტრალიზებულად წარმართონ ესა თუ ის ქმედება, მკაფიოდ მეტყველებს იმაზე, თუ რა საფრთხის წინაშე დგანან არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნები, არამედ მთელი მსოფლიოც<sup>66</sup>.

როგორც ვნახეთ, ზემოხსენებული მეცნიერები, რომლებიც „საერთაშორისო ტერორიზმს“ იკვლევენ, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ეს არის „ფარული სამხედრო მოქმედებები“ ამა თუ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ. თუმცა ტეროლოგთა უმრავლესობის აზრით ტერმინ „საერთაშორისო ტერორიზმის“ ყველასათვის მისაღები, ამომწურავი დეფინიციის დადგენა დღესაც ვერ ხერხდება, არსებულ მონაცემთა და პრობლემის შესწავლის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: *საერთაშორისო ტერორიზმი არის უცხოური სახელმწიფოების მიერ მართული ან წარმოებული წინასწარგანზრახული, დაგეგმილი „ფარული ომი“, რომელიც ფაქტობრივ არ განსხვავდება ოფიციალურად გამოცხადებული ომის ძირითადი პრინციპებისაგან (საბოტაჟი, დივერსია, მკვლელობა, ოფიციალური პირების გატაცება და სხვ.) და რომელიც ორიენტირებულია:*

- საზოგადოებაში დანერგოს შიში, პანიკა, სასოწარკვეთილება, მასობრივი ფსიქოზი;
- გაზარდოს ადამიანთა მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის მასშტაბები;
- დაარღვიოს ადამიანებს შორის მორალური და მსოფლმხედველობრივი ერთობა;

- შერყიოს სახელმწიფოთა ურთიერთობების სტაბილურობა;
- მოშალოს ეკონომიკური კავშირები;
- დაასუსტოს „მიზანში ამოღებული“ სახელმწიფოები;
- აიძულოს ეს სახელმწიფოები წავიდნენ თავიანთი ეროვნული ინტერესების საზიანო დათმობებზე.

# „ტერორიზმი“ თანამედროვე საზღვარგარეთულ სამეცნიერო ლიტერატურაში

(აშშ და ევროპა)

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, ტერორისტული აქტების რიცხვმა განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იმატა. ასეთმა ვითარებამ შექმნა პირობები, რომ უფრო ინტენსიურად წარმართულიყო საერთო ტენდენციებისა და იმ ქვეყნების სტრუქტურული მახასიათებლების მეცნიერული შესწავლა, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობაში არიან ჩაბმული. ამ მხრივ, დიდძალი მასალა მოიპოვება უახლეს საზღვარგარეთულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ აქ შევეცდებით კრიტიკულად მიმოვიხილოთ ის საკითხები, რომლებიც მასში ყველაზე აქტუალურად და გამოკვეთილად გვეჩვენება.

აშშ-ის არმიის ყოფილი გენერალ-მაიორი პროფესორი რიჩარდ ქლატერბაქი<sup>1</sup> (Richard Clutterbuck), ავტორი წიგნისა „ცხოვრება ტერორიზმთან ერთად“ (1975), ტერორიზმის ფენომენს განსაზღვრავს როგორც მემარცხენეობის სენს, რომელიც უნივერსიტეტებში მარქსიზმის იდეების გავრცელებამ გამოიწვია. წიგნის ავტორი ირწმუნება, რომ ეს ფსიქოზი განსაკუთრებით აავადებს საზოგადოებიდან გარიყულ და დაბალი ფენის წარმომადგენლებს, რომლებიც იტანჯებიან პირადი თუ სოციალური უსამართლობით, რაც მათ სისხლის სამართლის დანაშაულის პოტენციურ ჩამდენებად აქცევს. იგი ვერ მალავს თავის შეშფოთებას, რომ ამგვარ მუამბოხებში დაგროვილია ისეთი უარყოფითი ენერგია, რომელიც ცივილიზებულ საზოგადოებას დამხობით ემუქრება. როგორც ჩანს, ქლატერბაქი არ იცნობს ბასკების, ირლანდიელების, კორსიკელების თუ ჩეჩენი პარტიზანების ქმედებათა მოტივაციას.

ქლატერბაქი ვერ აცნობიერებს (თუ არ სურს გააცნობიეროს), რომ დროდადრო ეგრეთ წოდებული „ცივილიზებული საზოგადოება“ თვითონ იყენებს ტერორისტულ მეთოდებს. ალბათ, ავტორი არ არის ჯეროვნად ინფორმირებული კვლევითი სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემებით, რომლებიც მკაფიოდ მეტყველებენ თვით ჯარში არსებული დაბალი რანგის, უარყოფილი, გარიყული სამხედროების საშიში ფსიქიკური ტენდენციების შესახებ.

აშშ-ის არმიის ყოფილი ოფიცერი ანტონი ბარტონი<sup>2</sup> (Anthony Burton), თავის წიგნში „ურბანული ტერორიზმი“ (1975) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ტერორისტი მიისწრაფვის მოკლას მიაპიტი და გულმართალი ადამიანი სხვათა და ტერორების მიზნით“. აქ ავტორი ცდილობს ტერმინ „ტერორიზმის“ დეფინიციაში პოლიტიკური მკვლევლობაც ჩართოს, მაგრამ მას არ აინტერესებს ისეთი კითხვები, რომლებიც დიქტატორი მმართველის „უცოდველობის“ საპირისპიროდ შეიძლება დაისვას. ბარტონი არავითარ სურვილს არ გამოხატავს გამოავლინოს დიქტატორის მკვლევლობის არსებითი მიზეზები და, საერთოდ, უგულებელყოფს ტირანიისა და დესპოტიზმის არსებობას. ისევე როგორც ქლატერბაქი, ისიც ტერორიზმის დიაგნოზად „ემოციურ მოშლილობას“ მიიჩნევს.

პროფესორი ერნსტ ჰალპერინი<sup>3</sup> (Ernst Halperin, კალიფორნია, აშშ), რომელიც იზიარებს ქლატერბაქისა და ბარტონის შეხედულებებს, განსხვავებას ვერ პოულობს ტერორისტსა და პარტიზანს შორის. თავის წიგნში „ტერორიზმი ლათინურ ამერიკაში“ (1976) იგი წერს: „სულელურია აზრი, თითქოს ლათინური ამერიკა იმიტომ არის ღარიბი, რომ შეერთებული შტატებია მდიდარი. ამის გამო იქმნება შეხედულება, რომელიც შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც კოლექტიური ფსიქოზი, იმ ადამიანთა ვამპირული კომპლექსი, ვინც აშშ-ის სამხრეთ საზღვრის იქით ცხოვრობს“ (ავტორს ავიწყდება, რომ ლათინურ ამერიკაში იქმნება უამრავი სახის პრო-



დუქცია: ლითონის ნაწარმი, განვითარებულია მეცხოველეობა და მიწათმოქმედება, მოიპოვება ნავთობი და, რაც მთავარია, არის იაფი მუშახელი მათთვის, ვინც ჩრდილოეთის საზღვრის იქით ცხოვრობს).

როგორც ვხედავთ, კარიერისტ სამხედროთა და ფსევდო-მეცნიერთა არასრულყოფილი ანალიზის შედეგად გაკეთებული ოფიციალური განცხადებები ერთმანეთს ნაწილობრივ ემთხვევა. ცხადია, რომ „ტერორისტული ფსიქოლოგიის“ ამგვარი კონცეფციის ქადაგებით ისინი ცდილობენ თავი აარიდონ ტერორიზმის ფენომენის ახსნის სირთულეს და მოგვცენ მისი ტენდენციური ინტერპრეტაცია.

იეჰეზკელ დრორი<sup>4</sup> (Yehezkel Dror), იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების პროფესორი და საზოგადო მოღვაწე, ტერორიზმის საკითხების განხილვის ლიმიტირებულ გზას ირჩევს. იგი დაბეჯითებით ცდილობს დაგვარწმუნოს (1983), რომ პატარა დაჯგუფებების მიერ შერჩეული და გამოყენებული ინტენსიური ძალმომრეობა დემოკრატიულ მთავრობებს საშიშროებას უქმნის, გარკვეულ ცვლილებებს იწვევს რეჟიმსა და საზოგადოებაში, აიძულებს აღმასრულებელ ხელისუფლებას მიიღოს გარკვეული პოლიტიკური ან ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებები. ასეთი ინტერპრეტაციებით დრორი ცდილობს თავი აარიდოს „ტერორისტისა“ და „თავისუფლებისათვის მებრძოლის“ ცნებათა შესაფერისად გამიჯვნას. როგორც ჩანს, ასეთი მიდგომა ვარაუდობს, რომ ეროვნული ხელისუფლებები და, კერძოდ, დემოკრატიული მთავრობები თავიანთ თავს არასოდეს მისცემენ შეუმჩნეველი ან აშკარა ტერორის განხორციელების უფლებას. დრორი უგულვებლყოფს ფუნქციონირებად დემოკრატიებსა და ფსევდოდემოკრატიებს შორის განსხვავებას, რითაც თვალს ხუჭავს იმაზე, რომ პოლიტიკურ არჩევნებს დაბრკოლებას უქმნის მოსახლეობის არაერთგვაროვანი ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების დონე, ფონდების უთანასწორო განაწი-

ლება, რასისტული თუ სექსუალური ფანატიზმი და საარჩევნო კამპანიებისადმი რწმენადაკარგულ ამომრჩეველთა გულგრილობით გამოწვეული მისი დამახინჯებული პროცესი. თუ დემოკრატიული ქვეყნები, როგორც დროერი ირწმუნება, ტერორისტების თავდასხმის ობიექტს წარმოადგენენ, მაშინ ბუნებრივად ისმება კითხვა: რატომ არის ასე იშვიათი ტერორისტული აქტები სკანდინავიის ქვეყნებში?

პოლ უილკინსონი<sup>5</sup> (Paul Wilkinson), საერთაშორისო ურთიერთობის პროფესორი (აბერდინის უნივერსიტეტი, შოტლანდია), თავის წიგნში „პოლიტიკური ტერორიზმი“ (1974) იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ტერორიზმი განსხვავდება ჩვეულებრივი ომისაგან, რადგან იგი ოფიციალურად გამოცხადებული არ არის (როგორც მაგალითად აშშ-ის პოლიციური ბრძოლა კორეაში, სხვებზე ადრე შეჭრა კამბოჯასა და ლაოსში, ინტერვენცია გრენადაში, პრევენციული დარტყმა ლიბიის წინააღმდეგ, სამხედრო ოპერაციები სომალიში, ნიკარაგუაში, კოლუმბიაში, ფილიპინებზე, ინდონეზიაში, ავღანეთში, ერაყში; რუსეთის გამოუცხადებელი ომი ავღანეთში, ჩეჩნეთში, აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში. — მ. უ.). ავტორის თქმით, ომის მიმდინარეობის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის პერმანენტული დაბომბვა და მსხვერპლი, თუ ეს გამოწვეულია შემთხვევითობით ან სამხედრო დანიშნულების ობიექტების შეუცნობლობით, არ არის ტერორისტული აქტი. ამგვარად, პროფესორ უილკინსონის მსჯელობიდან გამოდის, რომ ლონდონისა და ლენინგრადის მოსახლეობას მეორე მსოფლიო ომის დროს, ჰანოისა და ჰაიპპონგის მოსახლეობას ვიეტნამის ომის დროს, სოხუმისა და გროზნოს მოსახლეობას რუსეთის გამოუცხადებელი ომის დროს თურმე არავითარი საფუძველი და მიზეზი არ ჰქონია დამცირების, ინტიმიდაციის, შიშის თუ ტერორის.

ირვინ ლუის ჰოროვიცი<sup>6</sup> (Irwing Louis Horowitz), სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის პროფესორი (როჯერსის უნი-

ვერსიტეტი, აშშ), ტერორიზმს ახასიათებს როგორც სამი ელემენტის ერთიანობას: „არასტანდარტულ ომს სამოქალაქო პირებისა და მათი ქონების მიზანში ამოღებით (1), კანონიერებისა და ხელისუფლების შეცვლის მიუღებელ არაცივილიზებულ ფორმას (2), მუქარისა და ძალმომრეობის გამოყენებას (3)“. ალბათ, პროფესორი ჰოროვიცი არ გულისხმობს „სტანდარტული“ ომის დროს სამოქალაქო პირების მიზანში ამოღებას. ან ვისთვის არის ეს არაცივილიზებული და მიუღებელი? ალბათ, იმათთვის, ვისაც ძალაუფლება აქვს და შეუძლია თავის ქმედებას სხვის შეტევაზე ადრე თავდაცვითი, პრევენციული ომი დაარქვას. მეორე მხრივ, პროფესორ ჰოროვიცს გონივრული დასკვნა გამოაქვს, როცა ამბობს: „ტერორიზმი ნაწილობრივ კვლინდება მასებში პოლიტიკური თანამონაწილეობის დაკნინებით“ (კურსივი ჩემია. — მ. უ.).

ტერორიზმის საკითხებთან დაკავშირებით მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორი ლუიჯი ბონანატე<sup>7</sup> (Luigi Bonanate, ტურინის უნივერსიტეტი, იტალია), ტერორიზმის შესახებ შემდეგ მოსაზრებას გეთავაზობს: ტერორიზმის სნეულებით დაავადებული საზოგადოებები „ბლოკირებული“ არიან — მათ არა აქვთ ბოლომდე დაშლის ან განვითარების უნარი. ბონანატეს თქმით, არსებობს „შიდა ტერორიზმის“ ორი ფორმა — სახელმწიფო და რევოლუციური, და „საერთაშორისო ტერორიზმის“ ორი ფორმა — კოლონიური და ანტიკოლონიური. გარდა ამისა, ბონანატე ერთმანეთისაგან განასხვავებს „ხელშემწყობ ტერორიზმს“, რომელიც წარმოადგენს საშუალებას სპეციფიკური ობიექტისათვის, და „ფინალურ ტერორიზმს“ როგორც აუცილებელს, მაგრამ ბრძოლისათვის არასაკმარის კომპონენტს (1979).

მართა ქრენშოუ<sup>8</sup>, სახელმწიფო სტრუქტურის სწავლების პროფესორი (Martha Crenshaw, უესლის უნივერსიტეტი, აშშ), თავის ნაშრომებში „რევოლუციური ტერორიზმი“ (1954—1962), „კონტრტერორისტული პოლიტიკა და პოლიტიკური

პროცესი“ (2001) საფუძვლიანად იკვლევს ტერორიზმის არს-სა და გამომწვევ მიზეზებს, მისი გამოყენების მეთოდებსა და ფუნქციებს როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, როგორც პასუხს ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლების ეროზიის ესკალაციაზე. ქრენშოუ ეჭვის თვალთ უყურებს სახელმწიფოს „უცოდველობას“ და აღნიშნავს, რომ, როდესაც სპეციფიკური მოთხოვნები არ კმაყოფილდება, ტერორისტები იმედოვნებენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, რაც მათ ჭეშმარიტ მიზანს შეადგენს. პროფესორი ქრენშოუ ტერორისტული ორიენტაციის დაჯგუფებების შემდეგ კლასიფიკაციას გეთავაზობს:

- 1) რევოლუციონერები – რევოლუციური მოძრაობა ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მიზნით;
- 2) პატრიოტ-ნაციონალისტები – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ;
- 3) სეპარატისტები – ეთნიკური უმცირესობა;
- 4) რეფორმისტები – ჯგუფები, რომლებიც ზოგჯერ უკიდურეს ზომებს მიმართავენ;
- 5) ანარქისტები;
- 6) რეაქციონერები, რომლებიც ხელს უშლიან რეფორმების გატარებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერორიზმის მიზეზებს პროფესორი ქრენშოუ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში ხედავს, ამასთან ერთად იგი ეძებს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებაში კონტრტერორისტული, საპასუხო ქმედებების შეფერხების მიზეზებსაც. ქრენშოუს აზრით, ამერიკის კონტრტერორისტულმა პოლიტიკამ ცხადად გამოამზეურა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები, სახელდობრ ის, რომ ძნელია პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა შორის კონსენსუსის მიღწევა. მ. ქრენშოუ მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი არ არის ერთიანი, რადგან ძალაუფლება განაწილებულია პრეზიდენტს, კონგრესს, აღმასრულებელ ხელისუფლე-

ბას, გამოძიების ფედერალურ ბიუროს (FBI), ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა (CIA) და თავდაცვის სამინისტროს შორის. გადაწყვეტილებების მიღებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მედია, ინტერესთა ჯგუფები, „ექსპერტთა“ გაერთიანებები, პროფესიული საკონსულტაციო ფირმები, კომისია, რომელსაც აქვს კონკრეტული საკითხის ცოდნის გამოცდილება და შეუძლია რჩევა შესთავაზოს სათანადო ორგანოებს.

პროფესორი ქრენშოუ მნიშვნელოვნად მიიჩნევს მეორე გარემოებასაც, რომელიც ასევე ართულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს – იცვლება ტერორიზმის მუქარის შეფასება და შესაბამისად იცვლება საპასუხო რეაქციაც: „თუ ტერორიზმი შეფასებულია როგორც დანაშაული, იგი იუსტიციის დეპარტამენტისა და ფედერალური საგამოძიებო ბიუროს (FBI) კომპეტენციაა, ხოლო თუ ის შეფასდება როგორც ომის წარმოების ხერხი ან ეროვნული უსაფრთხოების მუქარა, პასუხისმგებლობა შესაბამისად გადაინაცვლებს – ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA) და სამხედროები ხდებიან ამ პროცესის ცენტრში, თუმცა არც ფედერალური საგამოძიებო ბიურო (FBI) არ კარგავს თავის როლს“. როდესაც დადგა „ბიოტერორიზმის“ საშიშროება, კონტრტერორისტულ ოპერაციებში ჩაერთვნენ ახალი სააგენტოები – ქიმიკოსები, ბიოლოგები, ექიმები და სხვ., ხოლო როცა ტერორიზმის მუქარა შეფასდა როგორც „სუპერტერორიზმი“, რადგან შეიქმნა ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე, საქმეში ჩაერთვნენ ენერგეტიკის დეპარტამენტი, ფიზიკოსები, თავდაცვის სამინისტრო და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების შესწავლის შედეგად მ. ქრენშოუ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონტრტერორისტული რეაქციის შეფერხება მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული და ამის გამო სახელმწიფო ადმინისტრაცია ვერ ახერხებს თანამიმდევრული კონტრტერორისტული ქმედებების ჩა-

ტარებას და ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ინტერესების საიმედოდ დაცვას.

იმ მეტად ვრცელ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემებს სწავლობს, თავისი მნიშვნელობით, კვლევის მეთოდითა და თვალთახედვით ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება პენსილვანიის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორების სეთია პეტნეიაკისა (Satya Pattanayak) და თომას მ. არვენაიტისის (Thomas M. Arvanites) ნაშრომი „საერთაშორისო ტერორიზმში სახელმწიფოს ჩარევის დეტერმინატები“<sup>9</sup> (1992). ნაშრომის შესავალ ნაწილში მოცემულია საერთაშორისო ტერორიზმის ორი თეორიის – „რაციონალური არჩევანისა“ და „სოციალური ინფექციის“ – შემდეგი განმარტება: „რაციონალური არჩევანის“ მიდგომა ვარაუდობს, რომ ტერორისტები ისეთ ძალმომრეობაში ან ისეთ იძულებით ძალმომრეობით ქმედებაში არიან ჩაბმული, რომელიც, სულ მცირე, ერთ-ერთი მათი მიზნის ოპტიმიზაციას ახდენს. ეს მიდგომა ემსახურება იმას, რომ მიღწეულ იქნეს მარტივი შეთანხმება: გაზარდონ რისკი და სასჯელმა ტერორიზმზე უარყოფითად იმოქმედოს. მეორე დომინანტური პარადიგმა – „სოციალური ინფექცია“ – ვარაუდობს „მსგავსი ინციდენტების განვითარებას მეზობელ ქვეყნებში ღიფუზიისა და მიბაძვის გზით“.

ნაშრომის ავტორების ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ქვეყანა ყოველთვის აღიქმება „ტერორიზმის წყაროდ“, ხოლო ზოგიერთი – „ტერორიზმის სამიზნედ“. მათი აზრით, ასეთმა ვითარებამ წარმოშვა საჭიროება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შესწავლილიყო საერთაშორისო ტერორიზმში ჩაბმული ქვეყნების უმთავრესი სტრუქტურული მახასიათებლები. იმ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს აქვს წარმოდგენილი (1990), ავტორები ქვეყნებს ყოფენ ორ ჯგუფად: 1) „წყარო ქვეყნებად“ (source countries) და 2) „სა-

მიზნე ქვეყნებად“ (target countries). თითოეულ ამ ჯგუფს ისინი კიდევ ორ ჯგუფად ყოფენ, ესენია: A და B ჯგუფები, და C და D ჯგუფები.

**A ჯგუფში** ისინი ათავსებენ ქვეყნებს, რომლებიც ტერორისტული ინციდენტების *იდეოლოგიურ წყაროდ* (ideological source) მოიაზრებიან. ამის მაგალითად მოყვანილია ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელიც შესაძლოა იყოს ისლამური ტერორისტული ჯგუფების საქმიანობის წყარო ირანის გარეთ. A ჯგუფის ქვეყნებში, რომლებსაც ერთი იდეოლოგია – ისლამისტური ფუნდამენტალიზმის თავისებური ვარიანტი – აერთიანებს, მოიაზრება ირანი და ლიბანი. რაც შეეხება კუბას, სირიას, სამხრეთ იემენსა და ჩრდილოეთ კორეას, მათი საექსპორტო იდეოლოგია სოციალიზმის ერთგვარი ფორმაა (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, 1990). რამდენადაც ტერორიზმის თვალსაზრისით ეს ქვეყნები ყველაზე საშიშად მიიჩნიათ, ავტორები ცდილობენ მოძებნონ ის სტრუქტურული მაჩვენებლები, რომლებიც ამ ქვეყნებს საერთო აქვთ. ასეთ მაჩვენებლებად ისინი მიიჩნევენ:

- 1) არც ერთი არ არის დემოკრატიული ქვეყანა;
- 2) ამ ქვეყნებში არსებობს მკაცრი და განსაკუთრებული სახელმწიფო კონტროლი მედიასა და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე;
- 3) ეს ქვეყნები ან კოლონიები იყვნენ, ან ნახევარკოლონიები;
- 4) ხელისუფლების გადაცემა არამშვიდობიანი გზით მოხდა.

**B ჯგუფში** მათ შეჰყავთ ქვეყნები, რომლებიც ტერორისტულ ჯგუფებს *ხელს უწყობენ* (facilitating source) და მფარველობენ მათ საკუთარ ტერიტორიაზე, საიდანაც ისინი ახორციელებენ ტერორისტულ ქმედებებს. ეს ხელშეწყობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება იყოს გამოხატული. ასე, მაგალითად, ტერორისტმა „შეიძლება გამოიყენოს B ჯგუფის ქვეყნის პასპორტი და სხვა ლეგალური და არალეგალური დოკუმენ-

ტები თავისი მიზნების კოორდინაციისათვის; ტერორისტებს B ჯგუფის ქვეყნის ტერიტორიაზე შეუძლიათ სხვისი სახელით გაიარონ რეგისტრაცია როგორც რომელიმე კორპორაციის ან კლუბის წევრებმა. ნაშრომის ავტორთა აზრით, რამდენადაც ტერორისტებისათვის უსაფრთხოების ზომები დასპონსორებულია A ჯგუფში შემავალი ქვეყნების მიერ, ტერორისტულმა ჯგუფებმა შესაძლოა მოძებნონ საიმისოდ უფრო ხელსაყრელი, უსაფრთხო ქვეყნები, საიდანაც უკეთესად მოახერხებენ მოქმედებას<sup>10</sup>. აქ ავტორებს მოჰყავთ იმ ქვეყნების სია, ტერორისტული აქტების რაოდენობა და პროცენტული მონაცემები, რომლებიც, მათი აზრით, 1980–1987 წლების ტერორისტული აქტების უმთავრესი ხელშემწყობები იყვნენ (იხ. ტაბულა № 1).

### ტაბულა № 1

ტერორისტული  
აქტების საერთო  
რაოდენობა

მსოფლიოში  
მომხდარი ტერაქ-  
ტების პროცენტუ-  
ლი შეფარდება

1	ესპანეთი	104	5. 75
2	პარაგვაი	58	3. 21
3	ჰოლანდია	58	3. 21
4	კანადა	57	3. 15
5	კუბა	56	3. 10
6	გაიანა	55	3. 04
7	მექსიკა	54	2. 98
8	გაერთიანებული სამეფო	54	2. 98
9	კოლუმბია	51	2. 82
10	არგენტინა	48	2. 65
11	საფრანგეთი	48	2. 65
12	ბრაზილია	46	2. 54



ამ ცხრილთან დაკავშირებით ავტორები შენიშნავენ: „ეს ციფრები გამომდინარეობს იმ მონაცემებიდან, რომლებიც ცხადად აკავშირებს ტერორისტულ აქტებს სხვა სახელმწიფოებში არსებულ მხარდამჭერ წყაროებთან“. მიკოლესის (Mickolus, 1989) მიერ 1980–1987 წლებში აღნუსხული 3856 საერთაშორისო ტერორისტული აქტიდან სხვა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მხოლოდ 1809 ტერორისტული აქტია დოკუმენტურად დადასტურებული.

მოცემული ცხრილის მიხედვით, საერთაშორისო ტერორისტული აქტების ხელშემწყობი ქვეყნებიდან 1980–1987 წლებში თვალნათლივ იკვეთება: ესპანეთი, პოლანდია, პარაგვაი, კანადა, კუბა და გაიანა (სამხრეთ ამერიკა). „B ჯგუფის წამყვანი ქვეყნები მსოფლიოს ორი რეგიონის – დასავლეთ და სამხრეთ ევროპის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები არიან. პოლანდია და ესპანეთი წარმოადგენენ საერთო ევროპული ბაზრის ინტეგრალურ ნაწილს. პარაგვაი, კუბა და გაიანა სამხრეთამერიკული თავისუფალი სავაჭრო სივრცის აქტიური მონაწილეები არიან. მხოლოდ კანადა რჩება ამ ორი რეგიონის გარეთ... საყურადღებოა, რომ კუბაც A ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა იგი შეიძლება მეორე და მესამე ჯგუფებშიც მოთავსდეს მისი განსაკუთრებული სიძულვილის გამო აშშ-ის მიმართ (1960 წლიდან). მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველა ზემოხსენებული ქვეყანა, კუბას გარდა, ხასიათდება ერთ სულ მოსახლეზე სამხედრო პოტენციალის დაბალი შეფარდებით<sup>11</sup>.

ავტორები ნაშრომში გვაძლევენ შერჩეულ ქვეყნებში ყოველ 1000 სულ მოსახლეზე სამხედრო პირთა რაოდენობის მაჩვენებელს 1980–1987 წლებში (იხ. ტაბულა № 2).

ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლების შედარების საფუძველზე ავტორები ასკვნიან, რომ სამხედრო პერსონალის რაოდენობა 1000 სულ მოსახლეზე ესპანეთში, პოლანდიაში, პარაგვაიში, კანადასა და გაიანაში ბევრად უფრო დაბალია, ვიდ-

რე A ჯგუფის რომელიმე ქვეყანაში, ირანის გარდა. ამის მიზნად ისინი, უპირველეს ყოვლისა, იმას თვლიან, რომ ეს ქვეყნები (პარაგვაი და გაიანა) ან სუსტი სახელმწიფოები არიან, ან ღია საზოგადოებები (ჰოლანდია, ესპანეთი, კანადა). თუ სახელმწიფო სუსტია, იგი ვერ აკონტროლებს ხელისუფლების ურთიერთობას სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ასეთ შემთხვევაში ტერორისტული ჯგუფებისათვის ბევრად უფრო ადვილია ტერორისტული საქმიანობის მართვა თავიანთი ტერიტორიებიდან. ასევე დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს მთავრობის მოსყიდვა ქრთამითა და საჩუქრებით<sup>12</sup>.

## ტაბულა № 2

ქვეყანა	1980	1981	1982	1983	1984	1985	1986	1987
ჩრ. კორეა	39.1	41.9	41.7	40.9	39.9	38.5	40.1	39.1
საბ. იემენი	12.0	11.7	12.3	12.0	12.6	12.2	14.9	39.1
კუბა	22.8	23.8	23.5	25.3	29.8	29.5	29.2	28.9
სირია	28.8	30.1	32.3	41.5	40.2	38.8	37.2	35.9
ლიბია	17.5	17.3	16.4	19.5	24.8	24.8	24.5	23.7
ირანი	7.8	6.4	5.7	5.5	7.4	7.3	7.1	7.0
ჰოლანდია	7.6	7.6	7.4	7.2	7.1	7.1	7.3	7.2
კანადა	3.4	3.3	3.3	3.3	3.3	3.3	3.3	3.3
ესპანეთი	9.5	9.7	9.8	9.3	8.9	8.1	8.1	8.1
დას. გერმანია	8.0	8.0	8.0	8.1	8.0	8.1	8.1	8.1
პარაგვაი	4.4	4.3	4.4	4.3	4.4	3.5	3.9	3.8
გაიანა	9.4	9.2	9.2	9.2	9.2	9.1	7.3	6.5
ლიბანი	5.5	6.1	6.4	6.1	5.8	6.4	10.9	11.1
საფრანგეთი	10.7	10.6	10.6	10.6	10.4	10.2	10.1	10.1
აშშ	9.2	9.4	9.5	9.4	9.4	9.4	9.4	9.3
ისრაელი	52.4	52.9	53.1	52.2	51.2	47.8	43.4	42.6

ცხრილის ოფიციალური წყაროა: მსოფლიო სამხედრო ხარჯები და იარაღის გადატანა, 1988, ვაშინგტონი, სამთავრობო სტამბა (World Military Expenditures and Arms Transfers. 1988, Washington D.C., Government Printing Office).

მეორე მხრივ, თუ საზოგადოება ღიაა, დემოკრატიულია, მაშინ ტერორისტულ აქტზე პასუხი მოგვიანებით მატერიალიზდება, რადგან იქ არსებობენ პოლიტიკური განშტოებები. ასეთ საზოგადოებებს წარმოადგენენ ჰოლანდია, კანადა და ესპანეთი, რომლებიც, ჰოლანდიის გარდა, მრავალეთნიკური ქვეყნებია. ამიტომ სახელმწიფოს მიერ გატარებული დამსჯელი რეპრესიები იმ უმცირესობების მიმართ, რომლებიც შესაძლოა ჩაბმული იყვნენ ტერორისტულ ოპერაციებში, შემდგომ არჩევნებში უფრო ღრმა პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს<sup>13</sup>.

ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ხელშემწყობი“ ქვეყნები ან სუსტი სახელმწიფოები არიან, ან მათ მხარს უჭერენ ის ქვეყნები, სადაც ღია საზოგადოება არსებობს. ავტორები ფიქრობენ, რომ არის სხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ფაქტორებიც, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ „ხელშემწყობი“ ქვეყნის სტატუსში. ასეთ ფაქტორებად ისინი მიიჩნევენ:

- ადგილს, რომელიც უჭირავს ამ ქვეყანას საერთაშორისო ინფორმაციულ ქსელში – სადაც არ უნდა იყვნენ ტერორისტები, პარაგვაიში თუ კანადაში, მათ შეუძლიათ გლობალურად დაამყარონ კავშირი თავიანთ თანამოაზრებთან;
- ყალბი ლეგალური თუ არალეგალური დოკუმენტები (ეს არ ეხება კუბას), რომლითაც ტერორისტს შეუძლია თავისუფლად გადაადგილდეს ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში.

ასე, მაგალითად, ესპანური ან ჰოლანდიური პასპორტი საკმარისია იმისათვის, რომ ჯგუფმა იმოდროს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. პარაგვაისა და გაიანის დოკუმენტი ტერორისტულ ჯგუფებს გზას უხსნის სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისაკენ. ავტორებს ამის ნიმუშად მოჰყავთ ლიბანში მომხდარი ტერორისტული აქტები, რომლებიც ჩადენილი იყო

ან ადგილობრივთა მიერ, ან იმართებოდა მექსიკიდან, პარაგვაიდან და არგენტინიდან.

*С ჯგუფში* მოთავსებულია ქვეყნები, რომლებიც ტერორისტულ ქმედებათა უშუალო სამიზნეებს (immediate target) წარმოადგენენ (იხ. ტაბულა № 3). ავტორებს მაგალითისათვის მოჰყავთ ბასკი სეპარატისტები, რომლებიც ესპანეთიდან მოქმედებენ და ტერორისტულ აქტებს საფრანგეთში აწყობენ. ამ ჯგუფში შედიან შემდეგი ქვეყნები: საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია\* და ლიბანი. მათ მოსდევს აშშ, ესპანეთი, საბერძნეთი და იტალია. უნდა ითქვას, რომ, ლიბანის გარდა, ზემოხსენებული ქვეყნები ღია საზოგადოებები არიან, რომლებსაც აქვთ საკმაოდ მძლავრი შეიარაღება და, ავტორების აზრით, მათთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს შური იძიონ ტერორისტულ ჯგუფებზე, მაგრამ ისინი შეზღუდულები არიან სხვადასხვა ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესების, საერთო ევროპული ბაზრისა და ამ ქვეყნებში მცხოვრებ ამომრჩეველთა ეთნიკური უმცირესობების ფაქტორებით. „ყველა ამ ქვეყანას მჭიდრო კავშირი აქვს აშშ-სა და დიდ ბრიტანეთთან. მნიშვნელოვანია აგრეთვე მათი ლოკაცია და კავშირები საერთო ევროპულ ბაზართან, რაც იძლევა ადვილად გადაადგილების, ტერორისტული შემთხვევების მედიით გაშუქებისა და ბოროტმოქმედთა პოლიტიკური მოთხოვნების საზოგადოებისათვის გაცნობის შესაძლებლობას... ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებს შეუძლიათ გარკვეული როლი შეასრულონ ტერორისტული ჯგუფების მიმართ დამოკიდებულებაში, რადგან ტერორისტებს შეუძლიათ მათი დაქირავება გარკვეული ფულადი ანაზღაურების გზით“<sup>14</sup>.

### ტაბულა № 3

მთავარი „უშუალო სამიზნე“ (immediate target) ქვეყნები  
1980–1987 წლებში.

წელი	ლიბანი	საფრან- გეთი	დას. გერმანია	აშშ	ესპანე- თი	საბერ- ძნეთი	იტა- ლია
1980	44 <sup>a</sup> (9.ᵇ)	45(9.)	19(4.)	47(9.)	13(3.)	31(6.)	24(5.)
1981	56(12.)	36(8.)	40(8.)	40(8.)	23(5.)	22(5.)	22(5.)
1982	35(8.)	49(12.)	46(11.)	48(11.)	10(2.)	20(5.)	26(6.)
1983	71(17.)	45(11.)	11(3.)	12(3.)	10(2.)	14(3.)	5(1.)
1984	79(17.)	42(9.)	19(4.)	9(2.)	25(5.)	17(4.)	13(3.)
1985	82(16.)	23(4.)	23(4.)	7(1.)	29(6.)	30(6.)	19(4.)
1986	96(18.)	41(8.)	17(3.)	14(3.)	35(7.)	13(2.)	11(2.)
1987	73(15.)	27(5.)	20(4.)	6(1.)	27(5.)	9(2.)	13(3.)
80-87	536(14.)	308(8.)	195(5.)	183(4.7)	172(4.4)	156(4.)	133(3.)

**a** ნიშნავს საერთაშორისო ტერორისტული აქტების მთლიან რაოდენობას.  
**b** ნიშნავს საერთაშორისო ტერორისტული აქტების მთლიანი ყოველწლიური რაოდენობის პროცენტულობას (გამოთვლილია მიკოლესისა და სხვათა მიერ. Mickolus, et al. International Terrorism in the 1980s. 1989. Volume II. Appendixes I and 2).

**D ჯგუფი** მოიცავს ქვეყნებს, რომლებიც ტერორიზმის საბოლოო სამიზნეს (ultimate target) წარმოადგენენ<sup>15</sup>. C ჯგუფში შემავალ ქვეყნებზე ტერორისტული დარტყმების გზით, ტერორისტულ ჯგუფებს სურთ ზეგავლენა მოახდინონ D ჯგუფის ქვეყნების (ისრაელი, დასავლეთი გერმანია, საფრანგეთი და აშშ) გადაწყვეტილებებზე. ყოველ მათგანს აქვს უდიდესი სამხედრო პოტენციალი, მაგრამ, ავტორთა აზრით, იმის გამო, რომ ისინი „ღია საზოგადოებები“ არიან, ყველა ანტიტერორისტული გადაწყვეტილება ხანგრძლივი დებატებისა და მსჯელობის საგანი ხდება. ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად, რომლებსაც სამხედრო ძალის კონტროლისა და ბალანსის დიდი

მექანიზმები მოეპოვებათ, დაუყოვნებლივ საპასუხო დარტყმებს თითქმის შეუძლებელს ხდის (ეს არ ითქმის ისრაელზე<sup>16</sup>). ასევე დიდ როლს ასრულებს თავისუფალი პრესა, რომელიც ხელისუფლების რაიმე არასწორი ქმედების შემთხვევაში მის დისკრედიტაციას მოახდენს. ზემოხსენებული ქვეყნები მხედველობაში იღებენ ყოველივე ამას და ცდილობენ სამხედრო დარტყმების ნაცვლად გარკვეული წინასწარი ზომების გატარებას.

D ჯგუფში შემავალი ქვეყნები როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად ახლოს დგანან ტერორიზმის „ხელშემწყობ“ ქვეყნებთან. კუბას გარდა ყოველ მათგანს ფართო სავაჭრო და საინვესტიციო კავშირები აქვს ევროპის ქვეყნებთან, რის გამოც ისინი აქტიურად ვერ მოქმედებენ ამ ქვეყნების ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ – იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ქვეყნების მთავრობათა კეთილ ნებას, რაც იმას გულისხმობს, რომ ზემოხსენებულმა ქვეყნებმა თვითონვე აღმოფხვრან ტერორისტული ორგანიზაციები საკუთარ სახელმწიფოებში.

რამდენადაც თვით ამ ჯგუფებს შორის არსებობს სხვაობა, ნაშრომის ავტორებს არსებითად მიაჩნიათ მოცემულ ჯგუფთა მრავალფეროვანი კომბინაციების კლასიფიკაცია:

*შესაძლებლობა 1)* A, B, C, D ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან;

*შესაძლებლობა 2)* A და B ჯგუფებს შეუძლიათ ერთად იმოქმედონ როგორც ერთმა წყარომ, მაშინ როდესაც C და D ჯგუფები ცალკეულ სამიზნეებად რჩებიან;

*შესაძლებლობა 3)* A და B ჯგუფები და C და D ჯგუფები შესაძლოა ერთად დაიშალონ იმისათვის, რომ შექმნან ქვეყნების მხოლოდ ორი მსგავსი ჯგუფი, რომლებიც ადრე მოქმედებდნენ როგორც „იდეოლოგიური“ და

„ხელშემწყობი“ წყაროები და C და D ჯგუფები, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც „უშუალო“ და „საბოლოო სამიზნეები“;

შესაძლებლობა 4) A და B ჯგუფები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაშინ როდესაც C და D ჯგუფები შესაძლოა ერთად მოქმედებდნენ იმისათვის, რომ შექმნან შერეული ტიპის როგორც „უშუალო სამიზნე“, ასევე „საბოლოო სამიზნე“<sup>17</sup>.

კვლევის მთავარ საკითხებად ნაშრომის ავტორებს მიაჩნიათ ის ობიექტური პირობები, რომელთა მიხედვით ესა თუ ის ქვეყანა ხდება „წყაროდ“ ან „სამიზნედ“, და ის სპეციფიკური თვისებები, რომლებიც ახასიათებს ქვეყნებს, რომლებიც მოცემული ჯგუფების წარმოდგენილ კატეგორიებში ხვდებიან. ისინი ამ თვალსაზრისით სწავლობენ მიკოლესისა (E. F. Mickolus) და სხვა ავტორების მიერ 1980–1987 წლებში აღნუსხული საერთაშორისო ტერორისტული აქტების სტატისტიკურ მონაცემებს<sup>18</sup>. ამასთან ერთად პროფესორები პეტენიაკი და არვენაითსი მოკლედ მიმოიხილავენ გერის (Gurr, 1970) კომპლექსურ-ფსიქოლოგიურ (Aggregate-Psychological) მიდგომას, რომელიც გულისხმობს, რომ საზოგადოება, სადაც არსებობს ნათესავეების დაკარგვის მაღალი დონე, საკუთარი უკმაყოფილების პოლიტიზებას ძალადობის გამოვლენით ახდენს.

დასასრულ, ავტორებს გამოაქვთ შემდეგი დასკვნები: „იმისათვის, რომ არსებობდეს „სამიზნე ქვეყანა“, იგულისხმება, რომ არსებობს „წყარო ქვეყანა“. A ჯგუფის ქვეყანა შესაძლოა იყოს ან „იდეოლოგიური“, ან „ხელშემწყობი“ წყარო. ავტორთა აზრით, „იდეოლოგიური წყაროს“ გარეშე არ არსებობს „ხელშემწყობი წყაროს“ არსებობის საჭიროება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია „იდეოლოგიური წყარო“

ქვეყნების უმთავრესი სტრუქტურული მახასიათებლების გაცნობიერება, იმ ქვეყნებისა, რომლებიც A ჯგუფშია შეტანილი. ამათგან უმეტესი:

- 1) ან ყოფილი კოლონიაა, ან ნახევარკოლონია;
- 2) არის სახელმწიფო, რომელშიც საზოგადოების ბევრ ჯგუფს ნათესავეების დაღუპვის ძალიან მაღალი დონე<sup>19</sup> ახასიათებს;
- 3) სახელმწიფოა, რომელიც სისტემატურად თავიდან იცილებს გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს;
- 4) სახელმწიფოა, რომელიც აწესებს მკაცრ კონტროლს საინფორმაციო და კავშირგაბმულობის ქსელებზე;
- 5) სახელმწიფოა, რომელიც სამოქალაქო მოსახლეობაზე ძალდატანებითი კონტროლის ზომებს ატარებს<sup>20</sup>.

რაც შეეხება B ჯგუფის ქვეყნებს, ისინი შესაძლოა იყვნენ ან არ იყვნენ „ხელშემწყობი წყაროები“. გასული საუკუნის 80-იანი წლების სტატისტიკური მონაცემებით, მხოლოდ კუბა ითვლება როგორც „იდეოლოგიურ“, ასევე „ხელშემწყობ“ წყაროდ. B ჯგუფის ქვეყნების უმრავლესობას:

- 1) ხელსაყრელი ადგილი უჭირავს მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელში;
- 2) ისინი ან სუსტი სახელმწიფოები არიან ძალდატანებითი კონტროლის ზომების თვალსაზრისით, ან „ღია საზოგადოებები“, რომლებიც აქცენტებს კანონიერებაზე აკეთებენ;
- 3) ხელს უწყობენ პოტენციური ტერორისტული ჯგუფების თავისუფალ გადაადგილებას, რადგან თვითონ აქვთ პოლიტიკური კავშირები სხვა ქვეყნებთან იმავე რეგიონში;
- 4) ახასიათებთ ეროვნული ან ეთნიკური წინააღმდეგობების მაღალი დონე<sup>21</sup>.



C ჯგუფის ქვეყნები წარმოადგენენ „უშუალო სამიზნეებს“, ხოლო D ჯგუფისა – „საბოლოო სამიზნეებს“. C ჯგუფის ქვეყნებს აქვთ:

- 1) ხელსაყრელი (favourable) ადგილი მსოფლიო საკუმუნიკაციო ქსელში, რაც მათ ტერორისტული ინციდენტების საჯაროობის (რეკლამის) გარანტიას უქმნის;
- 2) ისინი არიან „ღია საზოგადოებები“;
- 3) აქვთ შურისძიების (რეპრესიების) უნარი, მაგრამ მათი ნება მრავალი პოლიტიკური მიზეზით ფერხდება;
- 4) ახასიათებთ მოსახლეობის ეროვნული თუ ეთნიკური მრავალფეროვნების მაღალი დონე<sup>22</sup>.

რაც შეეხება D ჯგუფის ქვეყნებს, ისინი:

- 1) „ღია საზოგადოებები“ არიან;
- 2) აქვთ რეპრესიული ქმედებების პოტენციის მაღალი დონე;
- 3) რეპრესიების შემთხვევაში, ზრუნავენ სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოებაზე;
- 4) მხედველობაში იღებენ თავიანთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს B ჯგუფის ქვეყნებთან, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული B ჯგუფის ქვეყნების ტერიტორიის ჩართვა ამა თუ იმ რეპრესიულ სამხედრო მოქმედებაში<sup>23</sup>.

მეცნიერთა ერთი ნაწილი კამათობს იმის გამო, რომ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, გაბატონებული რეჟიმების რეპრესიები და საზოგადოების გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ჩამოშორება, მკაცრი კონტროლის დაწესება მედიაზე – ყველაფერი ეს ქმნის აუცილებელ პირობას მომავალი ტერორისტული ქმედებებისათვის. მეორენი ემხრობიან იმ აზრს, რომ ეს აუცილებელი პირობები საკმარისი ხდება იმისათვის, რომ მოხდეს ტერორიზმის ექსპორტი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთი ტიპის ქვეყანა ერთ დროს კოლონიას წარმოადგენდა და მრავალი მიზეზი აქვს საიმისოდ,

რომ განრისხებული იყოს ადრინდელ კოლონიურ ხელისუფლებაზე<sup>24</sup>.

ზემოთ განხილული მასალები საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ საზღვარგარეთელი ტეროლოგები, ექსპერტები და ანალიტიკოსები ბოლომდე მაინც ვერ ახერხებენ ახსნან და გაარკვიონ (ან არ სურთ გაარკვიონ) ტერორიზმის წარმომშობი ჭეშმარიტი მიზეზები და ვერ მიდიან ერთიან, ყველასათვის მისაღებ კონცეფციამდე. რა თქმა უნდა, წარმოდგენილი ნაშრომები მნიშვნელოვანია და შეიცავენ გარკვეულ რაციონალურ მარცვალს, მაგრამ, რაც მთავარია, ვერ გვთავაზობენ პრობლემური საკითხების მოგვარების მშვიდობიან გზებსა და მეთოდებს. სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით ისინი ცდილობენ გამოავლინონ ტერორიზმში ჩაბმული ქვეყნები. თითოეულ მოსახლეზე შეიარაღების, ტერორისტული აქტების რაოდენობის, ამ სახელმწიფოებში დემოკრატიულობის დონის შესწავლის საფუძველზე ახდენენ ქვეყნების კლასიფიკაციას „იდეოლოგიურ“, „ხელშემწყობ“, „უშუალო სამიზნე“ და „საბოლოო სამიზნე“ ქვეყნებად. მართალია, ტერორიზმის აღმოცენების ერთ-ერთ მიზეზად ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ასახელებენ, მაგრამ მას მხოლოდ გაკერით ეხებიან და აქცენტს იდეოლოგიურ (მარქსიზმი) და სოციალურ (სოციალური ინფექცია) მოტივაციაზე აკეთებენ. ეს მეცნიერები არაფერს ამბობენ მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოთა (მათ შორის აშშ-ის) მიერ ეკონომიკურ-პოლიტიკური დომინირების მცდელობაზე. ისინი თვალს ხუჭავენ იმაზე, რომ ტერორიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის საპასუხო რეაქცია „ტერორისტულად“ მიჩნეული სახელმწიფოების საშინაო და საგარეო საქმეებში უხეშ ჩარევაზე. ნაცვლად იმისა, რომ ზესახელმწიფოებმა რეალურად ხელი შეუწყონ პრობლემების მოგვარებასა და მშვიდობიანი ურთიერთობების განმტკიცებას, საპასუხო კონტრტერორისტული პროპაგანდისა და ქმედებების გზით ისინი კიდევ უფრო აღრმავებენ ქვეყ-

ნებს შორის არსებულ ანტაგონიზმს. რჩება შთაბეჭდილება, რომ „ღია საზოგადოებების“ – დემოკრატიული ქვეყნების დაცვის საფარველით ზესახელმწიფოები და მათთან ერთად მსოფლიოს სხვა უძლიერესი ქვეყნებიც ქმნიან „პრევენციული დარტყმების“ აუცილებლობის თეორიულ საფუძველებს, აყალიბებენ თავიანთთვის სასურველ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ცდილობს გაამართლოს ამ სახელმწიფოთა შემდგომი პრაქტიკული ნაბიჯები.

## „ტერორისტის ფსიქოლოგია“ და „ყურანი“

საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა არა მხოლოდ პოლიტიკოსების, ტეროლოგების, სამხედრო ექსპერტების, მედიისა და სხვა მომიჯნავე დარგთა წარმომადგენლების კვლევის საგანი ხდება, არამედ ფსიქოლოგების, ექიმ-ფსიქიატრებისა და რელიგიის სპეციალისტებისაც.

ეს ბუნებრივიცაა. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად ნორმალური ფსიქიკის ადამიანები არიან ტერორისტები, მათი თავგანწირვა და მოწამებრივი აღსასრული (თვითამფეთქებლობა) ფსიქიკური გადაზრის შედეგია, თუ რელიგიური ფანატიზმის.

თანამედროვე ამერიკული სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს როგორც ტერორის შედეგად მიყენებული ფსიქიკური ტრამეების, ასევე თვით ტერორისტის ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლას. ფსიქოლოგები და ფსიქიატრები სპეციალურად შემუშავებული ტესტებისა და კლინიკური დაკვირვებების საფუძველზე იკვლევენ როგორც თვით ტერორისტთა, ასევე ტერორიზმის მსხვერპლთა პიროვნულ თვისებებსა და ფსიქიკურ მდგომარეობას და ეძებენ მათი რეაბილიტაციის საშუალებებს<sup>25</sup>.

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პოლიტიკური ფსიქოლოგიის პროფესორი, აშშ-ის სასამართლო დეპარტამენტის ექსპერტი ჯეროლდ მ. ფოუსტი<sup>26</sup> (J. M. Post, 1990) ტერორისტული ჯგუფების ლიდერებს ორ ძირითად ტიპად ყოფს:


- 1) ინდივიდები, რომლებიც ნარცისისეული სოციოპათური თვისებებით ხასიათდებიან;
- 2) განრისხებული პარანოიდები.

„ნარცისისეულ“ ტერორისტებად პროფესორი ფოუსტი მიიჩნევს საკუთარ თავზე ორიენტირებულ ადამიანებს, რომლებიც როგორც სხვისი ტანჯვისა და ტკივილის გათავისების, ასევე საკუთარი სინდისის ნაკლებობას განიცდიან.

„განრისხებულ პარანოიდებს“, ავტორის აზრით, აქვთ საკუთარი პრობლემების უკიდურესად გამუქების ტენდენცია. ისინი იტანჯებიან იმის გამო, რომ წარმატებებს ვერ აღწევენ პიროვნული, საგანმანათლებლო ან პროფესიული თვალსაზრისით. ისინი საკუთარ თავში კი არ ეძებენ მიზეზებს, არამედ გარეშე ძალებს თვლიან მათი პრობლემების წყაროდ. „ეს ჩვენ კი არაა, ისინი არიან დამნაშავენი, ისინი არიან პასუხისმგებლები ჩვენს პრობლემებზე“, – აი ეს არის მათთვის ამ პრობლემების ფსიქოლოგიურად დამაკმაყოფილებელი ახსნა. ამიტომ „მათზე“ დარტყმის მიყენება მორალური იმპერატივი ხდება. ასეთი ინდივიდები ცდილობენ გამოსავლის პოვნას, ერთიანდებიან ჯგუფებში. სწორედ აქ იწყებს მოქმედებას ე.წ. „ორგანიზაციული ფსიქოლოგია“, რომელიც ცალკეული ინდივიდის ქცევისა და ექსტრემიზმის ახსნას იძლევა.

პროფ. ჯ. ფოუსტი ჯგუფის დინამიკის კვლევის დროს ტერორიზმის ფართო სპექტრის გრაფიკულ სქემას გვთავაზობს (იხ. სქემა № 1), აყალიბებს ტერორიზმის ახალ ტიპოლოგიას და აღნიშნავს, რომ ამ სპექტრის თითოეულ ტიპს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგია აქვს<sup>27</sup>.

## სქემა № 1



ავტორი დიდ ინტერესს იჩენს ე. წ. „ტერორისტული ფსიქოლოგიის“ ჩამოყალიბების პროცესისადმი. ამ მიზნით ის სწავლობს თაობათა ურთიერთობებს, რასაც გადამწყვეტ როლს ანიჭებს ტერორიზმის ორი სახეობის – სოციალურ-რევოლუციურისა და ნაციონალისტურ-სეპარატისტულის აღმოცენებაში.

„ტერორისტული ფსიქოლოგიის“ კონცეფცია არის მოხერხებული გზა თავიდან იქნეს აცილებული სირთულეები, მათ შორის პოლიტიკურიც. ამ კონცეფციის ზოგიერთი დამცველი თავდაჯერებულად აცხადებს, რომ ტერორისტს აყალიბებს „არაადეკვატური ან დელობრივ მზრუნველობას მოკლებული გარემო“, რაც შედეგად იწვევს დებრესიას, ჰიპოქონდრიას, დისფორიასა და მავნებლობას<sup>28</sup>.

ტეროლოგები, რომლებიც პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში მუშაობენ და ცალკეულ ტერორისტთა ფსიქიკას იკვლევენ, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ყოველ ტერორისტს კარგად აქვს

გააზრებული თავისი ქმედება – უსამართლობამ მიიყვანა იგი ტერორიზმამდე. ეს არ არის არც მისი სიგიჟე, არც უცნაურობა. ტერორისტები ძალმომრეობას (ან ძალის გამოყენების მუქარას) მხოლოდ იმიტომ და იმისათვის მიმართავენ, რომ სჯერათ – მხოლოდ ამ გზით შეიძლება გაიმარჯვოს საქმემ, რომელსაც ისინი ემსახურებიან, იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მათი დიდი ხნის პოლიტიკური მიზნები<sup>29</sup>.

ამის მაგალითად ჩვენ შეგვიძლია მოვიტანოთ 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტი, რომლის შემდგომმა გამოძიებამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ტერორისტული ჯგუფების ხელმძღვანელთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება ევროპისა და აშშ-ის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული. ასე, მაგალითად, მუჰამედ ატა ალ საიდს (Mohamed Atta al Sayed), რომელსაც 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის ორგანიზატორად მიიჩნევენ, დამთავრებული ჰქონდა ჯერ ქაიროს უნივერსიტეტის (ეგვიპტე) არქიტექტურის ფაკულტეტი, შემდეგ სწავლობდა ჰამბურგის ტექნიკურ უნივერსიტეტში (გერმანია) ქალაქდაგეგმარების ფაკულტეტზე. არსებობს ინფორმაცია, რომ იგი ვალენსიაში (ესპანეთი) მედიცინასაც ეუფლებოდა. მან აგრეთვე დაამთავრა „ჰაფმანის საერთაშორისო საავიაციო სკოლა“ (Huffman Aviation International, ფლორიდა, აშშ) და მფრინავის ლიცენზია მიიღო.

საინტერესოა კალიფორნიელი მეცნიერების ჯ. ჰ. ზუკისა (ფსიქოლოგი) და კ. ვ. ზუკის (ფსიქიატრი) თეორია (1998). იგი წარმოადგენს „ფენომენოლოგიურ მოდელს, რომელიც ხელს უწყობს განზომილების აბსტრაგირების მიზნით ქცევაზე მეცნიერული დაკვირვებების შედეგთა ინტენსიურ ანალიზს, რაც დაკვირვებათა კოდირებას და ერთ სისტემად მათ ჩამოყალიბებას ემსახურება“<sup>30</sup>.

ჯ. ჰ. ზუკი და კ. ვ. ზუკი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ცალკეულ ინდივიდთა იმედგაცრუება, რომელიც გამოწვეულია რო-

გორც სუბიექტური (ინტრაპერსონალური), ასევე ობიექტური (ინტერპერსონალური) მიზეზებით, ხშირ შემთხვევაში აძლიერებს უარყოფის გრძნობას. სწორედ ეს გარემოება ხდება აღნიშნულ ავტორთა „ნეგაციის თეორიის“ საფუძველი. ეს თეორია ოთხ საფეხურს მოიცავს:

- 1) უარყოფას;
- 2) დევნის იდეის ფორმირებასა და აღქმას;
- 3) ტრანსცენდენტური წყაროს მიმართ ერთგულებას;
- 4) ევანგელიზმს/მოწამებრიობას.

ავტორებმა მიზნად დაისახეს ტერორისტის ფსიქოლოგიის შესწავლა, რისთვისაც ისინი იკვლევენ ტერორისტის ოჯახს, ცხოვრების პირობებს, იმ გარემოს, სადაც ის გაიზარდა, მის ინტერესებს, ურთიერთობას ადამიანებთან, მიღწევებსა და ჩავარდნებს, იმედგაცრუების მიზეზებს, გამოსავლის ძიების გზებს და ცდილობენ შექმნან ტერორიზმში ჩაბმულ ადამიანთა ფსიქიკის ჩამოყალიბების სრული სურათი; ცდილობენ გაარკვიონ, თუ რატომ ვერ ხერხდება ლოგიკითა და გონებრივი განსჯის გზით ამ ინდივიდებზე ეფექტური ზემოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნორმალური ფსიქიკის ადამიანები არიან. ისეთი „ფსიქიკური აშლილობა, – წერენ ისინი, – როგორცაა მანიაკალური დარღვევა (delusional disorder), წარმოშობილია სავსებით ნორმალური ადამიანური ფუნქციისაგან, სახელდობრ, ადამიანის უნარისაგან სჯეროდეს იმისა, რაც მას უშუალოდ არ ძალუძს შეიცნოს, მაგრამ მისთვის ავტორიტეტულ პირთა მიერ არის ჩაგონებული. რწმენა ადამიანებში არის ფუნქცია, რომელიც იგივეა, რაც განათლება; ეს არის განსწავლულობის არსებითი მექანიზმი. მაგრამ ის, რაც ინდივიდს ჩვეულებრივ ასე კარგად ემსახურება როგორც უმთავრესი საფუძველი იმისა, თუ როგორ იფუნქციონიროს ყოველდღიურ ცხოვრებაში, შესაძლოა გარკვეულ გარემოებებში სერიოზული არასწორი ფუნქციონირების მიზეზი გახდეს. ერთ-ერთ ასეთ მიზეზად მანიაკალური დარღვევა მიგვაჩნია“<sup>31</sup>.

სტენფორდის (კალიფორნია, აშშ) უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და ქცევის მეცნიერებათა პროფესორი ჩ. კუპმანი (Ch. Koopman) იკვლევს პოლიტიკური ტერორით გამოწვეული ტრამვეული მოვლენების ფსიქოლოგიურ ეფექტებს (2002). მისი ყურადღების არეალში ექცევა ისეთ გამოჩენილ ფიგურათა მკვლევარობები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოიტანონ და ადამიანთა ცალკეული ჯგუფების ან მთელი ხალხის დემორალიზების მიზეზად იქცნენ<sup>32</sup>.

კუპმანის აზრით, ტერორიზმის შედეგად მიყენებული ტრავმის მრავალი შემთხვევა ან უგულებელყოფილია, ან მათ პოლიტიკური ფსიქოლოგები არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას, რადგან ამ შემთხვევების ცხადი პოლიტიკური მიზეზები რელიეფურად არ არის გამოკვეთილი. არსებობს მხოლოდ მცირეოდენი ლიტერატურა, რომელიც ახდენს ინდივიდთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პერსპექტივების ინტეგრირებას. ჩ. კუპმანის თქმით, თუკი ტრავმულ შემთხვევათა პოლიტიკური ფსიქოლოგია შემდგომ განვითარებას პოვებს, შესაძლებელი იქნება შემუშავდეს უკეთესი სტრატეგია ტერორისტული აქტების უარყოფითი შედეგების შესაფერხებლად და შესამცირებლად.

პოლიტიკური ტრავმული მოვლენების (პოლოკოსტი, I და II მსოფლიო ომები, ვიეტნამი, ომები სპარსეთის ყურეში, ადამიანთა გატაცება, ტყვეობა, წამება, პოლიტიკური ლტოლვილები/მიგრაცია, პოლიტიკური მკვლევარობები, ტრავმის პოლიტიკური ფორმა – გაუპატიურება და სხვ.) ფსიქოლოგიური შედეგების შესწავლის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ აუცილებელია:

- 1) ინდივიდებზე პოლიტიკური მიზნებით მიყენებული ტრავმული სიმპტომების შემდგომი სისტემატური გამოკვლევა;



2) ტრავმულ მოვლენათა განზომილებებისა და კონტექსტის ზედმიწევნითი შესწავლა იმისათვის, რომ მთელი სისრულით ჩავწვდეთ ფაქტორებს, რომლებიც ამწვაებენ ან ამსუბუქებენ ტრავმირებულ ინდივიდთა ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის უარყოფით შედეგებს.

კორნელის უნივერსიტეტის (აშშ) ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის ასოცირებულმა პროფესორმა ჯოან დიფედმა<sup>33</sup> (Joann Difede) და არაერთმა სხვა მკვლევარმა, რომლებიც სწავლობენ ტერორიზმის მსხვერპლთა ეფექტური რეაბილიტაციის მიზნით ტერორიზმის შედეგად წარმოქმნილ მწვავე პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას (posttraumatic stress disorder), დაადგინეს (2002), რომ მას მოაქვს უმძიმესი ფსიქიკური შედეგები: უძილობა, მოჩვენებები, დეპრესია, შიში, ფსიქოსომატური ჩივილები, ფსიქოლოგიური, სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენის შემცირებული უნარი, აკვიატებული წარმოსახვები და ფიქრები, ნარკოტიკების მიღების აუცილებელი მოთხოვნილება და სხვ.

ფსიქოლოგთა, ფსიქიატრთა, პოლიტიკურ ფსიქოლოგთა უმრავლესობა ცალკეულ ტერორისტ-ინდივიდთა ფსიქიკური მდგომარეობის ფუნდამენტური კვლევის შედეგად აღიარებს, რომ ტერორისტთა შორის იშვიათად თუ გვხვდებიან ადამიანები, რომლებსაც რაიმე პათოლოგიური ფსიქიკური გადახრა აქვთ<sup>34</sup>. ეს განპირობებულია შემდეგი საგულისხმო გარემოებით: ისევე, როგორც ფსიქიურად არასტაბილურ პიროვნებას შეუძლია პრობლემები შეუქმნას ან საფრთხის წინაშე დააყენოს ესა თუ ის სამხედრო ნაწილი, არასტაბილური ფსიქიკის მქონე ადამიანს შეუძლია საშიშროება შეუქმნას ტერორისტულ ჯგუფს ან ორგანიზაციას. ამიტომ ასეთი ადამიანები მათი რიგებიდან არა მხოლოდ გარიცხვას, არამედ ლიკვიდაციასაც ექვემდებარებიან.

კონექტიკუტის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ტეროლოგი მართა კრენშოუ (Martha Crenshaw) ტერორისტის ფსიქოლოგიაზე მსჯელობისას ხაზგასმით აღნიშნავს: „კრიტიკულად უნდა მივუდგეთ შეხედულებას, რომ ტერორისტის სტერეოტიპები ირაციონალური ფანატიკოსები არიან... ტერორისტთა დამახასიათებელი თვისება *მათი ნორმალურობაა*“ (კურსივი ჩემია. – მ. უ.)<sup>35</sup>.

ამ მოსაზრებას იზიარებს აშშ-ის საგარეო საქმეთა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, RAND-ის კორპორაციის ვაშინტონის ოფისის დირექტორი ბრიუს ჰოფმანი (Bruce Hoffman). იგი ამბობს: „უმრავლეს შემთხვევაში, ტერორიზმი არც სიგიჟეა და არც კაპრიზი... სინამდვილეში ის არის წინასწარგააზრებული, კარგად დაგეგმილი ძალადობის გამოყენება“<sup>36</sup>.

ტერორისტის ფსიქოლოგიის შესასწავლად ტერორისტთა მცირე რაოდენობის მემუარებიდან ბ. ჰოფმანი აანალიზებს რამდენიმეს (მენაჰენ ბეგინის „აჯანყება“, ბომი ბაუმანის „ტერორი თუ სიყვარული?“, აბუ ლიადის „ჩემი სახლი, ჩემი მამული“, ლეილა ხალიდის „ჩემი ხალხი იცოცხლებს“) და აღნიშნავს, რომ ეს მემუარები რომანტიკულ ფერებშია წარმოდგენილი და ნაკლებ ინფორმაციულია. მემუარების ავტორები გადმოგვცემენ მოწამებრიობის დეტალებს და საკუთარ დამსახურებას უფრო წარმოაჩენენ, ვიდრე იმ მიზეზებს, იმ უსამართლობას, რამაც ისინი ტერორიზმამდე მიიყვანა.

ბ. ჰოფმანი მიმოიხილავს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე, განმათავისუფლებელ თუ სხვა სახის ტერორიზმს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ტერორისტები იბრძვიან:

- 1) საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად;
- 2) იმისათვის, რომ მასმედიის საშუალებით პროპაგანდა გაუწიონ ტერორისტულ აქტებს;
- 3) იმ იმედით, რომ საბოლოო გამარჯვებას მაინც მიაღწევენ; მათთვის მომავლის იმედი განსაზღვრავს არსებულ რეალობას.

ამრიგად, ტერორისტთა ოჯახების, ცხოვრების პირობების, გარემოს, მათი ფსიქიკის შესწავლის საფუძველზე მეცნიერები კატეგორიულად უარყოფენ იმ აზრს, რომ ტერორისტებს რაიმე ფსიქიკური გადახრა აქვთ; ისინი ასკვნიან, რომ ტერორისტები სავსებით ნორმალური ადამიანები არიან, მათი ქმედებები პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის წინასწარგააზრებული და დაგეგმილი ძალადობაა.

უცხოელ მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებით, ტერორისტთა „მოწამებრიობა“, თვითამფეთქებლობა რელიგიური ფანატიზმის შედეგია. ეს შეხედულება რომ დაასაბუთოს, ზოგიერთი მათგანი იშველიებს „ყურანსა“ და მაჰმადიანურ კანონთა კრებულს „შარიათს“. ზოგი მეცნიერი კი ცინიკურად აცხადებს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ თვითამფეთქებლობა უბრალოდ ბიზნესია. მათ ავიწყდებათ, რომ ტერორი საერთოდ, კერძოდ კი თვითამფეთქებლობა „უკიდურესობის პოლიტიკაა“. ისინი ცდილობენ ეს მოვლენა დასავლური ცივილიზაციისადმი სიძულვილითა და რელიგიური დოგმებით ახსნან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თვითონვე ვარდებიან წინააღმდეგობაში.

ასეთ მკვლევართა ჯგუფს მიეკუთვნება ლონგ აილენდის (აშშ) უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის პროფესორი ჰარვი უ. კუშნერი (Harvey W. Kushner). თავის სტატიაში „თვითმკვლელი ამფეთქებლები: ბიზნესი, ჩვეულებისამებრ“<sup>37</sup> ისტორიული ექსკურსის შემდეგ ახდენს იმის კონსტატაციას, რომ ეს მოვლენა სულაც არ არის ახალი – იგი ჯერ კიდევ XI–XIII საუკუნეების ერთ-ერთი შიიტური სექტისაგან, ასასინებისაგან იღებს სათავეს.

ავტორი აღნიშნავს, რომ, თუმცა მუსლიმანური ტრადიციის – კარბალას (ადგილი, სადაც მუჰამედის ძმისშვილი ჰუსეინი დაიღუპა) – აღნიშვნის დროს ახალგაზრდების თვითგვემა მიმდინარეობს, „კარბალა არ არის თვითმკვლევლობის აქ-

ტი — მაჰმადიანობა კრძალავს საკუთარი სიცოცხლის ხელყოფას. ის არის სიმბოლო უმაღლესი მზაობისა დამორჩილდეს ალაჰის ნებას იმ შეგნებით, რომ ჯილდოს ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მიიღებს“. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „დედამიწაზე ცხოვრება უბრალოდ გარდამავალი გზაა უკეთეს ცხოვრებაში გადასასვლელად“<sup>38</sup> და რომ მხოლოდ ალაჰის წარმომადგენელს ამქვეყნად — მოლას აქვს უფლება შეარჩიოს მოწამებრიობის ღირსი ადამიანები. პოტენციური თვითამფეთქებლები (თვითმკვლელები) 12–17 წლამდე ასაკის ახალგაზრდები არიან, მათ უმრავლესობას დაკარგული ჰყავს ახლო ნათესავები, მეგობრები და უაღრესად დიდი სიძულვილით არის გამსჭვალული მტრის წინააღმდეგ. ეს ახალგაზრდები საგანგებო წვრთნას გადიან — მათ ასწავლიან მაჰმადიანობისათვის თავდადებას, ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებას და იმქვეყნად ზღაპრულ ცხოვრებას ჰპირდებიან. შექმნილმა ვითარებამ მეცნიერების წინაშე წამოჭრა კითხვა: არის თუ არა მაჰმადიანური წმინდა წიგნი „ყურანი“ მუსლიმანური ტერორიზმის წარმოშობის წყარო და რამდენად ქადაგებს ის რელიგიურ შეუწყნარებლობასა და ფანატიზმს.

ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება აღმოსავლეთ გრინვიჩის (Rhode Island, აშშ) სოციალური კვლევის სამსახურის დირექტორის თ. ფ. შვორცის (Schwartz T. P.) ნაშრომი „ტერორი და ტერორიზმი ყურანში“<sup>39</sup>. ავტორი ცდილობს ობიექტურად გააანალიზოს „ყურანში“ წარმოდგენილი ძირითადი დებულებები და საილუსტრაციოდ მოჰყავს ის ადგილები, რომლებიც, მისი აზრით, შესაძლოა „თალიბანის“, ბინ ლადენისა და „ალ ქაიდას“ ქმედებათა იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდეს. აი ერთ-ერთი მათგანი:

*„როცა უფალი გამოეცხადა ანგელოსებს, უთხრა მათ:  
«მე თქვენთან ვარ, რომ სიმტკიცე მივანიჭო მათ,  
ვისაც სწამს;*

*შიში ჩავუნერგო გულში მათ, ვისაც არ სწამს;  
კისრის ზედა ნაწილი მოკვეთო და წაეჭრა ყველა  
თითის წვერი»<sup>40</sup>.*

ამ სტროფის შინაარსი, პროფესორ შვორცის აზრით, მუსლიმანთა ერთ ნაწილს პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და ფიქრობს, რომ იგი ტერორს ქადაგებს მაჰმადიანობის ოპონენტების წინააღმდეგ. მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც. შვორცი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მასმედია ხშირად აქვეყნებს მაჰმადიან მეცნიერთა და მუსლიმან ლიდერთა ინტერვიუებსა და სარედაქციო წერილებს, სადაც რესპონდენტები და ავტორები ამტკიცებენ, რომ „ყურანი“ კრძალავს ტერორიზმს და არასოდეს მისცემდა უფლებას მაჰმადიანებს მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმაში 2001 წლის 11 სექტემბერს. აქ თ. პ. შვორცს მოჰყავს კოლუმბიის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის ენებისა და კულტურის ფაკულტეტის პროფესორის ჰამიდ დებეშის (Hamid Dabashi) სიტყვები: „არსად არც ყურანი, არც მაჰმადიანური თეოლოგია, არც მუსლიმანური კანონმდებლობა რაიმე აზრით, სახითა თუ ფორმით არ ამართლებს ორი თვითმფრინავის განზრახ შეჯახებას სამოქალაქო შენობებზე“<sup>41</sup>.

ამავე შეხედულებას გამოხატავს მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) მასწავლებელი და დიებორნის მუსლიმანთა სულიერი ლიდერი მუჰამედ ე. მ. ელ-სეიდი, რომელმაც თავისი ერთ-ერთი ლექციის დროს სრულიად უარყო კავშირი „ყურანსა“ და ადამიანის კვლას შორის. იგი ფიქრობს, რომ ტერორისტებმა, რომლებმაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმა განახორციელეს, ერთმანეთში აურიეს „ბრძოლისა“ და „მოკვდინების“ ყურანისეული ახსნა, და რომ ყურანი კრძალავს არათუ ვინმეს სიცოცხლის მოსპობას, არამედ ხის მოჭრასაც კი“<sup>42</sup>.

თ. პ. შვორცი ცდილობს ობიექტურად გამოიკვლიოს მუსლიმანთა წმინდა წიგნი იმ მიზნით, რომ ცხადყოს რამდენად ემსახურება „ყურანი“ ტერორისა და ტერორიზმის პროპაგანდას. იგი ერთმანეთს ადარებს „ყურანის“ ორ ინგლისურ თარგმანს და მათი შეჯერების საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ტერმინები „ტერორი“, „ტერორიზმი“, „დატერორება“ ან მათი სინონიმები მასში არსად არ მოიძებნება. უფრო მეტიც, მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყურანში“ მან ვერ იპოვა ისეთი სტროფი, რომელიც აქეზებდეს ან წარმართავდეს პიროვნებას დამოუკიდებლად იმოქმედოს, ინდივიდუალურად ჩაებას ტერორში. მაგრამ ავტორი იქვე დასძენს, რომ წმინდა წიგნში გვხვდება, „სულ ცოტა, ათი ისეთი სტროფი, რომლებიც „ყურანის“ სიტყვასიტყვით მკითხველებს კოლექტიურ ქმედებათა გამართლების საშუალებას აძლევს“. ამ სტროფებში ვხვდებით სიტყვებს: „შიში“, „პანიკა“, რომლებიც მიმართულია არამაჰმადიანთა – „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ. აქ შვორცი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ არ შეიძლება კონტექსტიდან ცალკეულ სიტყვათა ამოგლეჯა; რომ ზემოხსენებული სიტყვები სამხედრო მოქმედებებს ეხება (მუჰამედის ბრძოლა მექადან მოსული არამუსლიმანი ტომის წინააღმდეგ) და არა სამოქალაქო მოსახლეობას.

ჩვენი მხრივ, არ შეგვიძლია აქვე არ შევნიშნოთ, რომ ის, რაც სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ მუსლიმანთა დამოკიდებულების შესახებ არის აქ ნათქვამი, სინამდვილეს სრულიადაც არ შეეფერება. ამას მოწმობს საქართველოს ისტორიის ანალები, რომლებიც მოიცავენ პერიოდს VIII საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე. მათში აღბეჭდილია მუსლიმანთა მრავალრიცხოვანი არმიების სისხლისმღვრელი შემოსევები, რასაც თან ახლდა საქართველოს სამოქალაქო მოსახლეობის სასტიკი რბევა, აწიოკება, მასობრივი უღელტა და გადასახლებები (736–738 წლებში არაბთა სარდლის ამირა მურვან იბნ-მუჰამედის – მურვან ყრუს, 852-854

წლებში ბულა თურქის, 1225 წელს თურქმანი ჯალალ აღ-  
დინის, რვაჯერ 1386–1403 წლებში თემურლენგის, 1614,  
1615, 1616 და 1617 წლებში შაჰ აბასის, 1795 წლის ალა-  
მაჰმად ხანის უსასტიკესი შემოსევები საქართველოში, რომ-  
ლის დროსაც მაჰმადიანები სწორედ სამოქალაქო მოსახლეო-  
ბას ანადგურებდნენ).

მართალია, „ყურანი“ არ ახსენებს სიტყვა „ტერორს“,  
მაგრამ ის თვითონვე აღწერს, თუ რა ხშირად ემუქრებოდნენ,  
ერეკებოდნენ, აპარტახებდნენ, აუდაბურებდნენ, ანადგურებ-  
დნენ და ადგილს უცვლიდნენ მუსლიმანები დასახლებულ  
პუნქტებს, სპობდნენ მთელ თაობებსა და „ცოდვილთა“ კლა-  
ნებს, კერპთაყვანისმცემლებს, ფიცის გამტეხებს, ხელშეკრუ-  
ლების დამრღვევებს და სხვ. „ყურანში“ უამრავი ისეთი  
სტროფია, სადაც ალაჰი სამარადისო კრულვითა და ჯოჯო-  
ხეთის ცეცხლში დაწვით ემუქრება იმათ, ვინც მას თაყვანს  
არ სცემს.

მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით შვორცი აკრიტი-  
კებს იმათ, ვინც ამართლებს ტერორის გამოყენებას და ამ-  
ბობს, რომ მაჰმადიანთა წმინდა წიგნი ნებას არ აძლევს  
ცალკეულ ინდივიდებსა და მცირე არაოფიციალურ ჯგუფებს  
– ალაჰის ნების გარეშე, თავისთავზე აიღონ სხვა ადამიანებ-  
ში შიშის დანერგვის პასუხისმგებლობა. შრომის ავტორი ხაზ-  
გასმით აღნიშნავს, რომ ტერორიზმი „მაჰმადიანობიდან კი არ  
იღებს სათავეს, არამედ ბევრად უფრო ადრე მომთაბარე სა-  
ზოგადოებებიდან და საბერძნეთისა და რომის იმპერიებიდან  
მომდინარეობს“<sup>43</sup>. შვორცს მხედველობიდან არც ის რჩება,  
რომ არსებობს სხვა წმინდა წიგნებიც, სახელდობრ, „ბიბ-  
ლია“ და „თორა“, სადაც ადამიანებში შიშის დანერგვას მრავ-  
ალი სტრიქონი ეძღვნება.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეი-  
ძლება: მეტ-ნაკლებად ყველა რელიგიაში გეხვედება ადამიანებ-  
ში შიშის დანარგვის ცდა, მთავარია, ვინ როგორ წაიკით-

ხავს, რა ინტერპრეტაციას მისცემს და როგორ გამოიყენებს მას. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის საყურადღებო ფაქტი, წერს შრომის ავტორი, რომ ერთ მილიარდ მუსლიმანთაგან მხოლოდ ძალზე მცირე პროცენტია ჩაბმული ტერორისტულ საქმიანობაში.

მაგრამ არსებობს ერთი საჩოთირო მოვლენა — „ორმაგი სტანდარტის“ პოლიტიკა (მის შესახებ მასალები მეტად მცირე რაოდენობით არის ხელმისაწვდომი), რომელიც მსოფლიო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ უდიდეს ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს.

„ორმაგი სტანდარტის“ პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითს წამოადგენს „აშშ-ირანკონტრას“ გამოაშკარავებული სკანდალი, რომელშიც უშუალოდ იყვნენ ჩაბმული სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, კერძო კომპანიები, დიდი თუ მცირე კორპორაციები, პრეზიდენტები, მეფეები, სულთნები, მაღალჩინოსანი სამხედრო პირები, მოღვაწეები, რაბინები, დიპლომატები, ნარკომაფიოზები; ისინი ეწეოდნენ მაქინაციებს, რომლებიც ვრცელდებოდა ცამეტი სხვადასხვა ქვეყნის მასშტაბით და მოიცავდა ხუთივე კონტინენტს. ზემოხსენებულ ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები იარაღით ვაჭრობდნენ გარკვეულ ტერორისტულ ჯგუფებთან იმ მიზნით, რომ გაეფართოებინათ თავიანთი მოქმედების არეალი — მოეძებნათ და დაეფინანსებინათ კიდევ სხვა ტერორისტული ჯგუფები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც ამ ბინძურ ბიზნესში ჩაბმული ყოველი მათგანი *ტერორიზმს საჯაროდ ემობდა* (კურსივი ჩემია. — მ. უ.).

ამერიკელი მეცნიერები დაუფარავად აღიარებენ, რომ აშშ-ის ხელშეწყობით შექმნილმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა („თალიბანი“ და სხვ.), რომლებიც სსრ კავშირის წინააღმდეგ იყვნენ მიმართული, სავალალო როლი შეასრულეს თვით ამერიკის ისტორიაში.



ყოველივე ამის გამო ზესახელმწიფოებს, რომლებსაც მცირე სახელმწიფოებზე ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ზემოქმედების უდიდესი ბერკეტები მოეპოვებათ, შემდგომი მოქმედებებისა და უკუქმედების პერსპექტივის მაქსიმალური გათვალისწინებით, ძალზე ფრთხილი საგარეო პოლიტიკის გატარება მმართველთ, მით უმეტეს, როცა აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა არა მხოლოდ ლოიალურად არის განწყობილი ტერორისტული ქმედებების მიმართ, არამედ, ქმნის სპეციალურ უფასო სკოლებს – მედრესეებს, სადაც რელიგიური ფანატიკოსები იზრდებიან.

ამ საკითხს სპეციალურ შრომას უძღვნის ამერიკელი მეცნიერი, კენედის სკოლის საზოგადოებრივი პოლიტიკის, ჰარვარდის, კემბრიჯისა და მასაჩუსეტსის უნივერსიტეტების ლექტორი ჯესიკა სტერნი (Jessica Stern)<sup>44</sup>. იგი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც მოიხსნა „ცივი ომის“ პრობლემა, შეინიშნება სხვა ტენდენციები, რომლებიც საშიშია არა მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნისათვის, არამედ გლობალურად, მთელი მსოფლიოსათვის.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ქვეყნებში და, კერძოდ, პაკისტანში მოსახლეობის თითქმის ნახევარი წერა-კითხვის უცოდინარია, ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი განათლებას ვერ იღებს. 80-იან წლებში ყველგან გაჩნდა უფასო რელიგიურ-ისლამური სკოლები-პანსიონები, სადაც მხოლოდ ექსტრემისტული რელიგიური სწავლება მიმდინარეობს. იქ იგნორირებულია ისეთი საგნები, როგორიცაა ზუსტი მეცნიერებები, ეკონომიკა და სხვ., რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დღევანდელ საზოგადოებაში ფუნქციონირებისათვის. კურსდამთავრებულები ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით (რასაც ტერორისტული ორგანიზაციები დაპირების თანახმად უსრულებენ მათ) ემბებიან ტერორისტულ საქმიანობაში. ისინი სიხარულით წირავენ საკუთარ სიცოცხლეს, რისთვისაც მათ ბავშვობიდანვე ამზადებენ იდეო-

ლოგიურად – „ჯიჰადი“ (წმინდა ომი) მათთვის სამართლიანობისათვის ბრძოლას ნიშნავს. ეს ახალგაზრდები, რომლებსაც პაკისტანის პრეზიდენტი მუშარაფი „თავისუფლებისათვის მებრძოლებს“ უწოდებს, ქაშმირის ტერიტორიაზე (ინდოეთი) ტერორისტულ აქტებს აწყობენ. ჯ. სტერნი წერს: „ქაშმირში წარმოებული ომის ორივე მხარე – ინდოეთის არმია და პაკისტანის „მოჯაჰედები“ მიზანში იღებენ და ზოცავენ ათასობით მშვიდობიან მოქალაქეს, ხელყოფენ როგორც მაკმადიანური „წმინდა ომის“ ტრადიციას, ასევე საერთაშორისო კანონსაც“<sup>45</sup>.

„ჯიჰადი“ იარაღთან და ნარკოტიკებთან ერთად, – აღნიშნავს ჯ. სტერნი, – ამ რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვან ბიზნესად იქცა. „ჯიჰადის ბიზნესი“, როგორც აწ გარდაცვლილი მეცნიერი ექვალ აჰმადი (Eqbal Ahmad) უწოდებს „ჯიჰადის საერთაშორისო გაერთიანებას“ („Jihad International, Inc.“), განაგრძობს მდიდარი არაბი ინვესტორების მოზიდვას უპირატესად სპარსეთის ყურის რეგიონებიდან და პაკისტანის დიასპორიდან. რამდენადაც „ჯიჰადის საერთაშორისო გაერთიანება“ მოგების წყაროს წარმოადგენს, ისინი, ვისაც ომში ფინანსური დაინტერესება აქვთ, შეეცდებიან მის გაგრძელებას<sup>46</sup>. ამრიგად, პაკისტანმა კიდევაც რომ მოინდომოს ამ ვითარების განეიტრალება, „ჯიჰადის საერთაშორისო გაერთიანების“ მხარდაჭერით იქმნება ძალადობის პოლიტიკა, რაც ხელს უწყობს სექტების წარმოშობას, მთელი რეგიონის დესტაბილიზაციას და „ჯიჰადის“ სულიერი წყობის ჩამოყალიბებას, რაც თვით პაკისტანის საზოგადოებას დალუპვით ემუქრება.

ჯ. სტერნის აზრით, პაკისტანს რეალური დახმარება ესაჭიროება და არა ის, რაც აშშ-ის დახმარებით შეიქმნა – „ჯიჰადი“ (რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ „წლების განმავლობაში ვითარდებოდა ავღანეთის ომის დროს და რომლის 24 საათში შეცვლა შეუძლებელია“)<sup>47</sup>.

ამერიკელ მეცნიერთა ერთი ნაწილი ისტორიულ ჭრილში ცდილობს შეისწავლოს ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებმაც, მათი აზრით, გამოიწვია ისლამურ სახელმწიფოთა დაპირისპირება დასავლეთთან. ამ მხრივ საყურადღებოა ჩიკაგოს უნივერსიტეტის (აშშ) სოციოლოგიის პროფესორების ლორენ ლენგმენისა (Lauren Langman) და დაგლას მორისის (Douglas Morris) ერთობლივი ნაშრომი<sup>48</sup>, სადაც ავტორები აყალიბებენ საკუთარ შეხედულებას დასავლეთთან მაკმადიანური სახელმწიფოების ურთიერთობის შესახებ. ადრინდელ ისტორიკოსთა და თანამედროვე მეცნიერთა შრომებზე დაყრდნობით ისინი ცდილობენ განიხილონ მუსლიმანური ტერორიზმის წარმოშობის ზოგიერთი მიზეზი და შესაძლო შედეგების პერსპექტივა. ამასთან დაკავშირებით ავტორები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს სამ ძირითად მომენტთან დაკავშირებულ კითხვებზე:

- 1) როგორ შეიძლება კონსერვატიული რელიგიის მორალურ-პოლიტიკური მიზნები გარდაიქმნას ტერორისტულ აქტებად;
- 2) როგორ ამართლებენ ამ აქტებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ მოსდევს არასამხედრო პირთა — მოხუცების, ქალებისა და ბავშვების — დიდი მსხვერპლი;
- 3) როგორ ავიცილოთ თავიდან რელიგიური ტერორიზმის შედეგები და, საერთოდ, როგორ დავძლიოთ ტერორიზმი.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ავტორები მიმოიხილავენ იმ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებმაც განაპირობეს არაბეთის უდაბნოში გაფანტული და სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ურთიერთმოქიშპე ტომების გაერთიანება ერთი რელიგიის — მაკმადიანობის დროშის ქვეშ (VII ს.). ეს იყო საკმაოდ ექსპანსიური ხასიათის მქონე ხსნის (salvation) რელიგია, რომელიც დასაწყისში ვრცელდებოდა დაპყრობების, ანუ „ჯიჰადის“ (წმინდა ომის) გზით. მისი უმთავ-

რესი აზრი მდგომარეობდა ადამიანის შინაგან სულიერ ცხოვრებაში, რომელიც უნდა წარმართულიყო ყურანისა და ჰადითის (წმინდა მოძღვრების) მიხედვით. მაჰმადიანობისათვის პოლიტიკური კონტროლი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დაპყრობილი ტერიტორიების ამ სარწმუნოებაზე მოქცევა. ლენგმენისა და მორისის თქმით, ამ პერიოდის მაჰმადიანობა უაღრესად ტოლერანტული იყო ქრისტიანობისა და იუდაიზმის მიმართ. ეს იყო იმ რაინდ მეომართა რელიგია, რომლებიც არ სჩადიოდნენ ცოდვას ან უღირს საქციელს. ამასთან ერთად იზრდებოდა მუსლიმანური მერკანტილიზმი, რომელიც ვითარდებოდა და ხელს უწყობდა სასწავლო, სამხატვრო, სამეცნიერო, სამედიცინო და სხვა ცენტრების არსებობას.

500 წლის მანძილზე (VII საუკუნიდან მოკიდებული) მაჰმადიანობა თავისი უნივერსალური (მაგრამ მოქნილი) კანონებითა და ეთიკური ნორმებით გავრცელდა არაბეთის გარეთ არსებულ უზარმაზარ ტერიტორიებზე — ჩრდილოეთ აფრიკიდან აღმოსავლეთით, ინდონეზიისა და მალაიზიის ჩათვლით, უმთავრესად „ვაჭართა კლასის მეშვეობით და არა დაპყრობითი ომებით“<sup>49</sup>.

ლ. ლენგმენისა და დ. მორისის ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ იმ პერიოდის მაჰმადიანობა, მუჰამედის წერილობითი მითითების თანახმად, სწავლობდა სხვადასხვა კულტურათა სიახლეებს, მათ შორის პრაქტიკულ გამოცდილებასაც, და აგროვებდა საჭირო ცოდნას სხვადასხვა ცივილიზაციებიდან. მაგრამ, როგორც ზემოხსენებული მეცნიერები ფიქრობენ, ევროპული რენესანსისაგან განსხვავებით, რომლის ჰუმანისტური იდეების (XIV–XVI სს.) განვითარებას ხელს უშლიდა და გააფთრებით ებრძოდა კათოლიციზმი, მოხდა კათოლიკური ეკლესიის რეფორმირება. მაჰმადიანობა კი უცვლელი დარჩა. რენესანსის პერიოდში ევროპაში გაძლიერდა კომერცია და აყვავდა მეცნიერება — ევროპულმა ჰეგემონიამ სულ უფრო ფართოდ დაიწყო დამკვიდრება. როგორც ისტო-

რიკოსი თოინბი<sup>50</sup> (Toynbee) წერს, „როდესაც კულტურა ზღუდავს ცვალებადობასა და მრავალფეროვნებას, ის კარგავს ცვალებად გარემოებასთან ადაპტაციის უნარს“. იმ კანონებმა, რომლებმაც თავდაპირველად ხელი შეუწყო მაჰმადიანობის აღმავლობას, შემდგომ მისი მოდერნიზაციის შემფერხებლად იქცა. ლენგმენი და მორისი ეყრდნობიან ცნობილი გერმანელი სოციოლოგის მ. ვებერის<sup>51</sup> მოსაზრებებს და აცხადებენ, რომ მუსლიმანური სახელმწიფოების განვითარებას ხელი შეუშალა უმთავრესად იმ შეზღუდვებმა და აკრძალვებმა, რომლებიც „ყურანში“, „ყადის სამართალსა“ (Kadi justice) და „ჰანაფის კოდექსშია“ (Hanafi codes) წარმოდგენილი. უპირველეს ყოვლისა, ეს კანონები კრძალავდა სიმდიდრის დაგროვებასა და კორპორაციების შექმნას. ევროპისაგან განსხვავებით, რომელიც დამოუკიდებელი სასამართლოების საფუძვლებს ქმნიდა, მაჰმადიანური სახელმწიფოები შარიათის კანონებით იმართებოდა. ქრისტიანობისაგან განსხვავებით, მაჰმადიანობა წარმოადგენდა დეცენტრალიზებულ რელიგიას, სადაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დეტერმინაციულ (ფატალისტურ) თეოლოგიას, პოლიტიკური ხელისუფლება წარმოდგენილი იყო ხალიფის სახით და სხვ.

ისლამის იდეოლოგიური არსის ანალიტიკოსები ისლამის დაკნინების მიზეზებად მიიჩნევენ ისლამის დაშორებას რელიგიური ღირებულებებისა და დიქტატისაგან, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა დასავლეთის შემოჭრა ისლამურ სივრცეში. მათი აზრით, შესაძლებელია ისლამის აღორძინება მაჰმადიანობისაკენ მისი შემობრუნების გზით, რაც გულისხმობს:

- 1) შარიათის – ისლამური კანონების – ხელახლა შემოღებას დასავლური კულტურის (და არა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების) ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად;

2) მაკმადიანობის ხელახალ პოლიტიზებას, ე. ი. მუჰამედის როგორც მედინის მმართველისა და კანონშემოქმედის როლის აღდგენას“<sup>52</sup>.

ზემოთ მოყვანილი მასალების მიმოხილვის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ ის ტენდენციები, რომლებიც შეინიშნება ტერორიზმის ფენომენის შესწავლაში:

- უცხოელი (ძირითადად ამერიკელი) ფსიქოლოგები და ფსიქიატრები იკვლევენ როგორც ტერორისტთა და თვითამფეთქებელთა წარმომავლობას, გარემოს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სიძულვილისა და შურისძიების გრძნობის ჩამოყალიბების მიზეზებს, ასევე ტერორისტული აქტების მსხვერპლთა ფსიქიკურ მდგომარეობას, მიღებული სტრესების შემსუბუქებისა და მკურნალობის მეთოდებს;
- ახდენენ ტერორისტული ჯგუფების ლიდერთა ტიპოლოგიას და ცდილობენ ტერორისტთა ქმედებები ახსნან „ტერორისტული ფსიქოლოგიით“, რაც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს მოხერხებულ გზას გვერდი აუარონ ტერორიზმის ძირეული მიზეზების კვლევა-ძიებას;
- გვაძლევენ ტერორიზმის ახალ ტიპოლოგიას. ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ტერორიზმის თითოეულ ტიპს თავისებური დამახასიათებელი ფსიქოლოგია გააჩნია, თუმცა მათი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რაში მდგომარეობს ეს თავისებურება. ამ ტიპოლოგიაში ყველაზე საყურდლებოა იმის დადასტურება, რომ ტერორიზმის ყველა სახეობა, კრიმინალურისა და პათოლოგიურის გარდა, უშუალოდ პოლიტიკური ტერორიზმიდან მომდინარეობს, ე. ი. ხელისუფლების ხელში ჩაგდების სურვილით არის განპირობებული;
- დადგენილია, რომ ტერორისტებს არავითარი ფსიქიკური გადახრა არა აქვთ. ისინი სავსებით ნორმალური

ადამიანები არიან და კარგად აქვთ გააზრებული საკუთარი ქმედება – უსამართლობას მიჰყავს ისინი ტერორიზმამდე, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს უსამართლობა, ზემოხსენებულ მეცნიერთა მიერ არ არის დაკონკრეტებული;

- „მოწამებრიობისათვის“ მოღეები ირჩევენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ისლამისადმი ფანატიკური სულისკვეთებით არიან აღზრდილი; დასავლეთელი მეცნიერები ცდილობენ ახსნან ეს ვითარება აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული სოციალური პრობლემებით, რომლებიც ახალგაზრდებს უბიძგებს ხელი აიღონ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, ირწმუნონ ტრანსცედენტური სამყაროს არსებობა და მოწამებრიობის გზას დაადგენ;
- რელიგიური ექსტრემიზმის გაღვივებაში უცხოელი მეცნიერები ადანაშაულებენ მუსლიმანური განათლების სისტემას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მიაწოდოს ახალგაზრდებს თანამედროვეობისათვის შესაფერისი ცოდნა;
- როცა მსჯელობენ, თუ როგორ აისახება ტერორი, დატერორება „ყურანში“, ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. „ყურანში“ არცთუ ისე იშვიათია სტროფები, რომლებიც მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, თუმცა ცოცხალი არსების მოკვდინებას (ხისაცკი) „ყურანი“ სასტიკად კრძალავს; მკვლევარები ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ადამიანებში ღვთისადმი შიშის გრძნობის ჩანერგვა სხვა რელიგიებშიც (ბიბლია, თორა) გვხვდება და ამ მხრივ „ყურანი“ გამონაკლისი არ არის;
- ისტორიული ექსკურსის საფუძველზე ამერიკელი მეცნიერები ასკვნიან, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების დაკნინება გამოიწვია იმ შეზღუდვებმა და აკრძალვებმა, რომ-

ლებიც „ყურანში“, „ყადის სამართალსა“ და „ჰანაფის“ კოდექსშია წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის გამოკვლევები, რომლებსაც ამერიკელი მეცნიერები ფსიქოლოგიისა და მუსლიმანური რწმენის კონტექსტში აწარმოებენ, რა თქმა უნდა, საჭიროა და მნიშვნელოვნად წაადგება ტერორიზმის საფუძვლების კვლევას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურად გამოქვეყნებულ შრომებსა და დოკუმენტებში ისინი ან ცალმხრივად, ან საერთოდ არ ეხებიან იმ ეროვნულ, გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ეთიკურ პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა ტერორიზმის ამოსავალ წერტილად იქცეს.

## მასმედია და კომუნიკაციები ტერორიზმის კონტექსტში

ტერორიზმის პრობლემების კვლევის დროს საზღვარგარეთელი ექსპერტები და მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ მასმედიის (ბეჭდური მედია, ტელევიზია, ინტერნეტი და სხვ.) და ტერორიზმის ურთიერთმიმართების საკითხებს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თავისუფალი მედია თუ ერთი მხრივ, მეტ-ნაკლებად ობიექტურად ასახავს მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს, ანალიზებს მათ და ზოგ შემთხვევაში პროგნოზებსაც კი აკეთებს მოსალოდნელ ტერორისტულ აქტებზე, მეორე მხრივ, იგი თავისდა უნებურად პროპაგანდას<sup>53</sup> უწევს ტერორისტთა იდეებს, მათ პოლიტიკურ მოთხოვნებს, მათ მუქარას, რითაც აბლიერებს შიშსა და პანიკას არა მხოლოდ მათ მიერ მიზანში ამოღებული ქვეყნის, არამედ მსოფლიოს იმ ქვეყნების მოსახლეობაშიც, რომლებიც თანამგზავრული საინფორმაციო ქსელებით სარგებლობენ.



კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი ბრიჯიტ ნაქოსი (Brigitte Nacos, 2002) და მისი თანაავტორები სტატიაში „ტერორიზმი და ბეჭდური მედია...“<sup>54</sup> ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ როგორ აშუქებს მედია ტერორისტულ აქტებს და რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს იგი თვით ტერორისტთა საქმიანობაში. ამ მიზნით ისინი განიხილავენ სამი ყველაზე რეიტინგული გაზეთის „ვაშინგტონ პოსტის“, „ნიუ იორკ ტაიმსისა“ და „ლოს ანჯელეს ტაიმსის“ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულ პუბლიკაციებს 1985 წლის 4 ივნისს გატაცებული თვითმფრინავის შესახებ. აღნიშნულ ფაქტთან (თვითმფრინავის მძევლებთან) დაკავშირებით 17 დღის განმავლობაში, 15 ივნისიდან 1 ივლისამდე, ამ გაზეთებში 629 სტატია დაიბეჭდა.

მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა ABC, CBS და NBC ტელევიზიებში, სადაც ძალიან ფართოდ შუქდებოდა ტერორისტული აქტის ყველა დეტალი (ABC-მ ტერორისტულ აქტს თავისი გადაცემების თითქმის 68% დაუთმო, NBC-მ – 63%, ხოლო CBS-მა – 62%).

ზემოაღნიშნულ სტატიაში საფუძვლიანად არის გაანალიზებული როგორც საგაზეთო სტატიები, ასევე ტელეგადაცემებიც და გაკეთებულია შემდეგი დიდად საგულისხმო განცხადება: „ტერორიზმის ექსპერტები ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ დემოკრატიული ქვეყნების თავისუფალ პრესას ტერორისტები იყენებენ თავიანთი საქმიანობისათვის, საკუთარი მოთხოვნებისა და მუქარის საჯაროობისათვის“<sup>55</sup>.

ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ბევრ შემთხვევაში მედია ტერორისტების მიზნების აშკარა პროპაგანდას ეწევა. უოლტერ ლეკუერის (Walter Laqueur) აზრით, „მედია ტერორისტის საუკეთესო მეგობარია. ტერორისტის ქმედება თავისთავად არაფერია, საჯაროობა – ყველაფერი“<sup>56</sup>.

იონა ალექსანდერი<sup>57</sup> (Yonah Alexander, 1979) ირწმუნება, რომ მედიის საშუალებით ტერორისტები ეძებენ „ყურად-

ლებას, აღიარებასა და ლეგიტიმურობას“ (კურსივი ჩემია. — მ. უ.). მაგრამ, შეუძლიათ თუ არა ტერორისტებს წარმატება მოიპოვონ მათ მიერ დასახული ზემოხსენებული სამი მიზნის საჯაროობის საქმეში? ამასთან დაკავშირებით ალექსანდერი აღნიშნავს, რომ „მჭიდრო ურთიერთკავშირი ჩანს მედიის მიერ ტერორისტთა ქმედებების გაშუქებასა და საზოგადოების პოზიციას შორის, ყოველ შემთხვევაში, იმ ასპექტით, რომ საზოგადოებამ მეტი იცოდეს მოვლენათა შესახებ“.

ჯონ ო'სალივანი<sup>58</sup> (John O'Sullivan, 1986), რომელიც მედიის მიერ ტერორისტულ მოვლენათა გაშუქებას (coverage) ახასიათებს როგორც ტერორისტთა „მაცოცხლებელ სისხლს“, დაბეჯითებით ამბობს, რომ თავისი მიზნების რეალიზაციას ტერორისტები „უტყენო მედიის“ დახმარებით ახორციელებენ“. ო'სალივანის აზრით, მედიაში ტერორისტული აქტების ფართოდ გაშუქება სამ მიზანს ისახავს:

- 1) შიში და პანიკა დათესოს საზოგადოებაში;
- 2) ხელი შეუწყოს ტერორისტთა შეხედულებების, მოთხოვნების, ფილოსოფიის, მათი პოზიციისა და ზოგ შემთხვევაში მათი სარწმუნოების პროპაგანდას;
- 3) ტერორისტს მოუპოვოს აღიარება, პატივისცემა, ლეგიტიმურობა, რისთვისაც ტერორისტები მასმედიას ხშირად აძლევენ ინტერვიუებს და აწყობენ პრესკონფერენციებს.

ტეროლოგები ცდილობენ შეისწავლონ ის არსებითი ფაქტორები, რომლებიც ტელემედიურებელთა, მსმენელთა და მკითხველთა „განსაკუთრებულ ყურადღებას“ იმსახურებს. ასეთ ფაქტორებად მათ მიაჩნიათ:

- 1) გადაცემები, სადაც პირდაპირ სახელდებიან ტერორისტები და მოცემულია მათი დახასიათება;
- 2) როცა სახელდებიან ტერორისტთა გულშემატკივრები;

3) როცა აცხადებენ, რომ ტერორისტები მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მზად არიან გაწირონ საკუთარი სიცოცხლე.

ტეროლოგებს არ ავიწყდებათ შეახსენონ საზოგადოებას და მეტადრე ჟურნალისტებს, რომ „მაღალრეიტინგული გაზეთების პირველ გვერდებზე, ყველაზე მომგებიან სივრცეში, ტერორისტული აქტების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნება ტერორისტთა ცეცხლზე ასხამს ნავთს – ადამიანები, როგორც ცნობილია, პირველ გვერდზე დაბეჭდილ მასალაზე ამახვილებენ ყურადღებას, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი სტატიები სწორედ ამ გვერდზე იბეჭდება“<sup>59</sup>.

როდესაც „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიასში „ამალას“ ახალგაზრდა წევრი ამბობს, რომ ტერორისტული აქტი (ლაპარაკია თვითმფრინავის გატაცებაზე) „ერთადერთი გზაა, რომ ებრძოლო ისრაელს – გადასწვდე ამერიკას“<sup>60</sup>, ეს, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ერთი პიროვნების აზრი. გასაგებია, რომ არაბები ვერ შეძლებენ ომი გამოუცხადონ ისეთ ზესახელმწიფოს, როგორიცაა აშშ, ან უმაღლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილ ისეთ სახელმწიფოს, როგორიც ისრაელია. ამიტომ მათ სჯერათ, რომ საკუთარი მიზნების მისაღწევად რჩებათ ერთადერთი გზა – ტერორი (სხვათა შორის, ისინი ითვალისწინებენ ისრაელის გამოცდილებას) და მისი ფართოდ გავრცელება.

საგულისხმოა, რომ მედიაში ტერორისტული აქტების უარყოფით შეფასებაც კი სარგებლობა მოაქვს ტერორისტებისათვის. ოსალიფანის აზრით, „მაშინაც კი, როცა ტერორისტული ქმედება მკაცრად არის დაგმობილი პრესაში, ტერორისტი მაინც აღწევს მიზანს, რადგან მას ისე ეპყრობიან, თითქოს მისი წვლილი საჯარო მსჯელობაში ყურადღების ღირსი იყოს. იგი ერთგვარი პოლიტიკოსი ხდება“<sup>61</sup>.

თუკი საზოგადოებაზე ასეთი დიდი ზეგავლენა აქვს ბეჭდურ მედიაში გავრცელებულ ცნობებს ტერორისტული ინცი-

დენტებისა და, საერთოდ, ტერორისტთა საქმიანობის შესახებ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდი ეფექტი უნდა ჰქონდეს ტელევიზიის პირდაპირ გადაცემებს (live). აი, რას წერს ამის შესახებ პროფესორი ბ. ნაქოსი (Brigitte Nacos, 2002): „თავისი აუდიო-ვიზუალური ეფექტისა და პირდაპირი გადაცემების წყალობით, ტელევიზიას შეუძლია ბევრად უფრო დიდი ზეგავლენა მოახდინოს მაცურებელზე, ვიდრე გაზეთებს აქვთ მკითხველზე“<sup>62</sup>.

ამერიკელ მეცნიერთა ერთი ნაწილი შეისწავლის ტერორიზმს როგორც „პოლიტიკური კომუნიკაციის“ ფორმას, რომელიც არ შეიძლება განხილულ იქნეს პოლიტიკური გარემოსაგან მოწყვეტით. პროფესორ ს. ანდერსონის<sup>63</sup> (Sean K. Anderson, 2002) აზრით, „ტერორიზმმა ტრანსნაციონალური დიალოგის ადგილი დაიკავა“. კომუნიკაციური მოდელი იმთავითვე პოლიტიკურია, – ამბობს ანდერსონი, – მისი გაგება შეუძლებელი იქნება, თუ გათვალისწინებული არ იქნა პოლიტიკური გარემო, სადაც მფარველები, აგენტები და სამიზნეები ერთმანეთს ინფორმაციას უცვლიან და ურთიერთქმედებენ. კიდევ უფრო ძალუმაღ მუშაობს ეს მოდელი გლობალური კომუნიკაციის პირობებში, როცა ბევრად უფრო გაადვილებულია საზღვრებს იქით ინფორმაციის გადაცემა, როცა ტერორიზმის გავრცელების მასშტაბები იზრდება. ტრანსნაციონალური დიალოგი მოიცავს მუქარას, შეთანხმების მოლოდინსა და მუქარით ძალდატანებას საიმისოდ, რომ გარანტირებული ჰქონდეს სამომავლო შეთანხმება.

თავის ნაშრომში „გაფრთხილებები საშიშროების წინააღმდეგ: სახელმწიფოს მიერ მართულ ირანულ მედიაში გამოყენებული ტერორისტული მუქარის ანალიზი“ პროფესორი ანდერსონი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ზემოხსენებულ საკითხს. მისი აზრით, ალექს შმიდისა და ჯენი დე გრააფის ნაშრომი „ძალმომრეობა როგორც კომუნიკაცია: ამხედრებული ტერორიზმი და დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის სა-

შუალელები“ არის პირველი ნაშრომი, რომელიც ამომწურავად სწავლობს ტერორიზმს როგორც კომუნიკაციის ფორმას. ამ ავტორთა მოდელის მიხედვით, კომუნიკაციის პროცესი სამ ჯგუფს მოიცავს:

- 1) ტერორისტი შემსრულებლები (რომლებსაც ტერორისტობა ძალით მოახვიეს თავს), რომლებიც თავის უშუალო მსხვერპლს უგზავნიან „მესიჯს“, რაც ახალ ამბებად გადაიქცევა და ამ გზით „საბოლოო“ სამიზნეს აღწევს;
- 2) სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ არსებული ტერორიზმი, რომელსაც შეუძლია თავისი მისწრაფებები გამოხატოს დიპლომატიური ოფისების გზით და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საინფორმაციო საშუალებებით;
- 3) მფარველ სახელმწიფოსა და მის აგენტებს შორის გაცვალის შენიღბული ინფორმაციები და ინსტრუქციები.

არც ერთ სახელმწიფოს, რომელიც საკუთარი პოლიტიკური მიზნებით ხელმძღვანელობს და ტერორიზმს მფარველობს, არ სურს მიჩნეული იყოს ტერორიზმის წყაროდ და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ცდილობს რაც შეიძლება შენიღბულად აწარმოოს თავისი პოლიტიკა. ასე რომ, „სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ არსებული ტერორისტული ქმედება გაგრძელდება შენიღბული მუქარის, განზრახვის არაპირდაპირი განცხადებისა და გაფრთხილების სახით, რასაც მოსდევს ბრალეულობის ოფიციალური უარყოფა“<sup>64</sup>. ასეთი პოლიტიკის მაგალითად ამერიკელ მეცნიერებს მიაჩნიათ ირანის საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ არის მართული. პროფესორი ანდერსონი ირანული მედიის თავისებურების ასახსნელად იშველიებს ცნობილი ამერიკელი ტეროლოგის პროფესორ მართა ქრენშოუს მოსაზრებას. ტერორიზმის მრავალ სადავო განმარტებას შორის ქრენშოუ ცნობს მხოლოდ ორს:

- 1) „ანთროპოლოგიურ მიდგომას“, რომელიც ცდილობს ახსნა მოუძებნოს ტერორიზმს საზოგადოების მხრივ მხარდაჭერისა და არა კონკრეტული ჯგუფების ან სახელმწიფოს პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ქრენშოუს აზრით, ისტორიულ „მიზეზთა ფესვები“ წარმოადგენს ტერორისტთა მოტივაციის არსებით წყაროს;
- 2) „სტრატეგიული არჩევანის“ მიდგომას, რომელიც ტერორიზმისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს განსაკუთრებულ შემსრულებლებს, რომლებიც მრავალი ალტერნატიული სტრატეგიიდან ირჩევენ ერთ-ერთს – ტერორიზმს იმისათვის, რომ მიაღწიონ როგორც აწმყოსათვის განკუთვნილ, ისე სამომავლო პოლიტიკურ შედეგებს“<sup>65</sup>.

პირველი მიდგომის მომხრედ ავტორი ასახელებს უილიამ ბიმენს<sup>66</sup> (W.O. Beeman) – ირანული მედიის სპეციალისტ-ანთროპოლოგს, რომელმაც ამ მოდელის, ე. ი. „საზოგადოების მხარდაჭერის“ პრინციპები გამოიყენა ირანის სახელმწიფო ხელისუფლების ქცევის ანალიზის დროს.

მეორე მიდგომის მაგალითად პროფ. ანდერსონს მოჰყავს პროფ. ჯოზეფ კოსტინერის<sup>67</sup> (Joseph Kostiner) გამოკვლევა, რომელიც შეიცავს ირან-ერაყის ომის (1980–1988 წწ.) დროს ირანის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მართული მედიის ანალიზს. ანდერსონი საფუძვლიანად განიხილავს ირანული მედიის როგორც სტატისტიკურ, ასევე შინაარსობრივ მონაცემებს (მკვლევლობები, ადამიანთა და თვითმფრინავების გატაცება, აფეთქებები და სხვ.). იგი იკვლევს ირანის მეჩეთებში მიმდინარე პარასკევის ჭადაგებებს, უზენაეს რელიგიურ იურისპრუდენტულ დეკრეტებს (vali-yi faqih), პრეზიდენტი-სა და საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებებს, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი რადიო-ტელევიზიის სარედაქციო გადაცემებს, ისლამური რესპუბლიკის ახალი ამბების სააგენტოს, ნახევრადოფიციალური ყოველდღიური გაზეთის

„იტილა ატის“ (Ittila'at) მასალებს, რომლებიც მთავრობის მსოფლმხედველობას გამოხატავს. ყოველივე ამის შემდეგ მკვლევარი დაასკვნის, რომ ირანის სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა 1980–1990 წლებში განხორციელებული ანტიამერიკული ტერორისტული აქტების გამო, თუმცა, მისი აზრით, არანაკლები დანაშაული მიუძღვით სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ფრაქციებსაც.

კომუნიკაციის ტექნოლოგიათა სიახლენი, კერძოდ, ინტერნეტი WWW (World Wide Web – მსოფლიო საყოველთაო ქსელი), რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა და კომუნიკაციის მძლავრ საშუალებად იქცა, იმთავითვე ტერორისტული დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ოკლაჰომის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქელი რ. დემფჰაუსი (Kelly R. Damp-housse) და ალაბამის უნივერსიტეტის პროფესორი ბრენტ ლ. სმითი (Brent L. Smith) სპეციალურად იკვლევენ ტერორისტთა მიერ ინტერნეტის ფართოდ გამოყენების საკითხს. ვებ (Web) გვერდების შესწავლის საფუძველზე ისინი ცხადყოფენ, თუ რა მარჯვედ იყენებენ ინტერნეტს ტერორისტები. თუ წინათ ე. წ. „პროტესტის ჯგუფები“ თავისი იდეებისა და მიზნების პროპაგანდისათვის პროკლამაციებს, აფიშებსა და საინფორმაციო ბიულეტენებს ავრცელებდნენ, ბოლო დროს ისინი ფართოდ სარგებლობენ ფაქსით. ინტერნეტმა კიდევ უფრო გააიოლა საკომუნიკაციო კავშირები. მისი საშუალებით ხდება თითქმის ნებისმიერი დოკუმენტისა თუ მისი ცალკეული ფრაგმენტის მოპოვება, გრაფიკული ნახაზის, ცხრილისა თუ სურათის მიღება. ვებ (Web) გვერდი საშუალებას იძლევა ნახევარ წუთში მიიღო ინფორმაცია სასურველ საკითხზე. „ძალადობრივი საპროტესტო ჯგუფები“ (violent protest groups) აქტიურად იყენებენ მას იმ მიზნით, რომ:

- 1) „აწარმოონ თავისი იდეების ფართო პროპაგანდა – მოიზიდონ მრავალრიცხოვანი აუდიტორია;
- 2) გააერთიანონ სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ თანამოაზრეთა ჯგუფები;
- 3) გაავრცელონ წერილობითი თავდასხმები მოწინააღმდეგეთა დისკრედიტაციისათვის;
- 4) მოუწოდონ ფინანსური დახმარებისაკენ;
- 5) გამოიყენონ ინტერნეტი ტერორისტული აქტების მომზადებისა და შესრულებისათვის“<sup>68</sup>.

გარდა იმისა, რომ „ძალადობრივ ტერორისტულ ჯგუფებს“ შეუძლიათ ანონიმურად მოუწოდონ დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ინტერნეტის, კერძოდ, ვებ (Web) გვერდების საშუალებით ამა თუ იმ ტერორისტული აქტის ჩადენისაკენ, ისინი უდიდეს საშიშროებას წარმოადგენენ სახელმწიფოებისათვის, რადგან მათ შეუძლიათ:

- 1) დაამაზინჯონ ესა თუ ის ინფორმაცია;
- 2) ზიანი მიაყენონ კომუნიკაციის პროცესს;
- 3) უშუალოდ შეაღწიონ ფინანსურ დაწესებულებებში და მოახდინონ თანხების ტრანფერები;
- 4) მოიპოვონ კომპიუტერში შენახული საიდუმლო ინფორმაციები.

ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა უარყოფით მხარესთან ერთად ინტერნეტს უდიდესი შესაძლებლობები მოეპოვება იმისათვის, რომ აწარმოოს კონტრტერორისტული პროპაგანდა, გააერთიანოს და დარაზმოს სხვადასხვა ეროვნების ხალხები ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მოძებნოს მშვიდობიანი გზები ადამიანებზე ზემოქმედების მიუღებელი მეთოდებისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, ტერორიზმის პრობლემას ზოგი ანალიტიკოსი „პრესის დანაშაულად“ მიიჩნევს. მართლაც, საყოველთაოდ აშკარაა ის ფაქტი, რომ ტერორისტებს სჭირდებათ და ეძებენ მათ მიერ ჩადე-



ნილ ტერორისტულ აქტებზე პრესის გამოხმაურების საუკეთესო გზებს. უნდა ითქვას, რომ ბევრ შემთხვევაში ასეთ აქტებზე ყურადღების გამახვილება, საჯაროობა ტერორისტთა ტაქტიკის დედააზრია. ცხადია, მედია უდანაშაულო არ არის: სენსაციური ამბები, ტერორისტული აქტების გაშუქება ხელს უწყობს ჟურნალ-გაზეთების გასაღებას, რაც დიდ მოგებას აძლევს კორპორაციების მესაკუთრეებს, მაგრამ ამასთანავე იწვევს სიმბიოზურ კავშირს ტერორიზმსა და მედიას შორის, რასაც ზოგიერთი ტეროლოგი „მედია ტერორიზმს“ უწოდებს. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ თავისუფალ პრესას მთავრობათა ცენზურის შიშით არ შეუძლია უარი თქვას ტერორისტული აქტების გაშუქებაზე. ტერორისტულ აქტებზე სისტემატური ნეგატიური ინფორმაციები ზოგჯერ მათ მიმართ საზოგადოების ერთგვარ ინდეფერენტულობას, ერთფეროვნების ფსიქოლოგიურ ეფექტსაც იწვევს და აღუნებს საზოგადოების ყურადღებას.

ბრაიენ ჯენკინსი<sup>69</sup> (Brian Jenkins), აშშ-ის არმიის სპეცდანიშნულების ძალების ყოფილი ოფიცერი, რომელიც ამჟამად „რენდის“ კორპორაციაში პოლიტიკურ ძალადობასთან დაკავშირებული პროგრამის ხელმძღვანელია, შეშფოთებით აცხადებს, რომ „პრესის მიერ საზოგადოებისათვის სისტემატურად ნეგატიური ინფორმაციის მიწოდება ისე მოქმედებს, როგორც ინფლაცია, რომელიც ფულის ღირებულების დევალვაციას იწვევს“.

მართლაც, ტერორისტული ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მონოტონური გამეორება ხშირ შემთხვევაში ახალი ამბის ეფექტს კარგავს. თუ პირველი თვითმფრინავის გატაცება გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილი სენსაცია იყო, 87 ასეთი შემთხვევის შემდეგ ადამიანებში მათი იგნორირების ტენდენცია იჩენს თავს. ასეთი ვითარება, ზოგიერთების აზრით, კიდევ უფრო დიდი რისკის შემცველია: ტერორისტები შეეცდებიან დაგეგმონ ისეთი დრამატული და თავზარდამცემი აქტი,

რომელიც პოპულარული გაზეთების პირველ გვერდზე გამოქვეყნდება და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცევა.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, ვფიქრობთ, საფუძველს იძლევა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- „ღია საზოგადოებაში“, სადაც თითქმის არ არსებობს ცენზურა, ბეჭდური მედია და ინტერნეტი აქვეყნებს, ხოლო ტელევიზია უჩვენებს ტერორისტული აქტების უმძიმეს შედეგებს. ასეთ ფაქტებს ტეროლოგები მიიჩნევენ „პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმად“ და „პრესის დანაშაულად“.
- თითქმის ყველა ქვეყნის მედია და ინტერნეტის ქსელი ტერორისტულ აქტებს მაქსიმალურად ამუშავებს. ამით მოხერხებულად სარგებლობენ ტერორისტული დაჯგუფებები და ორგანიზაციები: ისინი პროპაგანდას უწევენ თავის მსოფლმხედველობას, რელიგიურ მრწამსს, პოლიტიკურ მიზნებს, ამოცანებსა და მოთხოვნებს, ახდენენ თანამოაზრეთა ორგანიზებას, თანხების მოზიდვას, საზოგადოებაში თესავენ შიშსა და პანიკას. მედიისა და ინტერნეტის საშუალებით ისინი ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება, რომ სამართლიანობის აღსადგენად ყველა სხვა საშუალება მათთვის ამოწურულია და ამიტომ „მოწამებრიობის“ გზით (ტერორით) სურთ მოიპოვონ პატივისცემა, აღიარება, ლეგიტიმურობა და, რაც მთავარია, განახორციელონ თავისი პოლიტიკური მიზნები.
- მედიის მიერ ტერაქტების სისტემატური გაშუქება ზოგჯერ იმდენად მონოტონური ხდება, რომ ჯერ საზოგადოების აპათიას იწვევს, შემდეგ კი – მის გულქვაობასა და სისასტიკეს.

## გლობალიზაცია და „მუსლიმანური ტერორიზმი“

### აღმოსავლეთის ქვეყნები და დასავლეთის ტრანსნაციონალური კომპანიები

XX–XXI საუკუნეების უმძვინვარესი სენის – საერთაშორისო ტერორიზმის გენეზისის კვლევას უცილობლად მივყავართ იმ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, რომელთა მიზნების გარეშე შეუძლებელია არსებული პოლიტიკური ვითარების გარკვევა, სწორი დასკვნების გამოტანა და ეფექტიანი ანტიტერორისტული გეგმის შემუშავება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტერორიზმი, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და რომელიც ყოველთვის პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა, განსაკუთრებით გააქტიურდა მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ, როცა დაიწყო ბრძოლა ყოფილ კოლონიებსა და ნახევარკოლონიებზე გავლენის შესანარჩუნებლად.

1993 წელს ამერიკელმა მეცნიერმა სამუელ ჰანტინგტონმა (S. Huntington) წამოაყენა თეზისი „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ. 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიამ ამ დებულების ავტორი კიდევ უფრო დაარწმუნა იმაში, რომ მსოფლიო ორად გაიყო: ერთი მხრივ, თავისუფლებისა და დემოკრატიის, ხოლო მეორე მხრივ, დესპოტიზმის, „სუსტი სახელმწიფოების“, რელიგიური თავგანწირვის სფეროებად. მისი აზრით, დასავლური ღირებულებების გავრცელება ე. წ. „სუსტ სახელმწიფოებზე“, რომელთა უმრავლესობა დიდი და მრავალფეროვანი ტრადიციული ცივილიზაციით ხასიათდება, აუცილებლად კონფრონტაციას გამოიწვევდა. მით უმეტეს, როცა „დასავლური ცივილიზაცია დეკადანსს განიცდის, არ გააჩნია მიმართულება,

მძიმე სულიერ და მორალურ კრიზისშია და არა აქვს რესურსები თავი დაიცვას ტერორისტული საფრთხისაგან<sup>1</sup>.

თანამედროვე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერები ცდილობენ გამოიკვლიონ საერთაშორისო ტერორიზმთან, კერძოდ, ე. წ. „მუსლიმანურ ტერორიზმთან“ დაკავშირებული პრობლემები. მათი ყურადღების ცენტრში ექცევა ტერორიზმის ფსიქოლოგიური ასპექტები, „ჯიჰადის კულტურა“, ქვეყნების კლასიფიკაცია ტერორიზმის „წყარო“ და „სამიზნე“ ქვეყნებად, ბეჭდური და ელექტრონული მედიის მიზანმიმართული ზემოქმედება ამა თუ იმ ხალხის ფსიქიკასა და ცნობიერებაზე, მაგრამ ამ მეცნიერთა უმრავლესობა არ უღრმავდება მსოფლიოში მიმდინარე იმ უმთავრესი პროცესების შესწავლას, რასაც გლობალიზაციას უწოდებენ. მართალია, ამ ტერმინს ყოველ წუთს იყენებენ როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში, მაგრამ მის არსსა და საბოლოო მიზნებს ან საერთოდ არ ეხებიან, ან შეგნებულად უვლიან გვერდს.

მსოფლიოს მეცნიერები უპირველეს როლს ეკოვლობა-ლიზმს ანიჭებენ — ეკოლოგია არ შეიძლება იყოს მხოლოდ ლოკალურად გადასაწყვეტი პრობლემა (მაგ., ამაზონის ტყეების გაჩეხვა, გლობალური დათბობა თუ სხვა). მსოფლიოს ერთი რომელიმე რეგიონის ეკოლოგიური კატასტროფა ჯაჭვური რეაქციით იწვევს მთელი პლანეტის ეკოსისტემის დისბალანსს, რამაც შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ამ შემთხვევაში სწორი და გამართლებულია გლობალური ძალისხმევა პლანეტის სიცოცხლის გადასარჩენად. მაგრამ როდესაც გლობალიზაცია ეხება ეკონომიკას, ეროვნულ სახელმწიფოებს, მათ რელიგიას, ეთიკასა და მორალს, კანონმდებლობას, ტრადიციებს, განათლებას, კულტურას, ხელოვნებას, მაშინ ძალით თავსმოხვეული გლობალიზაცია (იგივე ვესტერნიზაცია), შესაძლოა ქვეყნების აშკარა სამხედრო

და პოლიტიკური დაპირისპირების თუ არა, ე. წ. „ფარული ომის“ – ტერორიზმის ამოსავალ წერტილად იქცეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებმაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ზემოქმედების შედეგად დატოვეს თავიანთი ადრინდელი კოლონიები, ისევ დამოკიდებული დარჩნენ ყოფილი კოლონიებისა და ნახევარკოლონიების ბუნებრივ რესურსებზე. დასავლეთის კოლონიურმა პოლიტიკამ, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწარმოებდა აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და არაბული ქვეყნების სიმდიდრეთა მაქსიმალურ მითვისებას, იაფი მუშახელის მოპოვებას, დიდძალი კაპიტალის დაგროვებასა და ახორციელებდა იქ მცხოვრებ ხალხებზე სრულ დიქტატს, საბოლოო კრაზი განიცადა.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორები ლენგმენი და მორისი<sup>2</sup>, რომლებიც საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემას სწავლობენ, აღნიშნავენ, რომ „ტერორიზმის წარმოშობის ფესვებისა და შესაძლო შედეგების შესაცნობად უნდა გვახსოვდეს (თუ საკითხს დიალექტიკურად მივუდგებით), რომ ტერორისტული მოძრაობა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, არ წარმოადგენს მხოლოდ გლობალიზაციის არადემოკრატიული, ექსპლოატატორული ხასიათის წინააღმდეგობას, ის არის უკუქმედება სხვა საზოგადოებებისა და საკუთარი მშრომელების ხანგრძლივ უკმაყოფილებასა და უსამართლობაზე, რომელიც ევროპულ სახელმწიფოთა ასწლოვან ეკონომიკურ-პოლიტიკურ დომინირებას ემყარება“.

როგორც პროფესორი რ. ულიანოვსკი აღნიშნავს, „წარმოიშვა და უკიდურესად გამწვავდა ახალი სიტუაცია, რამდენადაც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ვითარებას, როცა ისინი თავიანთ ყოფილ კოლონიებზე არიან დამოკიდებული ნედლეულის, მინერალებისა და საწვავის მიწოდების მხრივ. იმის ვარაუდი, რომ სამუდამოდ იარსებებდა განთავისუფლებული ქვეყნების

ცალმზრდივი სამეურნეო დამოკიდებულება, ეკონომიკური უთანასწორობის სისტემა – კრიზისის განიცდის“<sup>3</sup>.

ასეთმა ვითარებამ განაპირობა კაპიტალისტური ქვეყნების ტაქტიკის შეცვლა: პირდაპირი ჩარევის ნაცვლად ისინი შეეცადნენ ამ ქვეყნების ეკონომიკურ ექსპანსიას – იქ საერთო ბაზრის დამკვიდრებას, ადგილობრივი წარმოების მოსპობას, რაც ნიშნავდა დასავლეთის კაპიტალის სრულ თავისუფლებას, საზღვრების უგულვებელყოფას და (სხვა ფაქტორებთან ერთად) ამ ქვეყნებზე მათ საბოლოო დიქტატს. ამ პერიოდში ძალზე მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა აშშ: კოლონიური სისტემის ნგრევის შედეგად ამერიკულმა მაღალტექნოლოგიურმა კაპიტალმა თანდათან შეავიწროვა თავისი მთავარი კონკურენტები – ინგლისი და საფრანგეთი, რომლებმაც მრავალწლიანი კოლონიური პოლიტიკით საკუთარ დისკრედიტაციას შეუწყვეს ხელი.

აშშ-ის ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა – „გიგანტურმა მონოპოლიურმა სამეურნეო გაერთიანებებმა, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ოპერაციების როგორც ფუნქციური (ექსპორტი, ინვესტიციები, ბირჟა და სხვ.), ასევე ტერიტორიული მასშტაბებით და რომელთა მიზანია საერთო მოგების მაქსიმალიზაცია და კონკურენციის დათრგუნვა“<sup>4</sup>, დაიწყეს „მესამე სამყაროს“ ქვეყნების ექსპანსია. ამ ქვეყნებს შორის განსაკუთრებული როლი ენიჭება არაბულ რეგიონს – მსოფლიო ნავთობის მარაგის უზარმაზარ საბაღოს – განვითარებული ინდუსტრიული კაპიტალისტური ქვეყნების ენერგეტიკული ნედლეულის ძირითად წყაროს. ეს კორპორაციები როგორც კაპიტალისტური ურთიერთობის წამყვანი სუბიექტები ასრულებენ დასავლეთის სტრატეგიის მთავარ მიზნობრივ ფუნქციებს – ყოფილ კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში ახდენენ წარმოების კონცენტრაციასა და მის ინტეგრირებას მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში. თანამედროვე ტრანსნაციონალური კომპანიების (ტნკ) „გლობალური ოპერაციები ზემოქმე-

დებენ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა კვლავწარმოებაზე, მის ყოველ ფაზაზე: წარმოებაზე, გაცვლაზე, განაწილებაზე და მოხმარებაზე, ამ ქვეყნების სოციალური და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაზე“<sup>5</sup>.

კაპიტალისტური სტრუქტურების განვითარების პროცესში არაბულ სახელმწიფოთა უმრავლესობა საკუთარი პრობლემების გადაწყვეტას ტრანსნაციონალური კომპანიების (ტნკ) მოდელის მიხედვით ცდილობდა, რადგან შეიცვალა კაპიტალისტურ მონოპოლიებთან მათი ფუნქციონირების პირობები – მან უფრო პროგრესული ფორმები მიიღო (საქმიანი მონაწილეობა, ერთობლივი საწარმოები, საიჯარო კონტრაქტები და სხვ.) და თანამედროვე ისტორიულ პირობებში საკმაოდ მომგებიანი გახდა მათთვის. ისინი სულ უფრო და უფრო ინტერესდებოდნენ აშშ-თან სამეურნეო კავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ნედლი მასალის ექსპორტით, უახლესი ტექნოლოგიებით, რომელთა მიწოდება ძირითადად ტნკ-ის მეშვეობით ხდება. დაიწყო მთელი რიგი არაბული ქვეყნების დაჩქარებული განვითარება, რაც მჭიდრო კავშირშია აშშ-ის ტრანსნაციონალურ კაპიტალთან. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ „განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის დარგები აშშ-ის ტრანსნაციონალური კომპანიების კაპიტალის ორგანული და ფუნქციური ნაწილი ხდება და ემორჩილება მისი კვლავწარმოების მიმდინარეობას“<sup>6</sup>.

ახალი ტექნოლოგიების არნახულმა მიღწევებმა, ღიდძალმა ინვესტიციებმა, მატერიალური წარმოების დარგობრივი სტრუქტურების ფორმირებამ, რაც მთლიანად არის დამოკიდებული აშშ-ის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალის კვლავწარმოების პროცესზე, აშშ-ის ტრანსნაციონალურ კომპანიებს საშუალება მისცა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე ეფექტიანი კონტროლი დაემყარებინა. დაარსდა „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია“ (WTO), „მსოფლიო ბანკი“ (WB) და „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ (IMF), რომელ-

ბიჯ თითქოს ფინანსური სტაბილურობის გარანტი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ამ ორგანიზაციების მიზანი დასავლეთის ეკონომიკური, სავაჭრო და ფინანსური დომინირებაა – მხოლოდ მათი დიქტატით შეუძლიათ განვითარებად ქვეყნებს გამოიყენონ აღებული სესხები და არა თავიანთი სასიცოცხლო პრიორიტეტებისათვის. აი, რას წერს ამის შესახებ ბრიტანელი მეცნიერი როჯერ სქრუთონი: „ბოლოს და ბოლოს, ისინი ვაჭრობას ზომ დოლარებით აწარმოებენ და მათ, ვინც იღებს ან სესხულობს, შეუძლიათ ამ ფულის დახარჯვა მხოლოდ იმ ეკონომიკაში, რომელიც დომინირებულია დასავლური ტექნოლოგიებითა და დასავლური ექსპორტით. ამ ფულის მიღებით სახელმწიფო უთუოდ არის ჩათრეული გლობალურ მორევში<sup>7</sup>. კიდევ უფრო მეტიც. ასეთ ვითარებაში (ზემოხსენებული ორგანიზაციები) იძულებული არიან მოლაპარაკებები აწარმოონ მთავრობებთან – მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი აფინანსებენ ტირანებსა და განგსტერებს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს პოლიტიკური ცხოვრება იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ“<sup>8</sup>.

დასავლეთის ქვეყნების ახალი კაპიტალდაბანდებები საჭიროებენ სულ უფრო და უფრო მეტ სივრცეს, ისინი ვეღარ კმაყოფილდებიან მიღწეულით. იმისათვის, რომ ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა თავისუფლად იფუნქციონირონ, საჭიროა სახელმწიფოებს შორის ბარიერების მოხსნა, საზღვრების მოსპობა. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც მსოფლიოს უმდიდრესი ოლიგარქები მართავენ, შემოაქვთ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც მათ სრულ თავისუფლებას მიანიჭებს.

როგორც პროფესორი რ. კერიმოვი აღნიშნავს, „მონოპოლიური კაპიტალის ოპერაციების კაპიტალიზაცია მრავალპლანიანი მოვლენაა. მას მოეპოვება თავისი ობიექტური საფუძვლები და სპეციფიკური გამოვლინებები, სივრცობრივი ჩარჩოები და განვითარების დიალექტიკა. ისინი გვევლინებიან რო-



გორც წარმოების კაპიტალისტური კონცენტრაციის, ცენტრალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ღრმა ურთიერთკავშირის შედეგი, ავრცელებენ მონოპოლიების ძალაუფლებას ეროვნული საზღვრების მიღმა, წარმოშობენ კაპიტალის მაგნატთა საერთაშორისო იმპერიებს<sup>9</sup>. ყოველივე ამას ემატება „განვითარებული კაპიტალიზმის სამხედრო ტექნოლოგიები, რომლებიც არსებულ პოტენციალს განაწყოფს იმპერიალისტური ომებისათვის, რაც, თავის მხრივ, იწვევს წინააღმდეგობას – გამანადგურებელ ტერორიზმს, სულ ერთია, ორგანიზებულია ის, თუ დაუგეგმავი“<sup>10</sup>.

თვით არაბული ქვეყნების მმართველმა წრეებმა ნავთობის გაყიდვით უდიდესი კაპიტალი დააგროვეს, რაც საშუალებას აძლევდა მათ ზეგავლენა მოეხდინათ არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაზე, არამედ მთელ კაპიტალისტურ სამყაროზე – მხოლოდ ხუთ ნავთობმომპოვებელ მუსლიმანურ სახელმწიფოს (საუდის არაბეთს, კუვეიტს, ლიბიას, ირანს, გაერთიანებულ არაბულ საემირობს) საერთაშორისო ბანკებში 152 მილიარდ დოლარზე მეტი აქვს ჩადებული (1982 წლის მონაცემებით). განვითარებადმა მუსლიმანურმა ქვეყნებმა სწრაფი ტემპით იწყეს წინსვლა. თანდათან ძლიერდებოდა ამ ქვეყნების პოზიციები საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე. ცნობილი ამერიკელი ბანკირი დ. როკფელერი, „ჩეის მანჰეტენ ბანკის“ სამმართველოს პრეზიდენტი, პირდაპირ აცხადებდა, რომ „განვითარებადი ქვეყნები ისწრაფვიან მეტი ხმის უფლება ჰქონდეთ მსოფლიო ეკონომიკურ საქმეებში. ისინი უკმაყოფილონი არიან იმ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემით, რომელიც, როგორც თვითონ ფიქრობენ, მათ წინააღმდეგ არის მიმართული“<sup>11</sup>.

როდესაც განვითარებადი ქვეყნების ინტელექტუალურმა ელიტამ გააცნობიერა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნებისათვის გამოყოფილი სესხები მათი ეკონომიკის აღორძინებასა და ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას კი არ

ზმარდება, არამედ არაკეთილსინდისიერი, მარიონეტული მთავრობის წარმომადგენელთა ანგარიშებზე ილექება შვეიცარიის ბანკებში, რომ ისევ „სავალუტო ფონდი“ და „მსოფლიო ბანკი“ იღებს აქედან მოგებას, რომ „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ“ ხელთ იგდო მთელი ლოკალური ვაჭრობის რეგულაცია, რაც უცილობლად დაანგრევდა ამ ქვეყნების ეკონომიკას, დააყენებდა მათ დასავლეთის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენციის პირისპირ – არაბულმა სახელმწიფოებმა საკუთარი გავლენისა და ისლამის გავრცელების მიზნით განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიკური და ფინანსური დახმარების გაწევა დაიწყეს.

„ის, რომ მუსლიმანებით დასახლებული აზია-აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა, – წერს რუსი მეცნიერი ა. იონოვა<sup>12</sup>, – იბრძვის ახალი ეკონომიკური წყობისათვის „ისლამური სოლიდარობის“ დროშით, გარკვეულ დაღს ასვამს ამ ბრძოლის მსვლელობასა და ხასიათს. ასე რომ საერთაშორისო სამეურნეო კავშირების დემოკრატიზაციის ზოგადი მოთხოვნების ფონზე იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის უთანასწორობის ლიკვიდაცია, განსაკუთრებით საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში, ყველაზე მეტად შეიმჩნევა მუსლიმანური წრეების მხრივ აქცენტის გადატანით „კოლექტიურ უზრუნველყოფაზე“ – „მაჰმადიანური სამყაროს“ ავტონომიზაციის პლატფორმაზე“.

თუმცა კოლონიური სისტემის პირობებში მუსლიმანურ ქვეყნებს შორის ურთიერთობა შესუსტებული იყო – მათ არ გააჩნდათ არც ადმინისტრაციული ცენტრი, არც სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო კავშირები, დასავლეთი კი ყოველმხრივ ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობები (მაგ., შიიტები და სუნიტები), კავშირი მათ შორის არასდროს შეწყვეტილა.

## მაჰმადიანური ქვეყნების პოლიტიკური აქტივიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

როგორც აღვნიშნეთ, მუსლიმანური ქვეყნების პოლიტიკური აქტივიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა. ამ ქვეყნებს ჩამოუყალიბდათ თავიანთი ინტერესების კოლექტიური დაცვის ფორმები. ეს კავშირები კიდევ უფრო ძლიერდებოდა მექაში მუსლიმანთა მომლოცველობის დროს, როდესაც აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ახლო და შუა აღმოსავლეთის, ინდონეზიის, პაკისტანისა და სხვა მუსლიმანური ქვეყნების ოფიციალური პირები. შეიქმნა „მსოფლიო მუსლიმანთა ლიგა“, რომელიც, მის დამაარსებელთა ჩანაფიქრით, უნდა გამხდარიყო „მესამე მსოფლიო პოლიტიკური ძალა“ აშშ-ისა და სსრ კავშირის შემდეგ, დროთა განმავლობაში კი თანდათანობით უნდა გამოსულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან და შეექმნა საკუთარი უშიშროების საბჭო.

მსოფლიო მუსლიმანთა ლიგამ არაერთი ეკონომიკური ღონისძიება გაატარა. ის დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა როგორც არაბულ, ასევე აზიისა და აფრიკის ქვეყნებს. ასე, მაგალითად, 1982 წელს ლიგამ საკმაოდ დიდი ფინანსური დახმარება გაუწია აზიისა და აფრიკის 40 ქვეყანას. ამ დახმარებასთან ერთად ხდებოდა ისლამისა და მაჰმადიანურ ტრადიციათა ექსპანსიაც<sup>13</sup>. ამ მოსაზრებას ადასტურებს თუნდაც რამოდენიმე ფაქტი, რომელიც ნათლად მეტყველებს არაბულ სახელმწიფოთა მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

1972 წელს ლიბიის არაბული რესპუბლიკის ლიდერმა კადაფიმ დიდი ფინანსური დახმარება გაუწია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას. ამ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბოკასამ მადლიერების ნიშნად თვითონ მიიღო მაჰმადიანური სარწმუნოება და დიდად შეუწყო ხელი თავისი ქვეყნის ზანგი მოსახლეობის გამაჰმადიანებას. ასეთივე პოლიტიკას ატარებდნენ არაბული ქვეყნები მეორე აფრიკული სახელმწიფოს უგანდის

მიმართაც, როცა ხელისუფლებაში მოსულმა მაჰმადიანმა გენერალმა ი. ამინმა ქვეყნიდან ისრაელელი სპეციალისტები და ქრისტიანი მისიონერები გააძევა. ისლამური ორგანიზაციების გაძლიერების მიზნით უგანდამ ძალიან დიდი ფინანსური დახმარება მიიღო არაბული ქვეყნებისაგან. კაპიტალის ექსპანსიას აფრიკის ქვეყნებში შედეგად მოჰყვა მუსლიმანი მოსახლეობის უმცირესობის (10–15%) ხელში ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტის დაგროვება და ქვეყნის ეკონომიკური ბერკეტებიც მის კონტროლს დაექვემდებარა.

მუსლიმანთა ლიგის გავლენა განაპირობა იმ ფაქტორმაც, რომ გაეროს XXX სესიამ (1975) ცნო საერთაშორისო ისლამური ლიგა, რომელსაც ოფიციალურად ისლამური კონფერენცია ეწოდა. ლიგას აქვს თავისი შტაბ-ბინა ნიუ-იორკში (აშშ) და ჰყავს თავისი დამკვირვებელი.

ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის სისტემაში შეიქმნა საერთაშორისო მუსლიმანური საინფორმაციო სააგენტო, განვითარების მუსლიმანური ბანკი, საერთაშორისო მუსლიმანური სავალუტო ფონდი, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საერთაშორისო მუსლიმანური კომიტეტი. ამ კონფერენციის ეგიდით ცდილობდნენ შეექმნათ სადაზღვევო კომპანიები, საერთო მუსლიმანური საბაზრო ზონები და, რაც მთავარია, გეგმავდნენ ევროპის, აშშ-ის, კანადის, იაპონიისა და სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ბანკებიდან კაპიტალის ამოღებასა და საერთაშორისო მუსლიმანურ ბანკებში მათ ჩადებას, რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკის სრულ კრახს გამოიწვევდა<sup>14</sup>.

1984 წელს არაბულ სახელმწიფოთა სისტემაში არაბულმა ეკონომიკური ერთიანობის საბჭომ დასავლეთის სახელმწიფოთა ძალმომრეობის საწინააღმდეგოდ შექმნა არაბულ სახელმწიფოთა საერთო ბაზარი. მაჰმადიანურ სახელმწიფოთა ეკონომიკურ გაძლიერებასთან ერთად მოხდა საზოგადოებრივი განვითარებისა და საზოგადოებრივ მოძრაობათა გააქტიურებაც.

არაბულმა სახელმწიფოებმა ისწავლეს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციისა (OPEC) და სხვა ორგანიზაციების ფარგლებში შეზღუდონ აშშ-ისა და სხვა ქვეყნების ტრანსნაციონალური კომპანიების ქმედებები. მიუხედავად ამისა, ისინი ცდილობენ გააფართოონ თავისი პოტენციური პარტნიორების სფერო ახალ-ახალ ერთობლივ საწარმოთა შექმნით, უზარმაზარი ფინანსების დაბანდებისა და უახლესი ტექნოლოგიების შემოტანის გზით.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახალი კაპიტალდაბანდებებით მოგებულ რჩებიან უცხოური კორპორაციები და მაკმადიანური საზოგადოების ზედა ფენები, როგორც ეს მოხდა ეგვიპტეში სადათის პრეზიდენტობის დროს, როცა მან „უცხოური სახელმწიფო და კერძო კაპიტალის მოზიდვის მიზნით 1973 წელს „ღია კარის“ პოლიტიკა გამოაცხადა: იგი ვარაუდობდა, რომ ამ გზით უზრუნველყოფდა დაჩქარებული ტემპით ქვეყნის განვითარებას. ამ პოლიტიკის გასატარებლად გაუქმებულ იქნა ნ0-იან წლებში მიღებული კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავდა დაეცვა ეროვნული ეკონომიკა უცხოური მონოპოლიების ძალმომრეობისაგან. სადათის პოლიტიკის შედეგად მოხდა არა ეგვიპტის ეკონომიკის განვითარება, არამედ მისი სამომხმარებლო ფუნქციის გაძლიერება, კაპიტალის გადაქაჩვა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში, წარმოიშვა დისპროპორცია და გაიზარდა ეგვიპტის საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფა“<sup>15</sup>. ხალხის უდიდესი ნაწილი კი ისევ სოციალურად სრულიად დაუცველი იყო, ისევ განიცდიდა ჩაგვრას, უსამართლობას, სიღატაკეს და ერთადერთ თავშესაფრად მისთვის მხოლოდ რელიგია რჩებოდა.

## „შარიათი“ და თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაცია

მთელ რიგ მუსლიმანურ სახელმწიფოებში სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები დაფუძნებულია ისლამზე, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეს არეგულირებს. თუ დასავლეთის ქვეყნები იმართება კანონებით, რომლებიც ცვალებადია (მმართველი ელიტა, ე. ი. საერო მთავრობა დროის შესაბამისად ცვლის მათ), მუსლიმანურ კანონთა კრებული „შარიათი“ უცვლელია, რადგან იგი „ალაჰის ნებას“ გამოხატავს. „უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანობის ტრადიციულ ფასეულობათა აღორძინება უშუალოდ უკავშირდება მუსლიმან ხალხთა ლტოლვას სოციალური განახლებისადმი, კაპიტალისტური და ნეოკოლონიური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისადმი. თავისთავად ცხადია, რომ ამ მისწრაფებებმა თავისი იდეოლოგიური დასაბუთება უნდა პოვოს ადამიანთა ცნობიერებაში. მოცემულ შემთხვევაში მუსლიმანები იარაღად იყენებენ ტრადიციული ისლამის დებულებებს, რომლებიც თანამედროვე მოდერნიზებული პრინციპებისაგან განსხვავებით ქადაგებენ სამართლიანობას, შრომისმოყვარეობას, სიმდიდრისაგან თავშეკავებას, მიწების დარიგებას მათთვის, ვინც მას დაამუშავეს. ტრადიციული ისლამი მტრულად არის განწყობილი კერძო საკუთრების პრინციპებისადმი (რაც კაპიტალისტური წყობილების საფუძველს შეადგენს. — მ. უ.), მათ შორის მიწის საკუთრებისა. იგი კანონიერად მიიჩნევს მხოლოდ ისეთ საკუთრებას, რომელიც პირადი შრომით არის მოპოვებული ან მემკვიდრეობით მიიღება. ისლამი კრძალავს მევახშეობას, სპეკულაციას, ფულის დაგროვებას, მოგებას, რომელსაც დანაშაულებრივი მისწრაფებების ერთ-ერთ გამოვლინებად თვლის. ტრადიციული ისლამი ცალკეულ ინდივიდთა ფასეულობებს კი არ ცნობს, არამედ საერთოდ ადამიანებზე ზრუნვას აცხა-

დებს პრიორიტეტად. იგი თავგამოდებით იცავს ოჯახს, მის სიწმინდეს, პატიოსნებას, რაც მუსლიმანური საზოგადოების ფუნდამენტად მიაჩნია.

საგულიზმოა, რომ ტრადიციული ისლამის მრავალი დებულება, როგორცაა, მაგალითად: „მიწა და ზეცა ეკუთვნის ალაჰს“, „სამოვრები, წყაროები, ცეცხლი, მარილი არ შეიძლება იყოს კერძო საკუთრება, ისინი ყველას ეკუთვნილება“<sup>16</sup>, — ძალზე მიმზიდველი ჩანს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იმპერიული სისტემის რღვევის შედეგად განთავისუფლებულ ქვეყნებში კაპიტალისტური მეურნეობის წესმა იმძლავრა. მუსლიმანური სახელმწიფოები საწარმოო ურთიერთობების განვითარებისას მწვავე სოციალურ წინააღმდეგობებს წააწყდნენ. კაპიტალიზმი გარკვეულწილად შეუთავსებელი აღმოჩნდა ისლამის ტრადიციულ დებულებებთან, ვინაიდან რელიგია არ არის იდეოლოგია, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას რაიმე მოღური მიმდინარეობისადმი. მ. ვებერის განმარტებით, რელიგია არის „სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულების წესი. იგი თავისთავში მოიცავს შესაბამის განწყობას, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ადამიანთა სასიცოცხლო საქმიანობის მიმართულებას, მათი სოციალური ქმედების ვექტორს“<sup>17</sup> (კურსივი ჩემია. — მ. უ.).

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ევროპული სახელმწიფოები ცდილობდნენ აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნებისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი მოდერნიზებული კანონმდებლობაც, რაც ყურანზე დაფუძნებული მრავალსაუკუნოვანი მუსლიმანური კანონების უნიკალური კრებულის „შარიათის“ („ნათელი გზა“ — VII ს. კანონთა კრებული) სრულიად საწინააღმდეგო დებულებებს სთავაზობდა ამ სახელმწიფოებს.

იმისათვის, რომ მკაფიოდ გაეიაზროთ, თუ რა ზეგავლენა ჰქონდა ისლამს ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ „შარიათის“ —

ღვთის კანონის (რომლის მეშვეობითაც ალაჰი უბრძანებს მუჰამედს გაჰყვეს მას) – ძირითად პრინციპებს.

VII საუკუნეში ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად და წარმოებული დაპყრობითი ომების შედეგად არაბების ხელში აღმოჩნდა უზარმაზარი ტერიტორია, რის გამოც წარმოიშვა აუცილებლობა შემოღებულყოფილი ისეთი ერთიანი იურიდიული სისტემა, რომელიც პრაქტიკულად დაარეგულირებდა ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ და ყოველდღიურ ცხოვრებას. ევროპაში არაბებმა რა „ყურანს“ უკვე X საუკუნეში „შარიათი“ აერთიანებდა, ერთი მხრივ, სუნიტთა იურიდიულ სკოლას, ხოლო, მეორე მხრივ, შიიტურ სამართალწარმოებას. „შარიათში“ ერთმანეთს ერწყმის რელიგიური, საკანონმდებლო და ეთიკურ-მორალური ნორმები. სხვა ძირითადი რელიგიებისაგან განსხვავებით ისლამურ სამყაროში მაჰმადიანობის წარმოშობიდან XIX საუკუნემდე ფაქტობრივად არ არსებობდა საკანონმდებლო სისტემა, სადაც რელიგიურ კანონთა გვერდით საერო კანონმდებლობაც ფუნქციონირებდა. „შარიათის“ ასეთ ხანგძლივ სიცოცხლისუნარიანობას ცნობილი ისლამისტი პროფესორი გ. კერიმოვი<sup>18</sup> შემდეგი გარემოებებით ხსნის:

- 1) ე. წ. მუსლიმანურ რეგიონში თითქმის ათასი წლის მანძილზე ძირითადად ფეოდალური ფორმაცია ბატონობდა;
- 2) დიდი ხნის განმავლობაში მეჩეთი წარმოადგენდა როგორც რელიგიური, ასევე საერო საქმეების გადაწყვეტის ადგილს. რამდენადაც „ისლამი არსად მკვეთრ ზღვარს არ ავლებს საერო და სასულიერო ფუნქციებს შორის, იგი ყოველთვის განამტკიცებდა სასულიერო და საერო ხელისუფლების, რელიგიისა და სახელმწიფოს განუყოფლობას“. ისლამური დოგმატიკა კანონმდებლობის ერთადერთ წყაროდ ცნობს ღვთაებრივ ნებას და ხელისუფლება, თუ ის „შარიათის“ მიერ არ არის სანქციონირებული, უკანონოა;



- 3) „შარიათის“ ხანგძლივ მოქმედებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ადათი – იმ ხალხის ჩვეულებრივი უფლება, ვინც ისლამს აღიარებს. „შარიათმა“ შეითვისა ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არსებობდა არაბების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში: ეგვიპტეში, სირიაში, მესოპოტამიაში, ირანში, შუა აზიასა და კავკასიაში;
- 4) „შარიათის“ ხანგრძლივი არსებობა აიხსნება იმ გარემოებითაც, რომ ისლამურ სახელმწიფოში საერო და რელიგიური ხელისუფლება საუკუნეების მანძილზე ერთი პიროვნების ხელში იყო თავმოყრილი<sup>19</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „შარიათი“ მუსლიმანურ სამყაროში საუკუნეების მანძილზე მოქმედებდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ XX–XXI საუკუნეებში ე. წ. „განვითარებადმა“ მუსლიმანურმა სახელმწიფოებმა ახლებურად კი არ გაიაზრეს თავიანთი კანონმდებლობა, არამედ წინა პლანზე უცვლელად წამოსწიეს შუასაუკუნეობრივი კანონთა კრებული, აშკარად მეტყველებს, თუ რაოდენ ღრმად აქვს რელიგიას გადგმული ფესვები საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ცნობიერებაში. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება – მას გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეთიკურ-მორალური მიზეზები უდევს საფუძვლად.

ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რაც თანამედროვე ისტორიულ ვითარებაში განაპირობებს „შარიათის“ უდიდეს ზეგავლენას ისლამურ სახელმწიფოებზე, ისლამის თავისებურ სოციალურ-ეკონომიკურ დოქტრინაში, მის ეგალიტარულ (ალტრუისტულ) ფილოსოფიაში მდგომარეობს. „შარიათი“ განამტკიცებს მუსლიმანებში სოციალური სამართლიანობის რწმენას. აქ ძალიან მნიშვნელოვანია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. პრინციპი, რომ „მიწა ღვთისაა“, ზღუდავს ფეოდალურ საკუთრებას გლეხების სასარგებლოდ. „შარიათში“ ბევრი დებულებაა ისეთი, რომლებიც სამართლიანობასა და თანასწორობას აღიარებს. ძალზე მნიშვნელოვანია საგადა-

სახადო სისტემატ. ამ სისტემის მიხედვით, ისლამის მიმდევრები უპირატესობით სარგებლობენ. ქონება მემკვიდრეობით ყველა შვილზე თანაბრად ნაწილდება. „შარიათში“ ასევე ძალზე მნიშვნელოვანია აკრძალვები, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ გარემოებებთან, როგორიცაა:

- 1) სავაჭრო-საფინანსო გარიგებები;
- 2) წმინდა ადგილებში ურწმუნოთა შეშვების აკრძალვა;
- 3) ოქრო-ვერცხლის ჭურჭლის გამოყენების აკრძალვა ყოველდღიურ ცხოვრებაში;
- 4) სასჯელი დანაშაულისათვის:
  - ა) სიკვდილი სიკვდილისა წილ,
  - ბ) შეურაცხყოფა შეურაცხყოფისა წილ,
  - გ) ჭრილობის მიყენება ჭრილობის წილ, და ა. შ.
  - დ) დაღვრილი სისხლისათვის – ჯარიმა,
  - ე) ქურდობისათვის – ჯერ თითის მოკვეთა, შემდეგ – ფეხის ტერფის მოჭრა, ბოლოს კი – სამუდამო პატიმრობა;
- 5) ადათ-წესები:
  - ა) მარხვა,
  - ბ) წმინდა ადგილების მომლოცველობა,
  - გ) დაკრძალვის წესი და მრავალი სხვა.

„კანონები, რომლებიც მართავენ ქორწინებას, ქონებას, მევახშობასა და კომერციას, დაყენებულია საოჯახო რიტუალთა წესების, კარგი მანერებისა და პერსონალური ჰიგიენის გვერდით. ომის წარმოებისა და კრიმინალების მიმართ დამოკიდებულება ისეთივე ტონალობაშია, როგორშიც დიეტაა და განწმენდა“<sup>20</sup>.

ისლამი უდიდეს როლს ანიჭებს ოჯახს – მუსლიმანური საზოგადოების საფუძველს. ქალის რელიგიურობას იგი მიიჩნევს ისლამური წეს-ჩვეულებების დაცვის აუცილებელ პირობად. ისლამი – „ეს არის მორალის სისტემა, რომელიც ნათელს ჰფენს იმ ქმედებებს, რომლებსაც ახსნა ესაჭიროებათ,

თუ ხალხს სურს მშვიდობიანად იცხოვროს ერთმანეთის გვერდგვერდ. ეს არის სისტემა, რომელიც იცავს ოჯახს – ერთგულებისა და ნდობის უმთავრეს ობიექტს; რომელსაც სიცხადე შეაქვს და აწესრიგებს სექსუალურ ქცევას; სისტემა, რომელიც ნათესაობისა და მეგობრობის ჩვეულებრივ მოვალებებს განწმენდს ნაკლოვანებათაგან; რომელიც აყალიბებს წესებს ბიზნესისათვის; რომელსაც აქვს როგორც რეაბილიტაციის, ასევე ბრალის დადების უფლება...“<sup>21</sup>.

„შარიათს“ სძულს ოქრო, იგი ებრძვის კაპიტალის დაგროვებას, მევახშეობას, სპეკულაციას, ჩარჩობას – ყველა ეს ქმედება მას ბოროტების გამოვლინებად მიაჩნია.

კაპიტალისტური წყობილების უარყოფით მხარეებთან შეჯახებისას (ექსპლოატაცია, უმუშევრობა და სხვ.) ტრადიციული ისლამი იქცა პატიოსნების, წესიერების, ოჯახის სიმტკიცის, სამართლიანობის, ურთიერთდახმარების, იმედებისა და ნათელი მომავლის ერთგვარ სიმბოლოდ.

როგორც ვხედავთ, „შარიათი“ წარმოადგენს რელიგიური, ეკონომიკური, იურიდიული და მორალურ-ეთიკური პრინციპების განუყოფელ ერთიანობას, რაც მისი პოპულარობის უმთავრეს დეტერმინანტად უნდა ჩაითვალოს. „ისლამი არაბთა ხელში მნიშვნელოვან პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენს და „ისლამური ფასეულობების“ წინააღმდეგ გამოსვლა უნდა განიხილებოდეს როგორც არაბი ერისათვის ამ უძლიერესი იარაღის ჩამორთმევა“<sup>22</sup>, რასაც არც ერთი მუსლიმანური ქვეყანა არ თმობს.

„შარიათის“ ეგალიტარულ პრინციპებზე დაყრდნობით წარმოიშვა „ისლამური სოციალიზმის“ თეორია, რომლის მიმდევართა ერთი ნაწილი იმ აზრისაა, რომ, თუ „მარქსიზმისათვის ნიშანდობლივია ძალდატანებითი, უღმობელი გზა სოციალიზმის მისაღწევად, ისლამი სოციალიზმისაკენ მიმავალ „მშვიდობიან“, მორალურ-ეთიკურ გზას დაადგება“<sup>23</sup>. იგი შეძლებს საზოგადოების აშენებას იმ იდეების საფუძველზე, რომ-

ლებსაც საუკუნეების მანძილზე ქადაგებდა ტრადიციული ისლამი და მისი კანონთა კრებული – „შარიათი“.

„ტრადიციული ისლამის მომხრეები, ისლამისა და სოციალიზმის შედარებისას, კიდევ უფრო შორს მიდიან: ისინი ამტკიცებენ, რომ ისლამის ლოზუნგებით შესაძლებელია განხორციელდეს ხალხის მმართველობა, ქვეყნის მმართველობაში ხალხის ფართო მასების მონაწილეობა, საყოველთაო უფლების შემოღება საცხოვრისზე, შრომაზე, განათლებასა და სხვ.“<sup>24</sup>.

როგორც პროფ. გ. კერიმოვი აღნიშნავს, „კაპიტალიზმმა, როგორც სოციალურ-პოლიტიკურმა სისტემამ დაანგრია ტრადიციული ისლამური ინსტიტუტები, მაგრამ სოციალური პრობლემები ვერ გადაჭრა... კოლონიზატორები არ იფარგლებოდნენ მუსლიმანური ქვეყნების მატერიალური რესურსების ძარცვით, ისინი ცდილობდნენ გაენადგურებინათ ამ ხალხების კულტურული, ისტორიული და სულიერი ფასეულობები, მოეხდინათ მათი ეროვნული ენებისა და კულტურის ასიმილაცია. დასავლური ცხოვრების უარყოფითი მხარეები – ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, სექსუალური აღვირაზსნილობა და სხვა რყვნიდა ახალგაზრდობას. იმ დროს, როცა საერო და სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარეობდა ძალდატანებითი ევროპეიზაციის პროცესი, მუსლიმანი რელიგიური ლიდერები ხშირად გამოდიოდნენ ეროვნული კულტურისა და ენის დამცველის როლში. რა თქმა უნდა, კოლონიზატორები ცდილობდნენ თავიანთი პოზიციების განმტკიცებას „ისლამურ ფასეულობათა დაცვის“ დემაგოგიური ლოზუნგებით. ამას ისინი ზოგჯერ კიდევაც ახერხებდნენ: რელიგიურ ლიდერთა ერთი ნაწილი მათ ემსახურებოდა, მაგრამ ხალხის საყოველთაო აღშფოთება კოლონიზატორთა მიმართ აიძულებდა მუსლიმანური რელიგიური ლიდერების დიდ ნაწილს მათ წინააღმდეგ გამოსულიყო“<sup>25</sup>.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ სავსებით გასაგებია, რომ მუსლიმანურ სახელმწიფოებს საკუთარი ეკონომიკის, ტრადიციული ადათ-წესების, თვითმყოფობის შესანარჩუნებლად „შარიათი“ ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და, უფრო მეტიც, ისლამის ექსპორტისათვის ესაჭიროებათ.

## ისლამი და გლობალიზაციის პოლიტიკა

აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნების ვესტერნიზაციის (იგივე გლობალიზაცია) პოლიტიკამ პირველი სერიოზული დარტყმა ირანის „ისლამური რევოლუციის“ დროს მიიღო, როცა ყოფილი მეტროპოლიები ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური გავლენის სფეროში შეენარჩუნებინათ მაჰმადიანური ქვეყნები (ძირითადად, ნავთობითა და წიაღისეულით მდიდარნი) და მოეხდინათ მათი „მოდერნიზაცია ევროპულ-ამერიკულ ყაიდაზე“.

ირანის „ისლამური რევოლუცია“ ჭეშმარიტად საერთო-სახალხო რევოლუცია იყო. „ანტიმონარქიული და ანტიიმპერიალისტური რევოლუციის მძლავრი აღმავლობა ირანში წარმოადგენდა XX საუკუნის 70-იანი წლების საერთაშორისო ცხოვრების უდიდეს მოვლენას, იმის მკაფიო მაგალითს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების ფართო მასები უარყოფენ თავსმოხვეულ ბურჟუაზიულ-სოციალურ მოდერნიზაციასა და თავიანთი თვითმყოფადი ცხოვრების წესის ვესტერნიზაციას. შაჰის პოლიტიკამ, რომელიც მიზნად ისახავდა მოეხდინა ირანის საზოგადოების დაჩქარებული კაპიტალისტური ტრანსფორმაცია დასავლეთის მოდელის მიხედვით, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის უკუქმედება გამოიწვია – ისინი მიუბრუნდნენ ტრადიციულ კულტურასა და სულიერ ფასეულობებს, რომელთა შორის უმთავრესი როლი ყოველთვის რელიგიას ენიჭებოდა“<sup>26</sup>.

შაჰის მიერ გატარებულმა დაჩქარებულმა კაპიტალისტურმა რეფორმებმა, თავსმოხვეულმა ვესტერნიზაციამ ქვეყანას მოუტანა უმუშევრობა, სოციალური უთანასწორობა, დაუნდობელი ექსპლოატაცია, მორალურ ფასეულობათა რღვევა, ზღვარგადასული კორუფცია, აღვირაზსნილობა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, პოპკულტურის ძალით დანერგვა. ამ რეფორმებმა ვერავითარი არსებითი ცვლილება ვერ შეიტანა ხალხის სოციალურ ცხოვრებაში. რეფორმებს „თან ახლდა ეროვნული გრძნობების შებლაღვა, ისლამური და ეროვნული ტრადიციების რღვევა, პოლიციისა და უშიშროების ორგანიზაციების ჩარევა ადამიანთა პირად ცხოვრებაში, მკაცრი რეპრესიები. ქვეყანაში ჩამოყალიბდა საყოველთაო ტერორის ატმოსფერო და ტოტალიტარულ-ბიუროკრატიული რეჟიმის სრულყოფილებიანობა“<sup>27</sup>.

„ისლამურ რევოლუციაში“ არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლური ფასეულობების ძალით თავს მოხვევის მცდელობამ (კურსივი ჩემია. — მ. უ.).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლეთი ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიო ცივილიზაციის უდიდეს კერას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ახდენდა აღმოსავლეთის ქვეყნების ცივილიზაციების საუკეთესო გამოცდილებათა აკუმულაციას, რაციონალიზმის ბრძმედში ატარებდა ყველა სიახლეს, რასაც კი ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებათა ამა თუ იმ დარგში და, რომელიც დიდი გერმანელი მეცნიერის მაქს ვებერის (1864–1920) თქმით, მხოლოდ „დასავლური კულტურის სპეციფიკური ყაიდის „რაციონალიზმს“ ემყარება. მან უნიკალური როლი შეასრულა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია, ბიოლოგია), მათემატიკაში, ისტორიოგრაფიაში, სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებაში, სამართალში, კანონმდებლობაში, ხელოვნებაში, არქიტექტურაში, მუსიკაში, წიგნის ბეჭდვასა და ჟურნალისტიკაში, უმაღლესი სასწავლებლების შემოღებაში,

„განსწავლული მოხელის“ ჩამოყალიბებაში, სახელმწიფოს წოდებრივ დაყოფაში და მრავალ სხვა დარგში. თუმცა ყოველივე ეს ჩანასახის სახით ადრეც არსებობდა (ინდოეთი, ჩინეთი, ბაბილონი, ძვ. საბერძნეთი და რომი, ეგვიპტე და სხვ.), პრაგმატული, რაციონალური „ვარგისიანობის“ თვალსაზრისით, მხოლოდ დასავლეთში პოვა გამოყენება“<sup>28</sup>.

საუკუნეების მანძილზე ერთგვარი დიფუზია მიმდინარეობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს შორის. ისინი ერთიმეორისაგან იღებდნენ იმას, რაც მისაღები იყო მათი მსოფლმხედველობის, ტრადიციებისა და ბუნებისათვის. მაგალითად, შუა საუკუნეების ისლამური ცივილიზაცია, რომელმაც თავის მხრივ, შეითვისა სხვადასხვა ცივილიზაციების საუკეთესო მონაპოვრები, თავისი განვითარების ოქროს ხანაში შევიდა. ისლამურ თეოლოგიასა და ფილოსოფიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ნეოპლატონიზმმა, არისტოტელეს მეტაფიზიკამ, შეიქმნა ცოდნის ახალი ფორმები, მათ შორის სოციალური თეორია; ისლამურ სამყაროს ჰყავდა საყოველთაოდ ცნობილი რენესანსული მოაზროვნეები, დიდი მეცნიერები მედიცინის, ფილოსოფიისა და თეოლოგიის დარგში; მუსლიმანმა მეცნიერებმა ერთ-ერთმა პირველებმა განავითარეს სამეცნიერო-ექსპერიმენტული მეთოდი (ჯერ კიდევ 1000 წლის წინათ გაკეთდა კატარაქტის ოპერაცია), დახვეწეს ინდური მათემატიკა, ჩინური სახვითი ხელოვნება და მრავალ ინოვაციას დაუდეს სათავე ასტრონომიაში, მედიცინაში, ფიზიკაში და სხვ.

## დასავლეთის უკიდურესი რაციონალიზაცია და დეჰუმანიზაცია

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა დასავლეთში კაპიტალიზმი თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა და

ევროპული საზოგადოების ცნობიერებაში უკიდურესმა რაციონალიზმმა იწყო დამკვიდრება, როცა დაკნინება დაიწყო სულიერებამ, მუსლიმანური ცივილიზაცია მკვეთრად დაუპირისპირდა დასავლეთს.

მაქს ვებერი, რომელიც თავისი პოლიტიკური ორიენტაციით ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო, ხედავდა იმ აშკარა პროგრესულ ტენდენციებს, რაც ფეოდალური ეკონომიკის ტიპთან შედარებით კაპიტალიზმის განვითარებამ მოუტანა მსოფლიოს, უპირველეს ყოვლისა, „ეკონომიკური რაციონალიზმი“ და „თავისუფალი შრომის რაციონალურ-კაპიტალისტური ორგანიზაცია“. „ტექნიკური საშუალებების განვითარებამ განსაზღვრა დასავლური კაპიტალიზმის თავისებურება, რაც მოითხოვდა ზუსტ კალკულაციას, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო დასავლური მეცნიერებების, განსაკუთრებით მათემატიკურად და ექსპერიმენტულად ზუსტი და რაციონალურად დაფუძნებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებას“<sup>29</sup>. ვებერი ხედავდა, რომ მხოლოდ დასავლეთში გახდა შესაძლებელი ალგებრული ოპერაციების ჩაყენება კაპიტალიზმის სამსახურში, რომ მხოლოდ დასავლეთში შეიქმნა მართვის რაციონალური სტრუქტურა. „თანამედროვე რაციონალურ კაპიტალიზმს, – ამბობს ვებერი, – ესაჭიროება როგორც ანგარიშდაქვემდებარებული შრომის ტექნიკური საშუალებები, ასევე ფორმალური წესების მიხედვით ანგარიშდაქვემდებარებული სამართალი და მართვა“, აქედან გამომდინარე, „კაპიტალისტურმა ინტერესებმა გზა გაუკაფა რაციონალური სამართლის სფეროში გამოწრთობილი იურისტების ფენის გაბატონებას სამართალწარმოებასა და მართვაში“<sup>30</sup>.

როგორც ვხედავთ, მოხდა ვებერის დროინდელი საზოგადოების უნივერსალური რაციონალიზაცია, რის საფუძველზეც ევროპაში „პირველად წარმოიშვა ახალი, მანამდე არარსებული და ამიტომ ანალოგიის არმქონე საზოგადოების ტი-



პი, რომელსაც ისტორიაში თანამედროვე სოციოლოგები ინდუსტრიულს უწოდებენ“<sup>31</sup>.

კაპიტალიზმის განვითარების საქმეში, მის საწყის ეტაპზე, პროტესტანტულმა მოძრაობამ, რომელიც სამართლიანად ითვლებოდა პროგრესულ მოვლენად, მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამიტომ მსოფლიო რელიგიების კვლევისას მ. ვებერის ყურადღების არეალში ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად რელიგიური ეთიკისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების საკითხი მოექცა. თავის „პროტესტანტულ ეთიკაში“ მ. ვებერი საფუძვლიანად აანალიზებს, თუ „რა ზეგავლენას ახდენს რელიგიურ-ეთიკური მიზანდასახულობა ეკონომიკური საქმიანობის ხასიათზე, მისი განხორციელების საშუალებებზე და, რაც მთავარია, მისი მოტივაციის ფორმებზე; თუ რა ზეგავლენას ახდენენ ამა თუ იმ სამეურნეო საქმიანობის ტიპები რელიგიურ-ეთიკური პრინციპების „დეფორმაციაზე“<sup>32</sup>.

გარდა ამისა, „ვებერი შეეცადა ერვენებინა, რომ კაპიტალისტურმა სისტემამ უნდა გამორიცხოს მის საქმიანობაში ისეთი მორალური მოსაზრებების ჩარევა, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან, ბუნებრივ სამართლიანობასა ან საერთო კეთილდღეობასთან. ამგვარად, მისი სოციოლოგია თავისუფალია ადამიანური ფასეულობებისგან (კურსივი ჩემია. — მ. უ.) როგორც ეკონომიკის გაგებაში, ასევე სოციალურ წყობაში მთლიანად“<sup>33</sup>.

როდესაც კაპიტალიზმმა განიმტკიცა პოზიციები და სწრაფი ტემპებით იწყო იმპერიალიზმში გადასვლა, უკიდურესმა რაციონალიზმმა, დამკვიდრებულმა პრაგმატიზმმა და კონსუმერიზმმა თანდათან დაიწყო სულიერების შეზღუდვა, რაც შემდეგ ღეჭუმანიზაციის პროცესში გადაიზარდა. „XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც თეორიულ საკითხებზე მსჯელობდა, ვებერი პერსონალურად შემფოთებული იყო და თეორიულად განიხილავდა მოდერნულობის ნეგატიურ მხარეებს, მსოფლი-

ოს რაციონალიზაციას, რაც ახდენდა პიროვნების დეჰუმანიზაციას და ყველაფერი დაჰყავდა კალკულაციამდე<sup>34</sup>.

„დღეს ჩვენ პირისპირ ვდგავართ ერთიანად რაციონალიზებული მსოფლიოს წინაშე, – წერს ი. ნ. დავიდოვი, – სადაც აღარაფერი ამალღებული, თავისთავად ღირებული არ არსებობს. არ არსებობს არაფერი, რაც არ შეიძლება დაიშალოს ტექნიკურად გამოსაყენებელ „მომენტებად“ და „ელემენტებად“...<sup>35</sup>

მორალურ-ეთიკური ნორმების რღვევამ – „პიროვნების თავისუფლებამ“, რომელიც მანამდე გარკვეულ ეთიკურ ჩარჩოებში იყო მოქცეული, თანამედროვე პირობებში მახინჯი ფორმები მიიღო და დასავლეთი სრულ უკიდურესობამდე მიიყვანა: თავშეკავება, მორალური სიწმინდე შეცვალა ქცევის თავისუფლებამ; ოჯახი – მათი მიხედვით, პატრიარქალური წყობის გადმონაშთი და ქალის დამონების საშუალება – სექსუალურმა აღვირაზსნილობამ; ტრადიციული ღირებულებები, მათ შორის, მშობლებისა და უფროსების პატივისცემა უგულვებელყოფილ იქნა; არის მცდელობა რელიგიები შეცვალოს გაურკვეველმა „ერთიანმა რელიგიამ“, რომელიც ამკვიდრებს ერთი სქესის ადამიანთა ქორწინებას, პედოფილიას, ყოველგვარ სიმახინჯეს, რყენის ადამიანთა სულებს, სპობს სამშობლოს გრძნობას, ცდილობს ამოძირკვოს ერი და მისი ისტორიული მეხსიერება; პიროვნებას წყვეტს საკუთარ ფესვებს, სწირავს მას გაუცხოებისა და მარტოობისათვის, და საბოლოოდ, უტყვ მონად აქცევს მას.

მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები ევროპული ცივილიზაციის დეკადანსზე ალაპარაკდნენ. დასავლეთელ მეცნიერთა ერთი ნაწილი შემფოთებულია ძალდატანებითი ვესტერნიზაციის პოლიტიკით და პირდაპირ აცხადებს, რომ ეს არის თანამედროვე დასავლური დეკადანსის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით. დეკადანსის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ეს მეცნიერები რელიგიის დეფიციტსა და ტრადიციების

უგულებელყოფას მიიჩნევენ. „როდესაც რელიგიური რწმენა ქრება, – ამბობს პროფ. როჯერ სქერუთონი, – როდესაც უფროსები ახალგაზრდებს ვერ აზიარებენ ეროვნულ კულტურას, როდესაც ერთგულება აღარ ვრცელდება თაობებზე ან ვერ შემოსაზღვრავს თავისთავს ტერიტორიული თვალსაზრისით, მაშინ საზოგადოება, რომლის წევრებიც ერთმანეთთან მხოლოდ მოქალაქეობრიობით არიან დაკავშირებული, დიდი საშიშროების წინაშე იმყოფება. დასავლეთის საზოგადოების დაუკმაყოფილებელი რელიგიური საჭიროება ემთხვევა გლობალიზაციის პროცესს, რომელიც დასავლური დეკადანსის მოწოდებას მთელ მსოფლიოში ავრცელებს“<sup>36</sup>.

ასეთ ვითარებაში კაპიტალისტური ქვეყნები განუხრელად ცდილობენ გააფართონ თავიანთი მოქმედების არეალი, ისევ დაიმკვიდრონ დომინირება ყოფილ კოლონიებსა და ნახევარკოლონიებზე, მოახდინონ იმ ქვეყნების ტრანსფორმაცია ევროპულ ყაიდაზე, რომლებიც მათთვის ნედლეულის სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენენ.

„დასავლური უნივერსალიზმი“ მთელ მსოფლიოს ხედავს იმ ფასეულობათა ჭრილში, რომელსაც აქვს თავისი დასაბამი, მნიშვნელობა, ბუნებრივი კლიმატი და რომელშიც არის მხოლოდ მცირე (თუმც სავარაუდოდ ხმაურიანი) ნაწილი. ამ ფასეულობათა გადატანა ისეთ გარემოში, რომელიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება მას კულტურითა და წეს-ჩვეულებებით, ნიშნავს სწორედ იმ კონფორტაციის გამოწვევას, რომლისგან თავის დაღწევას ჩვენ ასე ვესწრაფვით“, – წერს სამუელ ჰანდიგტონი<sup>37</sup>, „ცივილიზაციათა შეჯახების“ ტერმინის ავტორი და სრულიად სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ამა თუ იმ ქვეყნის კულტურა განპირობებულია გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, ბუნებრივი პირობებით, ერთობლივი სოციალური ცხოვრებით, რელიგიით, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციებით, და ყოველივე ამის მექანიკურად გადატანას ან ძალით დანერ-

გვას შეუძლია გამოუსწორებელი შედეგები მოუტანოს არა მხოლოდ ერთ ქვეყანას, არამედ მთელ პლანეტას.

## მუსლიმანური განათლების სისტემა და რელიგიური ფანატიზმი

პოლიტიკური მოდერნიზაციის „იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის“ ვესტერნიზაციის (გლობალიზაციის) ავტორებს სურთ შეცვალონ აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, ეთიკურ-მორალური პრინციპები, ფსიქიკა. ამისათვის ერთ-ერთი გზა განათლების სისტემის მოდერნიზაციაა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუსლიმანური განათლების სისტემა და რელიგია იმდენადაა ერთმანეთში შერწყმული, რომ მათი გამოცალკეება თითქმის შეუძლებელია.

როგორც ცნობილია, მუსლიმანური ქვეყნების მოსახლეობის 40 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. ქალაქებისა და სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი სკოლების ნაკლებობას განიცდის. მუსლიმანური ქვეყნებიდან თავისი საგანმანათლებლო სისტემით ყველაზე მეტად პაკისტანი გამოირჩევა. აქ მთელ ქვეყანაში არსებობს უფასო რელიგიური სკოლები — მედრესეები, სადაც ახალგაზრდები უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით, საცხოვრისით, ტანსაცმლით და უფასო განათლებას იღებენ. იმ მედრესეებში, რომლებსაც სუნიტური სექტა აფინანსებს, მშობლებს პირიქით უხდიან ფულს იმისათვის, რომ ბავშვები სკოლაში გაგზავნონ.

თავდაპირველად მედრესეებს სახელმწიფო აფინანსებდა, ამჟამად კი მათ (ხშირ შემთხვევაში ანონიმურად) მდიდარი მუსლიმანები აფინანსებენ პაკისტანიდან, საუდის არაბეთიდან, სპარსეთის ყურიდან, ირანიდან და სხვა მუსლიმანური ქვეყნებიდან. მედრესეები ახალგაზრდებს რელიგიურ დოგმებზე და-

ფუძნებულ ზოგად კულტურას აზიარებენ. ეს არის ეგალიტარული, „კრიტიკას მოკლებული განათლება“<sup>38</sup>, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება დასავლეთის საგანმანათლებლო სისტემას.

მართალია, „ყურანი და ისლამური სწავლება ბევრს ვერაფერს აძლევს სტუდენტს მეცნიერების, მრეწველობის, კომერციისა და კრიტიკული აზროვნების თვალსაზრისით“<sup>39</sup>, სამაგიეროდ ამ სკოლებში, დასავლეთისაგან განსხვავებით, „ახალგაზრდებს ასწავლიან ლოიალობას და უფროს თაობაში გადასვლის საშუალებებს, რასაც ისინი ჩვენი საერო სკოლებიდან ვერ იღებენ (იგულისხმება ევროპული. – მ. უ.). შესაძლოა ისლამური განათლება ჩამორჩენილად მოგვეჩვენოს, როდესაც მსჯელობა ეხება თავისუფალ აზრსა და მეცნიერულ სიზუსტეს, მაგრამ ის მნიშვნელოვნად უპირატესია მორალური და კულტურული თვალთახედვით იმ განათლებასთან შედარებით, რომელიც ხელმისაწვდომია დღეს დასავლეთის ქალაქების დიდი რაოდენობისათვის. იგი ასწავლის ღვთისმოსაობას, მოწიწებასა და ასაკოვანთა პატივისცემას, სთავაზობს მოსწავლეებს უფროსების სამყაროში გადასვლის რიტუალს, უნერგავს თვითდაჯერებულობას უფრო მეტად, ვიდრე ეჭვებს, სიმშვიდეს უფრო მეტად, ვიდრე შეშფოთებას. ამასთან ერთად იგი ხელს უწყობს მათ კლასიკური არაბულის შესწავლაში და მიუძღვება ბრწყინვალე და დიდებული ტექსტების დიდი რაოდენობით შესწავლა-დამახსოვრებისაკენ. ამგვარად, ის აძლევს სტუდენტს იმას, რაც აკლია თანამედროვე ადამიანთა უმრავლესობას – ციტატების, აფორიზმების, დიდი ხელოვნებით შექმნილი გამონათქვამების რეპერტუარს, რასაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასა და ურთიერთობაში იყენებენ“<sup>40</sup>.

როგორც ვხედავთ, მუსლიმანური მედრესეების განათლება ახალგაზრდებს აძლევს სულიერ და მორალურ საზრდოს რელიგიის, პოეზიის, ბრძნული გამონათქვამების, ტრადიციული წეს-ჩვეულებების, ეთიკის სახით – ყოველივე იმას, რაც აღმო-

სავლეთის ქვეყნებს საუკუნეების მანძილზე ჩამოუყალიბდათ. მაგრამ ამასთანავე მათ უღვივებს რელიგიურ ფანატიზმსაც. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ასეთი ტიპის სკოლები თავიანთ კურსდამთავრებულებს პრაქტიკული ცოდნის ნაკლებობის გამო, ვერ ამზადებენ თანამედროვე ცხოვრებაში ფუნქციონირებისათვის. ახალგაზრდები ვერ პოულობენ არსებობის საშუალებებს, ამიტომ მათ ეუფლებათ უპერსპექტივობის განცდა, პესიმიზმი. გამოსავლის ძიებაში ისინი თავიანთი „სულიერი ვალდებულებების“ („ჯიჰადის“ – წმინდა ომის) შესასრულებლად მიდიან სამხედრო საწვრთნელ ბანაკებში და ფუნდამენტალისტ-ფანატიკოსებად იქცევიან.

მედრესეების ასეთი განათლების მანკიერებას თვით მუსლიმანი ხელისუფალნიც აღიარებენ. „ისლამის სწავლების ხარისხი არ არის კარგი პაკისტანისათვის, – შენიშნავდა პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრი მოინუდინ ჰეიდერი (Moinuddin Haider), – ზოგიერთები რელიგიური სწავლების საფარველით აღვივებენ სექტანტურ ძალმომრეობას, წამლავენ ხალხის გონებას“<sup>41</sup>. მაგრამ განათლების ასეთი სისტემის რეფორმირება სასტიკ წინააღმდეგობას აწყდება: მისი მესვეურები ხელისუფლებას ადანაშაულებენ იმაში, რომ „ისინი ანადგურებენ მედრესეების სულისკვეთებას სასწავლო საგანთა გაფართოების საბაბით“, რომ, სადაც კი მთავრობამ კონტროლი დააწესა მედრესეებზე (ეგვიპტე, იორდანია), „ჩაქრა ჯიჰადის ძრავა“.

როგორც ვხედავთ, მედრესეებს აქვთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც, რადგან თუ, ერთი მხრივ, სულიერების ამალლებას ქადაგებენ, მეორე მხრივ, ჯიჰადს, მოწამებრიობას, ექსტრემიზმს უწევენ პროპაგანდას. ეს რელიგიური ფანატიზმი იმდენად არის გამჯდარი მუსლიმანური საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში (რა თქმა უნდა, მათი უმრავლესობა ექსტრემისტი არ არის), განსაკუთრებით – ღარიბ ფენებში, რომ ადამიანები სიხარულით წირავენ საკუთარ

შვილებს, ზოგ შემთხვევაში მატერიალური თვალსაზრისითაც (ე. წ. „წამებულთა“ ოჯახები მატერიალურად უზრუნველყოფილი არიან მთელი სიცოცხლის განმავლობაში და ისლამური საზოგადოების მხრივ დიდ პატივისცემას იმსახურებენ).

ისლამური ტერორიზმის არსისა და ხასიათის შესახებ მსჯელობისას ამერიკელი მწერალი რობინ მორგანი შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: „ადამიანი, რომელმაც დაკარგა ცხოვრების აზრი, ადვილად მიდის სიკვდილზე და სხვებსაც ითრევს ამაში. მაგრამ იდეოლოგიურმა დამუშევებამ უნდა დაარწმუნოს იგი, ვისაც ცხოვრების აზრი დაკარგული აქვს, რომ აზრი სწორედ მის სიკვდილშია. ზოგჯერ ეს პრაგმატულად კეთდება, როცა ისეთი დაჯგუფებები, როგორცაა „ჰამასი“ და „ჰეზბოლა“, გარანტიას აძლევენ დალუპულთა (წამებულთა) ოჯახებს, რომ ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიითა და სამედიცინო მომსახურებით. თავის სიცოცხლეში ახალგაზრდები, სულ ერთია, განათლებულები არიან თუ არა, თავს არ გრძნობენ სრულფასოვან „ადამიანებად“, რადგან სამუშაოს ვერ შოულობენ განადგურებული ეკონომიკის პირობებში. ჩვეულებრივ, ყოველივე ამას თან ერთვის დაპირებები მათი ცოდვების შენდობისა და სამოთხეში დაუყოვნებელი მოხვედრის შესახებ, სადაც მათ ელოდებათ ქალწულ ხასათა მთელი ჰარემი“<sup>42</sup>.

მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ღარიბი ფენების წარმომადგენლები როდი არიან „წამებულნი“ (თვითამფეთქებლები). ხშირია შემთხვევები, როცა იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებსაც დიდი ფსიქოლოგიური და ფიზიკური გამოცდის შემდეგ საამისოდ ირჩევენ მოლები, მრავლად არიან მდიდარი ოჯახის შვილები, სტუდენტები, აშშ-ისა და ევროპის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათი ქმედებები სწორია და მიზანშეწონილი, როცა უსამართლობასა და ძალმომრეობას ძალმომრეობითვე ებრძვიან.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრები მუსლიმანები სარგებლობენ დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა უფლებით, სრული თავისუფლებით, მაგრამ მუსლიმან კლერიკალთა ქადაგებების ზეგავლენით დარწმუნებული არიან, რომ არავითარი მოვალეობა ამ ქვეყნების მიმართ არ აკისრიათ. ოსამა ბინ ლადენტან დაკავშირებული, ბრიტანეთში დაარსებული ჯგუფის „ალ მუჰაჯირუნის“ წარმომადგენელმა ამ ბოლო დროს განაცხადა, რომ „არც ერთ ბრიტანელ მუსლიმანს არა აქვს რაიმე მოვალეობა ბრიტანული კანონების წინაშე, როცა ის ეწინააღმდეგება ალაჰის კანონს...“<sup>43</sup>.

მუსლიმან ემიგრანტთა ერთი ნაწილი ანტაგონისტურად არის განწყობილი მათი მიმღები ქვეყნების მიმართ. თანამედროვე მსოფლიო მოწმე გახდა იმისა, თუ რა რეაქცია გამოიწვია 11 სექტემბრის მოვლენებმა აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის ემიგრანტულ მუსლიმანურ საზოგადოებებში, თუ როგორ გამოხატავდნენ ისინი სიხარულს ამ თავზარდამცემი უბედურების გამო. ისმის კითხვა: რა არის ყოველივე ამის მიზეზი?

მუსლიმანი ახალგაზრდები თავისებურ დამოკიდებულებას იჩენენ „თავისუფლების“ ცნების დასავლური ინტერპრეტაციის მიმართ, რომელიც დასავლეთში ხშირად „უსაზღვროს“ სინონიმის როლს ასრულებს. ახალგაზრდები, რომლებიც დასავლეთში განათლების მისაღებად მიდიან, პირველ ხანებში ეწაფებიან ამ „თავისუფლებას“, ხედავენ საკუთარი საზოგადოების ჩამორჩენილობას, ნაკლოვანებებს, შეზღუდულობას, აკრძალვებს, მაგრამ შემდგომ, როცა თანამედროვე დასავლეთის სულიერი სიცარიელის მოწმენი ხდებიან, როცა რწმუნდებიან, რომ აქ მხოლოდ ფული და ტექნოლოგიებია მთავარი, ისევ მუსლიმანურ ეთიკასა და მორალს ანიჭებენ უპირატესობას და დასავლური ცივილიზაციის შეურიგებელი მტრები ხდებიან.



თანამედროვე მედრესეები, რომლებიც „ჯიჰადისათვის“ ამზადებენ თავიანთ მოსწავლეებს, ძირითადად პაკისტანშია განლაგებული. აქ სწავლობენ მოსწავლეები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, როგორცაა: ბირმა, ნეპალი, ჩეჩნეთი, ბანგლადეში, ავღანეთი, იემენი, თურქეთი, ტაჯიკეთი, რუსეთი. პაკისტანის მილიტარისტული ჯგუფები და კერძო პირები აფინანსებენ და წვრთნიან ისლამურ მოძრაობათა წარმომადგენლებს უზბეკეთიდანაც. ეს უკანასკნელნი, აშშ-ის მონაცემებით, მიზნად ისახავენ საერო ხელისუფლების დამხობას შუა აზიაში<sup>44</sup>.

ცნობილი ორიენტალისტი ედუარდ სეიდი (Edward Said) თავის წიგნში „ორიენტალიზმი“ გვიჩვენებს თუ როგორ უნდა იქნეს თავიდან აცილებული ე. წ. „განმანათლებლობა, როგორც კულტურული იმპერიალიზმის ფორმა“. სეიდი წერს: „შეიძლებოდა აღმოსავლეთი ყოფილიყო ჭეშმარიტი ალტერნატივა დასავლური განათლებისათვის. ნაცულად ამისა, იგი გადააქციეს დასავლეთის იმპერიული პროექტის დეკორატიულ საფარველად“<sup>45</sup>, და ვინაიდან თვით ევროპული განათლება კრიზისსა და დეკუმანიზაციას განიცდის, მუსლიმანური ქვეყნების განათლების სისტემის ვესტერნიზაციაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამასთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები რ. სქრუთონის დასკვნები, რომლებიც მან ფაქტობრივი მასალის შესწავლის საფუძველზე გამოიტანა:

- 1) დასავლეთის სკოლებიდან და უნივერსიტეტებიდან უჩინარდებიან თავისუფალი შეკრებები;
- 2) წიგნებს არასერიოზულ დამატებით მასალად მიიჩნევენ ანდა პოლიტიკური კორექტულობის თვალსაზრისით ისინი ამოშლილია სასწავლო საგანთა სიიდან;
- 3) სიტყვით გამოსვლას აკონტროლებს საკონსულტაციო მომსახურება და გარკვეული წესები. ისინი მართავენ როგორც სტუდენტებს, ასევე მასწავლებლებსაც;

- 4) ბევრი კურსი გამიზნულია იმისათვის, რომ უზრუნველყოს იდეოლოგიური კონფორმიზმი და არა რაციონალური მიდგომა;
- 5) სტუდენტები ხშირად ისჯებიან იმის გამო, რომ აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობისას საზოგადოდ მიღებული საწინააღმდეგო დასკვნები გამოაქვთ;
- 6) მართალია, სტუდენტებს კოცონზე აღარ წვავენ, მაგრამ ისინი ვერასოდეს მიაღწევენ წარმატებას, ვერ ეღირობებიან თანამდებობას ან, უბრალოდ, ჩაიჭრებიან ამა თუ იმ საგანში;
- 7) განათლებამ სასწავლო საგანთა სიიდან ამოგდო თეოლოგია (თითქოს ჭეშმარიტების დაცვის მიზნით), და მას მალე ჩაენაცვლება უღმერთობის თეოლოგია, რომელიც არანაკლები დაჟინებით მოითხოვს მორჩილებას თავისი დოქტრინისადმი;
- 8) ცივილიზაციათა ტრადიციული რწმენების ნაცვლად, რომლებიც ღვთისმოსაობას, განსჯასა და ისტორიისადმი ერთგულებას ეფუძნებოდა, ახალგაზრდებს სთავაზობენ იმ საზოგადოების ახალ რწმენას, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობასა და მოქალაქეობაზე, მათ უნერგავენ აზრს, რომ სხვაგვარი ცხოვრების წესზე მსჯელობა ბოროტმოქმედებაა;
- 9) ცდილობენ ახალგაზრდობა მოსწყვიტონ ისტორიულ ერთგულებას, რაც ასახვას პოულობს ინდივიდისა და მისი ღმერთის „გაუცხოებაში“;
- 10) ფუნდამენტური, ღრმა მეცნიერული განათლება მხოლოდ მდიდარი ელიტისათვის არის ხელმისაწვდომი.

რ. სქრუტონი გვიჩვენებს, რომ დასავლური განათლება პოლიტიკურად მართვადია და, რომ „...ძველი კულტურული მემკვიდრეობის შეურაცხყოფას ურთიერთობის ახალი ფორმებისა კი არ მივყავართ, არამედ მხოლოდ ერთგვარი „გაუცხოებისა კენ“<sup>46</sup>.

„გაუცხოება“, საკუთარ თავში ჩაკეტვა XX–XXI საუკუნეების დაუძლეველ სენად იქცა. ზდება გაუცხოება ყველაფრის მიმართ – საკუთარი ისტორიის, რელიგიის, ტრადიციების, ფასეულობებისა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არც ერთი სიახლე, არც ერთი ახალი ფასეულობა ცარიელ ადგილზე არ იქმნება – იგი წარმოადგენს ტრადიციული ღირებულებების კრიტიკული გააზრებისა და ათვისების შედეგს. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიურ ფასეულობებზე, რომელთა ძირითადი მცნებები სცილდება ვიწრო რელიგიურ ჩარჩოებს და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს.

მაგრამ თუ რელიგია, ერთი მხრივ, დიდ როლს ასრულებს ხალხის გაერთიანების, ტრადიციული ფასეულობების, მორალურ-ეთიკური ნორმების დაცვის საქმეში, მეორე მხრივ, იგი საშიში ზდება, „თუ კონფლიქტი გადატანილია რელიგიურ ჭრილში. ეს მხოლოდ აღვივებს რელიგიურ ფანატიზმს, ჩრდილავს კონფლიქტის ნამდვილ მიზეზებს, მიჰყავს ადამიანები მოვლენათა არასწორ შეფასებამდე, ისეთ გარემოებათა შექმნამდე, როცა უმნიშვნელო მოვლენამაც კი შეიძლება საბედისწერო შედეგებამდე მიგვიყვანოს“<sup>47</sup>.

როცა გააცნობიერეს, რომ უძღური არიან დასავლეთის მოზღვავებული ტექნიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ძალადობის წინაშე, განვითარებადი ქვეყნების რელიგიურმა ლიდერებმა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მხოლოდ რელიგიაა ის იდეოლოგიური საფუძველი, რომელიც მოახდენს განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ, სხვადასხვა ცივილიზაციის მქონე ხალხების კონსოლიდაციას, ხელში აიღეს ინიციატივა და, ისლამური რელიგიისა და ფასეულობების დაცვის ლოზუნგით, სათავეში ჩაუდგნენ ნეოკოლონიალიზმისა და თავსმოხვეული გლობალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

## გლობალიზაცია — გლობალური ტერორიზმის საფრთხე

„გლობალიზაცია, — წერს ბრიტანელი მეცნიერი როჯერ სქრუტონი, — არ ნიშნავს, უბრალოდ, პლანეტის მასშტაბით კომუნიკაციების, კონტრაქტებისა და ვაჭრობის გაფართოებას. ეს ნიშნავს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და იურიდიული ძალაუფლების გავრცელებას გლობალურ ორგანიზაციებზე; მე ვგულისხმობ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ცალკეულ სუვერენულ იურისდიქციაში და არ იმართებიან სპეციფიკური ტერიტორიული კანონებით („ტერიტორიულს“ ავტორი ხმარობს „ეროვნულის“ მნიშვნელობით. — მ. უ.). ასეთი ორგანიზაციების ზრდა, ჩემი შეხედულებით, დასაწყისი თანაპროდუქტია ჩვენი დამლუპველი მისწრაფებისა თავისუფლებისაკენ. რა ფორმითაც არ უნდა იყოს ეს — მულტინაციონალური კორპორაციების, საერთაშორისო სასამართლოს, თუ ტრანსნაციონალური კანონმდებლობის — ისინი ახალი სახის საფრთხეს უქმნიან სუვერენიტეტის ერთადერთ ფორმას, რომელმაც ხანგრძლივი მშვიდობა მოუტანა ჩვენს პლანეტას... და როცა ხდება ტერორიზმის გლობალიზაცია, საშიშროება ასჯერ უფრო ძლიერდება“<sup>48</sup>.

როგორც ვხედავთ, თვით დასავლეთელი მეცნიერებიც უდიდეს საფრთხეს ხედავენ გლობალიზაციის პოლიტიკაში. რ. სქრუტონის აზრით, როცა უცხო ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ძალაუფლება ინერგება რომელიმე სუვერენულ ქვეყანაში, ეს ქვეყანა თანდათანობით კარგავს თავის სუვერენიტეტს, რის გამოც იქმნება წინააღმდეგობის გაწევის დიდი საფრთხე. ეს საფრთხე კიდევ უფრო ძლიერდება, რაც უფრო აქტიურად მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი. წინააღმდეგობა, საბოლოო ჯამში, აშკარა ომის თუ არა, ფარული ომის, ე. ი. ტერორიზმის სახეს იღებს.

თუ აქამდე, ყოველივე ეს, ე. ი. გლობალიზაცია, ფარულად მიმდინარეობდა, სახელმწიფოები, კერძოდ, არაბული ქვეყნები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს არის „ძლიერთა ამა ქვეყნისათა ფარული, კულისებს მიღმა მოქმედება, მსოფლიო მასონიზმის დიქტატი, როდესაც პლანეტის საჭეთმპყრობელთა კასტის ნება-სურვილის მიხედვით იმართება გლობალური პოლიტიკური პროცესები, მიიღება უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, ხორციელდება თვით სამხედრო აქციები, წყდება მთელი სახელმწიფოებისა და ხალხების ბედიც“<sup>49</sup>.

საქმე იქამდე მივიდა, რომ გლობალიზაციის იდეის ავტორებმა 1990 წელს ინგლისურ ჟურნალ „ეკონომისტში“ გამოაქვეყნეს ამავე ჟურნალის რედაქტორის ვარაუდით შედგენილი რუკა, რომლის მიხედვით მსოფლიო რამდენიმე ცივილიზაციად არის დაყოფილი. ყოველ მათგანზე გამოსახულია სიმბოლური ფიგურა, რომელიც იქ გავრცელებულ რელიგიაზე მიუთითებს<sup>50</sup>. ამ დაყოფის მიხედვით, მსოფლიო პოლიტიკური რუკა ასე გამოიყურება:

- 1) *ევროპა, ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა* – ევროამერიკა. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება: ხორვატია, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები და ფინეთი. ჩრდილოეთ ამერიკის თავზე მოჩანს მლოცველი პურიტანელი თუ ბაპტისტი; სამხრეთით – კონკისტადორი სამკუთხა ქედით. ევროპას არავითარი რელიგიური სიმბოლო არ გააჩნია.
- 2) *ევრაზია* – ყოფილი სსრ კავშირის სივრცე ბალტიის ქვეყნების გამოკლებით. მასში შედის სერბია, ბულგარეთი, რუმინეთი და საბერძნეთი. მისი სიმბოლოა რუსეთის პატრიარქი.
- 3) *ისლამისტანი* – ვრცელდება მაროკოდან ინდონეზიამდე. მისი რელიგიური სიმბოლოა სამი ფეხმორთხმული მუსლიმანი.
- 4) *ინდოეთი* – შივას სიმბოლოთი.

5) კონფუციანა – ინდოჩინეთის ქვეყნები, თვით ჩინეთისა და იაპონიის ჩათვლით. მათი სიმბოლოა დრაკონი და ბუდა.

მუსლიმან ლიდერთა პროპაგანდის შედეგად მაჰმადიანური ქვეყნების ხალხები იმ აზრისანი არიან, რომ „აშშ-ს ებრაელები მართავენ“, რომ ის „დიდი სატანაა“ (ჰომეინი) და, როგორც ამას ამერიკელი მეცნიერი ჯესიკა სტერნი (Jessica Stern, 2002) აღნიშნავს, „რადიკალურ მედრესეებთან დაკავშირებული გასამხედროებული დაჯგუფებები აცხადებენ, რომ „ისლამურ დროშებს ააფრიალებენ დელიში (რომელსაც ისრაელი უწევს დახმარებას), თელ-ავივსა და ვაშინგტონში“<sup>51</sup>. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ამერიკელი მეცნიერები ლენგმანი და მორისი (Langman and Morris, 2002) წერენ, რომ „არსებობს საერთო არაკეთილგანწყობილი შეხედულება აშშ-სა და მის პოლიტიკაზე, რომელიც ემყარება ზეძალაუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტატუსს, ნავთობის გეოპოლიტიკას, ტირანთა ხელშეწყობას, პალესტინელთა მიმართ ისრაელის ქმედების უკრიტიკო მხარდაჭერასა და მატერიალისტურ კულტურას. ბევრს სწამს, რომ აშშ-ს სიონისტური კონსპირაცია თუ არა, ებრაელები მართავენ. პაკისტანის, ირანის, ინდონეზიის, თურქეთის, ლიბანის, მაროკოს, ქუვეიტის, იორდანისა და საუდის არაბეთის 9000 გამოკითხულ მცხოვრებთა ნახევარზე მეტმა არაკეთილგანწყობილება გამოხატა აშშ-ის მიმართ... ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ხალხის უმრავლესობას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს აშშ-ისადმი და არცთუ მთლად დაუმსახურებლად“<sup>52</sup>.

მუსლიმანური ქვეყნების ხალხები დარწმუნებული არიან, რომ ამ ძალდატანებითი გლობალიზაციის პროცესს სწორედ სიონისტ-მასონ-ებრაელთა ჯგუფი ახორციელებს, რომ მათ ხელთ არის უდიდესი ეკონომიკურ-ფინანსური ბერკეტები, რაც საშუალებას აძლევს იბრძოლონ მსოფლიო ბატონობისათვის, გლობალური კონტროლის, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ,

„ახალი მსოფლიო წესრიგის“, „ახალი აზროვნების“ დასამკვიდრებლად.

1998 წელს ყოფილმა გაეროს გენერალურმა მდიანმა ხავიერ პერეს დე კუელერმა კიდევ უფრო განამტკიცა ზემოხსენებული შეხედულება, როცა ვაშინგტონში გამართულ ეკოლოგიურ სამიტზე შემდეგი განაცხადა: „*დღეს, როდესაც მსოფლიო XXI საუკუნეს უახლოვდება, ჩვენ გვინდა მშვიდობა და სრული ურთიერთგაგება, ყოველივე ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ ახლებური აზროვნების ჩამოყალიბებით, ახალი გლობალური პატრიოტიზმის იდეით მოაზროვნე ხალხთა საზოგადოების შექმნით. მათ ისე ღრმად უნდა ჰქონდეთ გამჭვდარი ზემოთ აღნიშნული იდეა გლობალიზმისა, როგორც ადრე ჰქონდათ გრძნობა ნაციონალური პატრიოტიზმისა*“<sup>53</sup> (კურსივი ჩემია. – მ. უ.).

გლობალიზაციის იდეოლოგიებმა კარგად იციან, თუ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიას – საზოგადოებრივი ცნობიერების ამ სპეციფიკურ ფორმას, რომელმაც ფასდაუდებელი როლი შეასრულა მსოფლიო ხალხთა მსოფლმხედველობის, ტრადიციების, კულტურულ-ეთიკური ნორმებისა და თვით ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების საქმეში.

„ჩვენ ახლებური ევროპული სახლის მშენებლობისას, – წერს ფრანგი მასონი რენე დუშეტელი, – ვერ გავთვალეთ მთავარი, ეს არის *ხალხის რწმენა* (კურსივი ჩემია. – მ. უ.). ჩვენ ყველა არსებული სტრატეგიული მეთოდით გადავეშვიტ პოლიტიკურ ბრძოლაში, მაგრამ დაგვაიწყდა ის, რომ პოლიტიკას ხალხი ქმნის და რომ ეს ხალხი შეიძლება საკმაოდ დოგმატური იყოს რელიგიის მიმართ. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ახალი რელიგიურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ძირითად აქცენტს გააკეთებს მსოფლიო რელიგიათა უსისხლო დაახლოებაზე; ამის შემდეგ *ჩვენ უნდა*

ვეცადოთ მოძვეალ თაობებს გლობალური აზროვნების მარცვალი ჩავუსახოთ და ყოველნაირად დავაშოროთ მოძველებული შეხედულებების გიუტ და რეგვენ ნაციონალებს“ (კურსივი ჩემია. – მ. უ.)<sup>54</sup>.

როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, „ახალი აზროვნების“, „ახალი წესრიგის“ რეალიზაციისათვის გლობალისტებს საჭიროდ მიაჩნიათ, პირველ რიგში ძირითად რელიგიათა (ქრისტიანობის, ისლამის, ბუდიზმისა და არა იუდაიზმის) გაერთიანება – გლობალიზაცია.

გლობალური რელიგიის ძირითადი დოქტრინის შემუშავება დაევალა ამერიკის ეპისკოპალური ეკლესიის ეპისკოპოსს ვ. სეინგს, გორბაჩოვის ფონდსა და მსოფლიოს ეკუმენისტურ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს. დოქტრინის პროექტი 1999 წელს იქნა წარმოდგენილი. ეკუმენისტი ეპისკოპოსის სეინგის მტკიცებით, „გაერთიანებული რელიგიების ორგანიზაცია ქრისტეს ნათელზე უფრო მეტად ამობრწყინდება კაცობრიობის თავზე და განავრცობს მსოფლიო სულიერი ტრადიციების შუქს სამყაროში, რომელიც ამ შუქს ძალიან საჭიროებს“<sup>55</sup>.

გარდა იმისა, რომ ეროვნული ეთიკის ნაცვლად წამოყენებულ იქნა გლობალური ეთიკის იდეა, დაგეგმილი იყო შეექმნათ რელიგიური პრობლემების მოგვარებისა და ეროვნულის ნაცვლად „პლანეტარული მოქალაქეობის“ ქადაგების ცენტრი, რომელიც დააჩქარებდა „გაერთიანებული რელიგიების“ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ამ ორგანიზაციის არსი მდგომარეობს სარწმუნოებათა ინტეგრაციის გზით მიაღწიოს „მსოფლიო რელიგიებზე“ კონტროლს, ანუ კონტროლს მთელ კაცობრიობაზე“<sup>56</sup>.

მსოფლიო რელიგიების ინტეგრაციის პრობლემასთან დაკავშირებით ტარდება ათასგვარი კონფერენცია, ფორუმი, ყრილობა, მაგრამ ეს მხოლოდ წინააღმდეგობების მკვეთრ გაძლიერებას იწვევს – არც ერთი ორთოდოქსული მსოფლიო რე-



ლიგიის წარმომადგენელს არ სურს ამ ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობა და იდეაც სრულ კრახს განიცდის. ეს საკვებით გასაგებია: ყოველი ქვეყნის რელიგია ამ ქვეყნის ხალხის ისტორიის, ცივილიზაციისა და ეროვნული თვითმყოფობის გამომხატველი, მისი განუყოფელი ნაწილია და თავისი ნებით არავინ იტყვის უარს საკუთარ მეობაზე, მით უმეტეს, როცა უკვე აშკარა გახდა გლობალიზაციის იდეოლოგია მზაკვრული გეგმები – ზენაციონალურმა ელიტამ თავისი სურვილისამებრ მართოს მთელი მსოფლიო.

რადგან არ მოხერხდა რელიგიათა გაერთიანება, რასაც იდეის ავტორები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებენ გეოგლობალიზმისა და მონდიალიზმის დოქტრინებთან ერთად, ახლა იერიში ცალკეულ რელიგიებზე მიიტანეს, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანულ მართლმადიდებლობაზე, რომლის განადგურება, ზბიგნეე ბჟეზინსკის აზრით, „ნომერი პირველი პრობლემაა სსრ კავშირის დანგრევის შემდეგ“<sup>57</sup>. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გლობალიზაციის იდეოლოგებმა ვერ გათვალეს ვერც ქრისტიანობისა და ვერც ისლამის ძალა, როცა ფიქრობდნენ, რომ „ქრისტიანული რელიგიის სრული განადგურების შემდეგ სხვა რელიგიებს ადვილად გაუსწორდებოდნენ“<sup>58</sup>.

მაგრამ მოხდა ისე, რომ რელიგიური გლობალიზაციის ცდამ, პირიქით, უკურნაქცია გამოიწვია როგორც ქრისტიანული მართლმადიდებლობის, ასევე ისლამის მხრივ. დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ „განვითარებადი ქვეყნების“ მიმართ ამოქმედებული ეროვნული, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ძალმომრეობის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ ჯერ კიდევ 1928 წელს ჩამოყალიბდა „მუსლიმან ძმათა ასოციაცია“, რომელიც აღმოცენდა შუა საუკუნეების მუსლიმანურ მიმდინარეობათა – ხანბალიტების, ასასინების, რამდენიმე სუფისტური ორდენის, პანისლამიზმის, პანარაბიზმისა და ზოგიერთი ფაშისტური დებულების ნიადაგ-

ზე<sup>59</sup>. ორგანიზაციის მიზანი იყო დაეცვა და გაეწმინდა მუსლიმანური საზოგადოება კაპიტალისტური ზეგავლენისაგან. ასოციაციის იდეოლოგია და პრაქტიკული საქმიანობა ემყარებოდა ეგვიპტის დიდი მუფთის – მუჰამედ აბდოს მოძღვრებას „მუსლიმანთა ინტეგრირების“ შესახებ. ამ მოძღვრების ქვაკუთხედი იყო ისლამის გარდაქმნა პასიური ჭკვრეტითი ფილოსოფიიდან აქტიური პროტესტის, ექსტრემიზმისა და ძალადობის იდეოლოგიად. იგი მოუწოდებდა ძალაუფლების ხელში აღებისა და ისეთი საზოგადოების შექმნისაკენ, რომელიც შარიათის საფუძველზე იფუნქციონირებდა და აიძულებდა სხვა ხალხებს შეექმნათ მსგავსი ისლამური სახელმწიფოები.<sup>60</sup>

მუსლიმანურმა „წმინდა ომმა“ – ჯიჰადმა, რომელიც მათ იმპერიალიზმსა და კომუნიზმს გამოუცხადეს, დღესდღეობით ექსტრემიზმის ხასიათი მიიღო. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს რელიგიურ-ექსტრემისტული მოძრაობა ვაჰაბიზმი, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს გავრცელდა საუდის არაბეთში, ინდოეთში, ავღანეთში, ინდონეზიასა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში და თავდაპირველად მიზნად ისახავდა მსხვილ ფეოდალთა და ვაჭართა ინტერესების დასაცავად „არაბთა ტომებისა და წვრილი სამთავროების გაერთიანებას, ფეოდალური ანარქიისა და ტომობრივი განხეთქილების მოსპობას“<sup>60</sup>. ამ მიმდინარეობამ ფართოდ გაშალა პროპაგანდისტული მუშაობა სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. მან პოპულარობა მოიპოვა კაპიტალისტური ეკონომიკის, კაპიტალისტური ცხოვრების წესის, მორალისა და ეთიკის მიმართ თავისი სიძულვილის გამო. ფუნდამენტალისტურ მოძრაობაში მუსლიმანთა „სულ ახალ-ახალი მილიონები ებმებიან, ძირითადად ჩამორჩენილ გლეხთა მასები, პატრიარქალური, კონსერვატიული ტრადიციების ერთგული დამცველები, რომლებიც ცდილობენ აწმყოს ახსნა წარსულში იპოვონ. ამით მათ მოძრაობაში მოჰყავთ არა მხოლოდ პროტესტის

მეამბოხური სული და შეურიგებლობა, არამედ თავიანთი ცრურწმენები და სისუსტეები“<sup>61</sup>.

‘XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო მუსლიმანური რელიგიურ-პოლიტიკურ-ფუნდამენტალისტური (მათ შორის ვაჰაბისტური) ორგანიზაციების აღმავლობა. ეს ორგანიზაციები განსაკუთრებით გააქტიურდნენ ირანის ანტიმონარქიული, ანტიიმპერიალისტური ისლამური რევოლუციის შემდეგ.

ტეროლოგთა დიდი ნაწილი იმ აზრისაა, რომ მუსლიმანური ექსტრემიზმის გააქტიურება ძირითადად შემდეგი ფაქტორებით არის განპირობებული:

- 1) „სიღარიბით, ისლამური საზოგადოების განუვითარებლობითა და უკმაყოფილების პოლიტიკური გამოხატვის საშუალებათა ნაკლებობით“<sup>62</sup>;
- 2) კონსერვატიული რელიგიის რეაქციით პრაგმატულ საზოგადოებაზე;
- 3) ფუნდამენტალიზმის სასტიკი სიძულვილით ჰედონისტურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიმართ;
- 4) ყოველგვარი სიახლის უარყოფით (ტექნოლოგიების გარდა. – მ. უ.);
- 5) ტრანსცედენტური რელიგიური კონცეფციის უსიტყვო მორჩილების მოთხოვნით.

თავდაპირველად ისლამის აქტივიზაცია ძირითადად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით მიმდინარეობდა. ხოლო მას შემდეგ, რაც არაბულ სახელმწიფოთა შუაგულში ისრაელის სახელმწიფო დაარსდა, ახლო და შუა აღმოსავლეთი საშიშ ფეთქებად კერად იქცა. ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ისრაელელი „ბოევიკები“ პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებში (ბასრაში, შატილსა და აინ ალ-ჰალვაში 1982 წ. 16 სექტემბერს) შეიჭრნენ<sup>63</sup>, მშვიდობიანი მოსახლეობა უმოწყალოდ გაჟლიტეს და მოახდინეს ლიბანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია.

აშშ-ისა და ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ისრაელის აშკარა მხარდაჭერამ და დაჩქარებულმა ვესტერნიზაციამ საგრძნობლად შეუწყო ხელი მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის კიდევ უფრო გაძლიერებას. არაბთა იდეოლოგი მაჰმუდ კუშკი აცხადებს, რომ, ვინაიდან სიონისტები იუდაიზმის საფუძველზე ცდილობენ შექმნან ებრაელი ერი და ებრაული სახელმწიფო, წინააღმდეგობის გაწევა არაბებს მხოლოდ ყურანის პოზიციებიდან შეუძლიათ – „მხოლოდ ყურანს შეუძლია სძლიოს თალმუდს“. ამავე მოსაზრებას იზიარებს არაბთა მეორე იდეოლოგი მაჰმუდ ტაჰა, რომელიც ამბობს, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოუგვარებლობა აიძულებს არაბებს მისი გადაწყვეტის გზები ისლამში ეძიონ, და დასძენს, რომ „ისრაელი – ეს არის მათრახი, რომელიც არაბებს ისლამისაკენ მიერეკება“<sup>64</sup>. ხდება სუნიტური ორთოდოქსულობისა და შიიტური ექსტრემიზმის შერწყმა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ისლამის აღზევებას მსოფლიო მასშტაბით. აქ აუცილებელია შევჩერდეთ ირანის ისლამური რევოლუციისა და, კერძოდ, მისი რელიგიური ლიდერის ჰომეინის როლზე ისლამურ მოძრაობაში. პროფესორ როჯერ სქრუტონის თქმით, „ჰომეინი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფიგურაა სამი მიზეზის გამო:

*პირველი* – მან უჩვენა თანამედროვე მსოფლიოს, რომ ისლამური მთავრობა სიცოცხლისუნარიანია. ამგვარად, მან გააბათილა რწმენა, რომ ვესტერნიზაცია და სეკულარიზაცია გარდაუვალია;

*მეორე* – ჰეზბოლის (ალაჰის პარტია) გააქტიურებით, მან მოახდინა თავისი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედის – ისლამური რევოლუციის ექსპორტი ლიბანში;

*მესამე* – მან უზრუნველყო ისლამის შიიტური სახით გამოცოცხლება, რითაც მოწამებრიობა თავისი სტრატეგიის ცენტრალურ ნაწილად აქცია“<sup>65</sup>.

1 პომეინის მოწოდებას „თვითშეწირვის“ შესახებ ახალგაზრდობის, ძირითადად თინეიჯერების (13-დან 19 წლამდე), ღიდი ნაწილი გამოეხმაურა. ისინი მზად იყვნენ სამოთხეში მოხვედრის იმედით უარი ეთქვათ საკუთარ სიცოცხლეზე/ თეირანის ყოველდღიური გაზეთი „ეტელა ატი“ (1982 წლის 30 იანვარი) წარმოუდგენელი პოეტურობით აღწერდა საზარელ სურათს – დანალმულ მინდორზე ახალგაზრდების თავგანწირულ რბოლას, როცა ისინი საკუთარი სიცოცხლის ფასად უზრუნველყოფდნენ პროფესიული ჯარის უსაფრთხო გადაადგილებას: „ყველა ისინი მოხალისეები იყვნენ, 14–15–16 წლიდან 20 წლამდე. აქ იმისათვის მოვიდნენ, რომ დანალმული ველი ვარდის ბაღად გადაექციათ. ეს ნახევრად გაშლილი კვირტები ცისკრის დადგომამდე მოვიდნენ – სწორედ მაშინ, როცა ვარდის ფურცლები იშლებიან. დარბოდნენ ისინი დანალმულ მინდორზე და ატრიალებდნენ მტვრის ქარიშხალს, მეხვიით მქუხარეს. თვალი ვერაფერს ხედავდა, ყური ვერაფერს ისმენდა. მერე ჩაწყნარდა მტვრის ქარიშხალი და კურთხეულმა მღუმა-რებამ მოიცვა ყოველივე. ჩვენ თვალწინ მთელი დაბლობი მოფენილი იყო ახალგაზრდების სხეულთა ნაფლეთებით – ეკლიან ბარდებსა და კენჭებზე მიკრული ხორცისა და ძვლების ნაჭრებით. თითქოს ზეცამ ხორცისა და ძვლების ნამსხვრევები დააწვიმა მინდორს“<sup>66</sup>.

ამ თავზარდამცემი სურათის წარმოდგენის შემდეგ, რომელსაც ასეთი „პოეტურობით“ აღწერს ზემოხსენებული სტატიის ავტორი, შეუძლებელია მთელი საზოგადოება არ დაფიქრდეს მსოფლიოს ბედზე – უნდა მოიძებნოს გზები, რომლებიც კი არ გააღვივებენ (როგორც ეს მოჰყვა 2005 წლის სექტემბერში დანიურ ჟურნალ „იულანფს-პოსტენში“ წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნებას, რამაც მთელ მსოფლიოში მუსლიმანთა აღშფოთება და აგრესია გამოიწვია), არამედ მშვიდობიანად, თანდათანობით შეასუსტე-

ბენ რელიგიურ ფანატიზმს, რადგან იგი უდიდეს საშიშროებას უქმნის კაცობრიობას.

ქომეინის მოწოდებას იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ სუნიტები, რომლებსაც ღრმად სწამთ ყურანი და თვით-მკვლელობას კატეგორიულად კრძალავენ, ასევე ჩათრეულ იქნენ ამ მოძრაობაში. მუსლიმანთა ასეთი უჩვეულო გაერთიანების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად დასავლეთის მეცნიერები დაჩქარებულ ვესტერნიზაციასა და მუსლიმანური სამყაროსათვის თავსმოხვეული გლობალიზაციის პროცესს მიიჩნევენ. ყველაფერი ის, რაც დასავლეთს უკავშირდება, „დასავლეთის ჩვეულებები, დასავლური მორალი, დასავლეთის ხელოვნება, დასავლური მუსიკა და ტელევიზია დანახულია არა როგორც თავისუფლება, არამედ ცდუნება, ხოლო ცდუნებაზე ბუნებრივი პასუხი ან დანებებაა, ან იმათი დასჯა, ვინც ყოველივე ამას გთავაზობს“<sup>67</sup>. |

ქვესტერნიზაცია-გლობალიციის წინააღმდეგ შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც ტერორისტულ საშუალებებს ფლობენ, თითქმის ყველა მუსლიმანურ სახელმწიფოში არსებობენ. ისინი დიდ საშიშროებას წარმოადგენენ ყველა ქვეყნისათვის, რადგან თავის შურისძიებას მიმართავენ არა ცალკეულ უზურ-პატორთა, არამედ, საერთოდ „ალაჰის მტრების“ (არამუსლიმანების) წინააღმდეგ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა) საუდის არაბეთის მილიონერის, ავღანეთში სსრ კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად აშშ-ის მიერ დაფინანსებული და გაწვრთნილი ტერორისტის ოსამა ბინ ლადენის „ალ ქაიდა“, რომლის ჩამოყალიბება სამმა სოციალურ-პოლიტიკურმა ფაქტორმა განაპირობა: საუდის არაბეთის ვაჰაბისტურმა მოძრაობამ, „მუსლიმან ძმთა ასოციაციამ“ და დასავლეთის მოწინავე ტექნოლოგიებმა. „ალ ქაიდის“ წამყვანი იდეოლოგი ალ-ზავაჰირი (მდიდარი არაბი ქირურგი, რომელმაც განათლება ასევე აშშ-ში მიიღო) ავღანეთში შეუერთდა ბინ ლადენს. მათ შექმნეს მძლავრი აგრესიული მუს-

ლიმანური მოძრაობა, რომელიც ახალი ტიპის ცხოვრების გზას სთავაზობს მაკჰადიანებს – „სიკვდილის პირისპირ ღვომას“ (მოწამებრიობას)».

ამერიკელების მიერ ავღანეთში მოპოვებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „ალ ქაიდა“ გარკვეული პირობებით კონტრაქტებს უდებს მოჯაჰედებს. იგი არჩევს სანდო, რელიგიურად და მორალურად მდგრად მუსლიმანებს, რომლებსაც შეუძლიათ მტკიცედ დაიცვან კონსპირაცია და თავი ნებისმიერ მომენტში გაწირონ. 2001 წლის ოქტომბერში „ალ ქაიდას“ სპიკერი იკვეხნიდა, რომ „არსებობს ათასობით ახალგაზრდა, რომელიც სიკვდილს მოუთმენლად ელის“<sup>68</sup>.

ოსამა ბინ ლადენი აშკარად მაშინ დაუპირისპირდა ამერიკას, როდესაც განაცხადა: „ჩვენი მტერი თითოეული ამერიკელი მამაკაცია, სულ ერთია, უშუალო მებრძოლია იგი, თუ გადასახადების გადამხდელი“<sup>69</sup>.

„ალ ქაიდის“ მოქმედების გეგმაში არ შედის პატარ-პატარა ტერორისტული აქტების მოწყობა. „ფარული ომი“, რომელსაც იგი აშშ-ის როგორც უკანასკნელი ზესახელწიფოსა და კაპიტალიზმის ციტადელის წინააღმდეგ აწარმოებს, გამიზნულია ისეთი ორგანიზაციების გასანადგურებლად, რომლებიც ამერიკის ეკონომიკის, სამხედრო და სამთავრობო სტრუქტურების მოდელად ითვლებიან, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ და უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მთელი მსოფლიოს ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ (2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის სამიზნედ მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, პენტაგონი და თეთრი სახლი იქცა. ეს იყო უმძიმესი ფსიქოლოგიური შოკი მთელი დასავლეთის სამყაროსათვის. მან მნიშვნელოვნად შეარყია წარმოდგენა აშშ-ის უსაფრთხოებისა და უძლეველობის შესახებ: „ალ ქაიდამ“ ამ ეტაპზე შეძლო მიზნისათვის მიედწია – საზოგადოებაში შეექმნა შიშის ატმოსფერო და შური ეძია იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც დასავლეთის კაპიტალიზტური

ქვეყნები და, კერძოდ, აშშ აღმოსავლეთის მუსლიმანური სახელმწიფოების მიმართ აწარმოებენ.)

(ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: გლობალიზაცია, რომელსაც აკონტროლებს „უჩინარი ხელი“ – გარკვეული იდეოლოგიური და ინტერესების მქონე ჯგუფები (ოლიგარქები, ტრანსნაციონალური კომპანიები, მაფია, ნარკომაფია, იარაღის არალეგალური ვაჭრები და სხვ.), გულისხმობს ყველა ქვეყნისა და განსაკუთრებით არაბული სახელმწიფოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ მოდერნიზაციას დასავლურ-ამერიკული მოდელის მიხედვით, საზღვრების მოშლას, ტრანსნაციონალური მთავრობის შექმნას, ეროვნული სახელმწიფოების ნიველირებას, მათი კანონმდებლობის, მორალურ-ეთიკური და კულტურული ფასეულობების რეფორმირებას.

ყოველივე ამას შედეგად მოსდევს ისლამური ქვეყნების მწვავე რეაქცია გლობალიზაციის მიმართ. რაც უფრო მეტი ინტენსივობით მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი, მით უფრო ძლიერდება საპასუხო აგრესია. ახლა ეს ქვეყნები მხოლოდ თავს კი აღარ იცავენ, არამედ შეტევაზე გადადიან – „ისლამის გლობალიზაციის“ იდეის რეალიზაციას ცდილობენ და გარკვეულწილად კიდევაც აღწევენ მიზანს.

ვინაიდან „განვითარებად ქვეყნებს“, კერძოდ, ისლამურ სახელმწიფოებს გლობალიზაციის (ვესტერნიზაციის) სახით ექმნებათ სუვერენიტეტის, ტრადიციული კანონმდებლობის, რელიგიის, მორალურ-ეთიკური ნორმების რღვევისა და საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებების დაკარგვის საშიშროება, ისინი საკუთარი ეროვნული თვითმყოფობის გადარჩენის მიზნით მზად არიან ძალისმიერი კონტრქმედებებით წინ აღუდგნენ ამ პროცესს, მაგრამ, უძლური არიან გლობალიზაციის პოლიტიკის გამტარებელ ზესახელმწიფოთა წინაშე (მათ არ გააჩნიათ არც შესაბამისი ეკონომიკა და არც სამხედრო პოტენციალი). ამიტომ ცალკეული ტერორისტული



დაჯგუფებები და ორგანიზაციები რელიგიურ საფუძველზე ერთიანდებიან „ალაჰის მტრების“ წინააღმდეგ. გლობალური მილიტარისტული ქსელი – „ალ ქაიდა“, მისი ფილიალები და სხვა მუსლიმანური ტერორისტული დაჯგუფებები დასავლეთისადმი ფანატიკური სიძულვილით წვრთნიან თავიანთ წევრებს, ამზადებენ მათ როგორც იდეოლოგიურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისით იმისათვის, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აწარმოონ ტერორისტული საქმიანობა ე. წ. „ფარული ომი“.

თუ დასავლეთმა „განვითარებადი ქვეყნების“ და, კერძოდ, მუსლიმანური სახელმწიფოების მიმართ უფრო ზომიერი, ფრთხილი პოლიტიკა არ გაატარა, პატივისცემა არ გამოიჩინა მათი სუვერენიტეტის, ტრადიციებისა და ადამ-წესებისადმი, არ შეწყვიტა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძალმომრეობა, ამ ორ სამყაროს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამძაფრდება და მაშინ მხოლოდ მძიმე შედეგებს უნდა მოველოდეთ. მით უმეტეს, როცა არსებობს მასობრივი განადგურების ისეთი სამხედრო ტექნოლოგიები, რომელთა აბსოლუტურ გაკონტროლებას ვერავინ შეძლებს. ამ მოსაზრების დამადასტურებლად გამოდგება ერთი ფაქტიც, რომელსაც არავითარი კომენტარი აღარ სჭირდება. 2002 წლის 13 სექტემბერს ტელეარხ ABC-ს (აშშ) კორესპონდენტმა ბრაიენ როსმა შემდეგი ექსპერიმენტი ჩაატარა: იგი 25 დღის განმავლობაში მოგზაურობდა ჩემოდნით, რომელშიც რვა კილოგრამი ურანი ედო (ურანი დაცული იყო ტყვიის ფირფიტით); მან მატარებლით ევროპის შვიდი ქვეყანა ისე შემოიარა და შემდეგ თვითმფრინავით აშშ-ში გადაფრინდა, რომ არც ერთ ქვეყანაში მისი ბარგის რაობით არავინ დაინტერესებულა...

## დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენთვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ლიტერატურის, პრესისა და ელექტრონული მედიის ინფორმაციების შესწავლა-გამოკვლევის შედეგად, რაც წინამდებარე მონოგრაფიას უდევს საფუძვლად, შეგვიძლია გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა:

1. „ტერორიზმისა“ და „საერთაშორისო ტერორიზმის“ მრავალი დეფინიციის არსებობის მიუხედავად საყოველთაოდ მისაღები, მათი ამომწურავი დეფინიცია დღესაც არ არსებობს. ტერორიზმის სხვადასხვა სახეობებს შორის იკვეთება ორი უმთავრესი: „სახელმწიფო ტერორიზმი“ და „საერთაშორისო ტერორიზმი“.

„სახელმწიფო ტერორიზმი“ მოიაზრება როგორც მმართველი ელიტის მიერ თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით საკუთარი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორი.

„საერთაშორისო ტერორიზმი“ არის სახელმწიფოებს შორის მიმდინარე გამოუცხადებელი, „ფარული ომი“, რომელიც იყენებს ყველა იმ კომპონენტს, რაც ოფიციალურად გამოცხადებულ ომს ახასიათებს. მისი საბოლოო მიზანი იდეოლოგიური, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური დომინირებაა.

2. საზღვარგარეთელ მეცნიერთა ერთი ნაწილი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, გაბატონებული რეჟიმების რეპრესიული პოლიტიკა, ხელისუფლებიდან გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ჩამოშორება, მკაცრი კონტროლი მედიაზე — ყოველივე ეს ქმნის აუცილებელ პირობას მომავალი ტერორისტული აქტებისათვის. მეორე ნაწილიც არსებითად იზიარებს ამ მოსაზრებას, ამასთან ფიქრობს, რომ ზემოხსენებული პრობ-

ლემები მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ტერორიზმის ექსპორტს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ქვეყნები ერთ დროს კოლონიები იყვნენ და მეტროპოლიის სიძულვილის მრავალი მეზეზი აქვთ.

რა ახსნაც არ უნდა მოეძებნოს ტერორიზმს, ერთი რამ ცხადია: მისი საბოლოო მიზანი არის ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირების რღვევა, საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბვა, ხალხის ფართო მასებში შიშისა და პანიკის დანერგვა და, საბოლოო ანგარიშში, ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

საზღვარგარეთელი ტეროლოგები, ექსპერტები და ანალიტიკოსები ბოლომდე მაინც ვერ ხსნიან, ვერ ადგენენ (თუ არ ადგენენ) ტერორიზმის წარმომშობ ჭეშმარიტ მიზეზებს და ვერ მიდიან ერთიან, ყველასათვის მისაღებ კონცეფციამდე. რა თქმა უნდა, მათი შრომები მნიშვნელოვანია და შეიცავენ გარკვეულ რაციონალურ მარცვალს, მაგრამ, რაც მთავარია, ვერ გეთავაზობენ პრობლემური საკითხების მოგვარების მშვიდობიან გზებსა და მეთოდებს. სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით ისინი ცდილობენ გამოავლინონ ტერორიზმში ჩართული ქვეყნები, თითოეულ მოსახლეზე შეიარაღების ოდენობის, ტერორისტული აქტების რიცხვისა და ამ სახელმწიფოებში დემოკრატიულობის დონის შესწავლის საფუძველზე ახდენენ ასეთი ქვეყნების კლასიფიკაციას ტერორიზმის „იდეოლოგ“, „ხელშემწყობ“, „უშუალო სამიზნე“ და „საბოლოო სამიზნე“ ქვეყნებად. მართალია, ტერორიზმის აღმოცენების ერთ-ერთ მიზეზად ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ასახელებენ, მაგრამ მას მხოლოდ გაკვრით ეხებიან და აქცენტს იდეოლოგიურ (მარქსიზმი) და სოციალურ (სოციალური ინფექცია) მოტივაციაზე აკეთებენ. ეს მეცნიერები არაფერს ამბობენ მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოთა (მათ შორის აშშ-ის) მიერ თავიანთი ეკონომი-

კურ-პოლიტიკური დომინირების მცდელობაზე. ისინი ტერორიზმს არ ხსნიან როგორც საპასუხო რეაქციას „ტერორისტულად“ მიჩნეული სახელმწიფოების საშინაო და საგარეო საქმეებში უხეშ ჩარევაზე. ნაცვლად იმისა, რომ ზესახელმწიფოებმა რეალურად ხელი შეუწყონ მწვავე პრობლემების მოგვარებასა და მშვიდობიანი ურთიერთობების განმტკიცებას, ისინი საპასუხო კონტრტერორისტული პროპაგანდისა და ქმედებების გზით კიდევ უფრო აღრმავებენ ქვეყნებს შორის არსებულ ანტაგონიზმს. რჩება შთაბეჭდილება, რომ „ღია საზოგადოებების“ – დემოკრატიული ქვეყნების დაცვის საფარველით ისინი ქმნიან „პრევენციული დარტყმების“ აუცილებლობის თეორიულ საფუძვლებს, აყალიბებენ მათთვის სასურველ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ამართლებს ამ სახელმწიფოთა შემდგომ პრაქტიკულ ქმედებებს.

3. უცხოელ (ძირითადად აშშ-ის) ფსიქოლოგთა და ფსიქიატრთა საფუძვლიანი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ტერორისტს არა აქვს არავითარი ფსიქიკური გადახრა – იგი სავსებით *ნორმალური* ადამიანია; რომ ტერორისტის ქმედება განპირობებულია ან მისი ოჯახის წევრთა დაზოცვით, ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით, ან რელიგიური ფანატიზმით, ან სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, ან პოლიტიკური მიზნებით, ან ზემოთ ჩამოთვლილ მოტივთა სხვადასხვაგვარი კომბინაციებით.
4. „ღია საზოგადოებებში“, სადაც ფაქტობრივად არ არსებობს ცენზურა, პრესა აქვეყნებს, ხოლო ტელევიზია და ელექტრონული მედია უჩვენებს ტერორისტული აქტების სულისშემძვრელ სცენებს, რითაც ისინი შესაძლოა უნებურად ან, პირიქით, შეგნებულადაც პროპაგანდას უწევენ ტერორიზმს. აშკარაა ის ფაქტი, რომ აღიარებისა და ლეგიტიმურობის მოსაპოვებლად ტერორისტები ეძებენ მათ მიერ ჩადენილ ტერორისტულ აქტებზე მედიის გამოხმაუ-

რების საუკეთესო გზებს. ცხადია, მედია მთლად „უცოდველიც“ არ არის: სენსაციური ამბები, ტერორისტული აქტების გაშუქება ხელს უწყობს ჟურნალ-გაზეთების გასაღებას, დიდ მოგებას აძლევს მათი კორპორაციების მესაკუთრეებს, მაგრამ ამასთანავე იწვევს სიმბიოზურ კავშირს ტერორიზმსა და მედიას შორის, რასაც ზოგიერთი ანალიტიკოსი „პრესის დანაშაულად“, ზოგი კი „მედია-ტერორიზმად“ მიიჩნევს. მედიის მიერ საზოგადოებისათვის სისტემატურად, მონოტონურად მიწოდებული ნეგატიური ინფორმაცია ადამიანებში ჯერ ინტერესს იწვევს, შემდეგ შიშს, სასოწარკვეთილებას, აპათიას, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების გულქვაობის, შეუვალობისა და, საბოლოო ანგარიშში, აგრესიის აქტივიზაციის მიზეზი ხდება.

5. თანამედროვე „საერთაშორისო ტერორიზმის“ კვლევას უცილობლად მიეყვართ იმ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ თუ კულტურულ პროცესებთან, რომლებიც განაპირობებენ ამ საშიში მოვლენის არსს.

მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური გლობალიზაცია, რომელიც „განვითარებად ქვეყნებში“ ძალდატანებით მიმდინარეობს, ტერორიზმის გლობალიზაციის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს, და თუ ასე გაგრძელდა, ადრე თუ გვიან იგი „ცივილიზაციათა შეჯახებას“ გამოიწვევს.

6. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ფოკუსირება ე. წ. „მუსლიმანურ ტერორიზმზე“ მოხდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნავთობითა და წიაღისეულით მდიდარმა აღმოსავლეთის ქვეყნებმა, ყოფილმა კოლონიებმა და ნახევარკოლონიებმა, სწრაფი ტემპით იწყეს განვითარება ტრანსნაციონალური კომპანიების, დასავლეთის ბანკების, დიდი ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრების მეოხებით. მათ გაუჩნდათ ამბიციები თა-

ვიდან მოეცილებინათ დასავლეთის დომინირება, რომელიც მიმდინარეობდა მოგების მაქსიმალიზაციის, კონკურენციის დათრგუნვის, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის შეზღუდვისა და შემდგომ მათი მოსპობის გზით. ეს თავისთავად მოასწავებდა ამ ქვეყნებში საერთო ბაზრის დამკვიდრებას, დასავლეთის კაპიტალის სრულ თავისუფლებას, ეროვნული სახელმწიფოების საზღვრების მოშლას, დასავლური კანონმდებლობის დაწერგვასა და დასავლეთის სრულ დიქტატს. საკუთარი მეობის შენარჩუნების მიზნით მუსლიმანურმა სახელმწიფოებმა დასავლური კანონმდებლობის საპირისპიროდ წინ წამოსწიეს შუა საუკუნეების კანონთა კრებული „შარიათი“, რომელიც მუსლიმანური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების საფუძველს შეადგენს. იგი არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეს, იცავს ისლამის ტრადიციულ ფასეულობებს და მტრულად არის განწყობილი კერძო საკუთრების პრინციპებისადმი, კრძალავს მევახშეობას, ფულის დაგროვებასა და მოგებას, ე. ი. ყოველივე იმას, რაც კაპიტალიზმის საფუძველს შეადგენს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ „შარიათის“ უდიდესი ზეგავლენა ისლამურ სახელმწიფოებზე ისლამის სოციალურ-ეკონომიკურ დოქტრინაში – მის ეგალიტარულ ფილოსოფიასა და მკაცრ მორალურ-ეთიკურ პრინციპებში მდგომარეობს.

7. ძალდატანებითი გლობალიზაცია (ვესტერნიზაცია) გულისხმობს „განვითარებადი ქვეყნების“ დაჩქარებული ტემპით გარდაქმნას დასავლურ-ამერიკულ ყაიდაზე, ამ ქვეყნების ხალხთა მრავალსაუკუნოვანი კულტურის, მათი ისტორიული მეხსიერების დაკნინებას, მათი სულიერი ფასეულობების იგნორირებას. ეს პროცესები მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ჯგუფების (ოლიგარქები, ტრანსნაციონალური კომპანიები, მაფია, ნარ-

კომაფია, იარაღის არალეგალური ვაჭრები და სხვ.) „ფარული ხელით“ იმართება და მიზნად ისახავს: ეროვნული სახელმწიფოების მოსპობას, მონდიალიზმის დამკვიდრებას, ე. წ. „მსოფლიო მოქალაქის“ ჩამოყალიბებას, ერთიანი რელიგიისა და ტრანსნაციონალური მთავრობის შექმნას, არსებული მორალურ-ეთიკური და კულტურული ფასეულობების რეფორმირებას დასავლური მოდელის მიხედვით იმისათვის, რომ „რჩეულთა“ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ხელში ჩაიგდოს მსოფლიოს ფინანსური და პოლიტიკური ბერკეტები. მაგრამ რამდენადაც თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია, მისივე წარმომადგენელთა აღიარებით, შეპრობილია უკიდურესი რაციონალიზმით, პრაგმატიზმით, კონსიუმერიზმით, გატაცებულია ტექნიკური პროგრესით, თითქმის უარყოფილი აქვს სულიერება, ტრადიციული ღირებულებები და ღრმა კრიზისშია მისი ეთიკა, მორალი, კულტურა, ისლამურ სახელმწიფოებს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ დასავლურ-ამერიკული „თავისუფლების“, „დემოკრატიის“, „ლიბერალიზაციისა“ და „გლობალიზაციის“ მიმართ.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ზემოხსენებული ფაქტორებით არ შეიძლება აიხსნას ისლამის საერთაშორისო აქტივიზაცია. ამ მხრივ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება თვით ისლამურ ორგანიზაციებს („მსოფლიო ისლამური კონფერენცია“, „არაბული ეკონომიკური ერთიანობის საბჭო“, „ისლამური საინფორმაციო სააგენტო“, „განვითარების ისლამური ბანკი“ და მრავალი სხვა), რომლებიც თავიანთი საქმიანობით ფართო პროპაგანდას უწევენ მაჰმადიანურ რელიგიას, მუსლიმანურ ფასეულობებს და ხელს უწყობენ პროისლამური განწყობილების შექმნას.

8. რაც უფრო ძლიერდება ისლამური ქვეყნებისათვის თავს მოხვეული გლობალიზაციის პროცესი, მით უფრო ძლი-

ერდება მუსლიმანთა წინააღმდეგობა. პასიური ჭკერეტიით ფილოსოფიიდან ისლამი აქტიური პროტესტის, ექსტრემიზმისა და ძალადობის იდეოლოგიად გარდაიქმნა. არაბული სახელმწიფოები, ისევე როგორც სხვა „განვითარებადი ქვეყნები“, ღვანან საკუთარი ეკონომიკის, პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ტრადიციული ფასეულობების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე. ეროვნული თვითმყოფობის შესანარჩუნებლად ისინი მზად არიან ძალისმიერი კონტრქმედებებით წინ აღუდგნენ ამ დამღუპველ პროცესს, მაგრამ, რაკი დღესდღეობით უძლური არიან გაუმკლავდნენ გლობალიზაციის ავტორ ზესახელმწიფოებს (საამისოდ მათ არ გააჩნიათ არც შესაბამისი ეკონომიკა და არც სამხედრო პოტენციალი), ამიტომ ცალკეული ტერორისტული დაჯგუფებები და ორგანიზაციები რელიგიურ საფუძველზე ერთიანდებიან „ალაჰის მტრების“ (არამუსლიმანების) წინააღმდეგ.

ამგვარად, მსოფლიო დგას ორი უკიდურესობის წინაშე: ერთი მხრივ, დასავლეთის მიერ თავსმოხვეული „გლობალიზაცია“ და, მეორე მხრივ, აგრესიული მუსლიმანური ფუნდამენტალიზმი.

9. რელიგიური ფანატიზმის გაღვივებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ისლამურ საგანმანათლებლო სისტემას. ისლამური სასწავლებლები, მედრესეები, ახალგაზრდებს ვერ აძლევენ თანამედროვეობის შესაფერის პრაგმატულ ცოდნას და ამის გამო მათი დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები სამუშაოს ვერ შოულობენ. საკუთარი თავისა და ოჯახის სარჩენად ისინი იძულებული არიან ისეთი საშუალება გამოიყონ, რაც მათ პატივსა და სახელს მოუტანს, მათ ოჯახებს კი – სამუდამო ეკონომიკურ გარანტიებს. ასეთ საშუალებად მათ „მოწამებრიობა“ ესახებათ. ახალგაზრდები, რომლებსაც ბავშვობიდანვე უნერგავენ ტრანსცედენტური რელიგიური კონცეფციის უსიტყვო მორჩილებას, მიდი-



ან სპეციალურ სამხედრო ბანაკებში, სადაც მათ გამოცდილი ინსტრუქტორები წვრთნიან პრაგმატულ ფასეულობათა მიმართ სასტიკი სიძულვილის სულისკვეთებით, რათა მათ „ალაჰის სახელით“ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განახორციელონ ტერორისტული აქტები, აწარმოონ ე. წ. „ფარული ომი“

10. მუსლიმანური ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდა“, რომელსაც თავისი ქსელი მთელ მსოფლიოში აქვს გაშლილი, უმძიმეს ტერორისტულ დარტყმებს აყენებს გლობალიზაციის გამტარებელ სახელმწიფოებს (აშშ, ინგლისი, ისრაელი და სხვ.) და მათ მხარდამჭერებს. ეს დარტყმები კარგად არის გათვლილი – გამიზნულია ისეთი ორგანიზაციების გასანადგურებლად, რომლებიც ამ ქვეყნების *ეკონომიკის, სამხედრო და სამთავრობო* სტრუქტურების მოდელად ითვლებიან და იღებენ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მთელი მსოფლიოს ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. სწორედ ამიტომ იქცა 11 სექტემბრის თავდასხმის სამიზნედ *მსოფლიო სეკურო ცენტრი, ჰენტაგონი* და *თეთრი სახლი*. ამ ტერორისტულმა აქტმა მნიშვნელოვნად შეარყია იმის რწმენა, რომ ისეთი ზესახელმწიფოც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, შეიძლება უსაფრთხოდ გრძნობდეს თავს, მით უმეტეს, როცა ექსტრემისტულ-ისლამისტური ორგანიზაციები „წმინდა ომით“ (ჯიჰადით) ემუქრებიან არა მხოლოდ მოძალადე ქვეყნებს, არამედ მათ სატელიტებსაც. დასავლეთის სამყაროს მიერ თავს მოხვეულ გლობალიზაციას ისინი უპირისპირებენ „მუსლიმანთა ინტეგრაციას“ და ცდილობენ „ისლამის გლობალიზაციის“ იდეის რეალიზებას.

11. ტერორიზმის შედეგად უდიდეს მოგებას ღებულობენ:
  - სხვადასხვა სახის იარაღის მწარმოებელი ფირმები და დილერები;
  - მასმედიის მაგნატები;
  - სადაზღვევო ფირმები;
  - ტრანსნაციონალური კომპანიები;
  - სამედიცინო დაწესებულებები (მედიკამენტებისა და შესახვევი მასალის მწარმოებელი ფირმები);
  - მაფიოზები და ნარკომაფიოზები;
  - საერთაშორისო ბანკები;
  - რადიკალურად განწყობილი კლერიკალები;
  - ზესახელმწიფოები, რომლებსაც თავიანთი გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად საბაბი ეძლევათ „პრევენციული ღარტყმები“ მიაყენონ თავიანთ „სამიზნეებს“.

დასასრულ, თავს უფლებას მივცემთ წარმოვადგინოთ ჩვენ მიერ შემუშავებული ზოგიერთი რეკომენდაცია მათთვის, ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო კონფლიქტების სამართლიანი მოგვარებით:

1. გაეროსაგან დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას *მცირე ერების* (და არა სეპარატისტების) საერთაშორისო ორგანიზაცია (თავისი უშიშროების საბჭოთი), რომელიც *დაიცავს ამ ერების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ინტერესებს ზესახელმწიფოთა დომინირებისა და კონტროლისაგან.*
2. მსოფლიო თანამეგობრობა განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით უნდა მოეპყრას ყოველი *ერის* ტრადიციულ რელიგიურ მრწამსსა და ფასეულობებს.
3. უნდა აღიკვეთოს ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა, როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო თითქოს ებრძვის ტერო-

- რიზმს, სინამდვილეში კი მას თვითონვე იყენებს ძალმომრეობის იარაღად.
4. მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს იარაღის მწარმოებელ კონცერნებზე, ფირმებსა და დილერებზე.
  5. მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციების („გაერო“, „მსოფლიო ბანკი“, „სავალიუტო ფონდი“, „წითელი ჯვარი“ და სხვ.) რეფორმირება იმ მიზნით, რომ მათ რეალურად შეასრულონ ოფიციალურად დაკისრებული ფუნქციები და არ ემსახურობდნენ მხოლოდ ერთი რომელიმე ჯგუფის ინტერესებს.
  6. უნდა შემუშავდეს ისეთი საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც გააკონტროლებს და შეზღუდავს ტრანსნაციონალური კომპანიების განუსაზღვრელ უფლებებსა და ეკონომიკურ ამბიციებს.
  7. უნდა მოიძებნოს მიგრაციის პრობლემების დარეგულირების ისეთი გზა, რომელიც გამორიცხავს სეპარატიზმის აღმოცენებას.
  8. კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა შემუშავდეს სპეციალური მორალური კოდექსი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება სახელმწიფო მოხელეთა და სხვა თანამდებობის პირთა შერჩევის კრიტერიუმები.
  9. მსოფლიო თანამეგობრობამ ყველა ქვეყანაში აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მეცნიერების იმ დარგთა განვითარებას, რომლებიც აუცილებელია ამჟამად არსებული ენერგორესურსების ალტერნატიული წყაროების აღმოჩენისა და დანერგვისათვის.

# Глобализация – опасность глобального терроризма

Дефиниция терминов: „терроризм“,  
„международный терроризм“

Одна из самых опасных явлений современности, которая разрушает экономические, политические и культурные связи между государствами, которая нависла над миром как „Дамоклов меч“ и угрожает уничтожением – это международный терроризм.

До 30-тых годов XX столетия терроризм рассматривался как явление, которое угрожало жизни отдельных людей и их собственности. Но когда террор стал политикой некоторых стран (Советский Союз), когда Фашистская Германия стала устанавливать „новый порядок в Европе“ (Рузвельт), террор принял опасный характер: он подрывал не только стабильность европейских стран, но и суверенитет отдельных государств.

В активизации терроризма значительную роль сыграли сперва антиколониальные – национально-освободительные движения, а затем движения в защиту или против неоколониализма.

Участились случаи, когда спецслужбы тех или иных государств с геополитической целью занимались террористической деятельностью. Существует не один пример того, что бывшие колонии путем террора добились свободы и создания своих собственных государств (Израиль, Кения и др.). Террор считается „политикой крайностей“, но какими бы возвышенными не были окончательные цели, когда жертвы невинных людей predetermined стратегией массовых убийств,

„хороший террор“ не бывает: он служит психологическому шокированию людей, внедрению синдрома страха в обществе.

После Второй Мировой Войны, когда возросло число Социалистических стран, противостояние двух общественно-политических систем – капиталистической и социалистической – стало причиной многих противоречий. Боясь, что от Советского Союза исходила угроза „покраснения“ мира, западные капиталистические государства, среди них, спецслужбы США вели активную подрывную деятельность, старались устранить от управления государств нежелательных политических фигур. Известно, что США способствовали созданию и стимулированию многих террористических организаций (среди них „Талибан“ и др.), направленных против Советского Союза.

Число террористических групп особенно возросло как в европейских, так и в азиатских и южно-американских странах в 80-тых годах XX столетия. Если раньше в году имело место приблизительно 300 террористических актов, то их число значительно возросло в 1980–1987 годах. В настоящее время почти каждый день, мы становимся свидетелями ужасающих террористических актов. Создаются множество террористических организаций, правда, на разной идеологической почве и с разной мотивацией, но их окончательной целью является завоевание политической власти. К числу таких организаций относятся: „Эта“ (Баскония), „Красные бригады“ (Италия), „Асала“ (Международная Армянская Организация), „Ира“ (Ирландия), „Сендеро Луминос“ (Перу), „Талибан“ (Афганистан), „Хезбола“ (Палестина), „Хамас“ (Исламская организация), „Красная Армия“ (Япония), „Ак-

сион Директ“ (Франция), „Эскадроны Смерти“ (Гватемала), „Сепаратистская Организация Сикхов“ (Индия), „Черный Интернационал“, „Голубая Дивизия“ (Испания). В США до сих пор существуют террористические организации, которые не запрещены властями: „Лига Защиты Евреев“, Террористическая организация „Освобождения Пуэрто-Рико“, „Гусанос“ (Куба), и многие другие.

Ситуация особенно усложняется, когда террористические организации объединяются и создают специальные центры для координации своих действий, подготовки террористических групп, финансовой и технической взаимопомощи.

Террористический акт 11 сентября 2001 года потряс весь мир и убедил всех, что если такая сверхдержава, как США, не смогла обеспечить безопасность своего собственного народа, то что может случиться с любым государством, если терроризм примет глобальный характер – мир станет не только перед опасностью разрушения стабильности, но и возникнет вопрос о существовании всей нашей планеты (если учесть существующее количество оружия массового уничтожения).

В данной книге мы пытаемся изучить такие важные вопросы, как:

- Феномен терроризма. Существующие дефиниции „терроризма“, „международного терроризма“;
- Зарубежную террологию (в частности США);
- Психологические результаты терроризма;
- Взаимоотношение терроризма со средствами массовой информации;
- Изучение роли религиозного фанатизма в становлении „психологии террориста“;

- Существующие взаимосвязи между мусульманской системой образования и религиозного экстремизма;
- Суть т. н. „Исламского терроризма“;
- Причины фанатичной ненависти мусульман ко всему Западно-Американскому;
- Основные экономические, политические, культурные, образовательные, правовые причины навязанной, ускоренной вестернизации-глобализации;
- Основные причины интенсификации „мусульманского экстремизма“;
- В чьих интересах деятельность террористических организаций.

Изучению и освещению вопросов международного терроризма как самой актуальной проблеме современности, уделяется огромное внимание в зарубежной террологии (особенно, в американской). В исследованиях западных ученых изучаются статистические данные террористических актов, политический терроризм, страны классифицируются на „идеологические“, „способствующие“, „непосредственные цели“, „конечные цели“, исследуются история терроризма, психика и психология как террориста, так и жертв террора, религиозная вера, взаимоотношение масмедии и терроризма. Но все эти исследования существуют сами по себе, независимо друг от друга, их результаты не рассматриваются в одном контексте, не расшифрована сущность терроризма, не изучены реальные причины его возникновения. И, следовательно, не предлагаются пути и средства превенции и борьбы с терроризмом.

Не вызывает сомнения уже всем известная фраза „террор – политика крайности“. Поэтому, глубокое изучение тех причин, ведущих людей к такой крайности, имеет огромное значение в предотвращении терроризма. Попытка зарубежных ученых объяснить терроризм „генетической террористической психологией“ или завистью к богатым евро-американским странам, не выдерживает никакой критики. Террориста создают те этнические, социальные, экономические, политические, культурно-этические условия, при которых приходится ему жить и действовать.

До сегодняшнего дня в грузинской террологии не существовало научное исследование в котором критически, основательно были бы изучены работы зарубежных (особенно американских) террологов по международному, в частности, „мусульманскому терроризму“, его политических, экономических, правовых, культурных, морально-этических принципов, и была бы предложена стройная концепция причин его противостояния с западной цивилизацией.

Начиная с 80-тых годов прошлого столетия, когда особенно активизировался терроризм, появилась необходимость его основательного изучения. Но до этого нужно было выяснить значение терминов „терроризм“ и „международный терроризм“, который часто понимается как использование насильственных методов против политических оппонентов, конкретных обществ, конкретных физических лиц, выполняющих значительные политические или общественные функции. Но терроризм, который раньше был направлен против отдельных государственных деятелей и ставил целью: „убей одного, устраши десять тысяч“ (китайская пос-



ловица), взял курс на уничтожение огромного количества людей (Холокост, Хиросима, Нагасаки, Всемирный торговый центр и т. д.). Именно поэтому стал он таким опасным явлением. Среди разновидностей терроризма рельефно вырисовываются два вида: „государственный“ и „международный“. Провести четкую грань между ними часто почти невозможно.

Женевская Конференция (1987 г.) дала следующее определение государственному терроризму: он является „государственно-политической практикой против собственного народа в целях установления господства с помощью создания обстановки страха путем использования всех средств, в том числе убийств, массовых казней, пыток, избиений“ (Красный террор в СССР, Террор в Фашистской Германии, в Чили и др.).

По определению ООН, „международный терроризм“ можно охарактеризовать как террористические акты, при совершении которых исполнители (или исполнитель) планируют свои действия, получают руководящие указания, приезжают из других стран, спасаются бегством или ищут убежища, или получают помощь в любой форме не в той стране или странах, в которых совершаются эти действия“.

В 90-тые годы, когда международный терроризм достиг больших масштабов, возрос интерес к этой проблеме. В результате исследования международного терроризма, террологи пришли к выводу, что международный терроризм это „тайная война“, „тайные военные действия“, которых в мирное время, ведут правительства одних стран против других с целью насильственного проведения желаемой им политики (Р.

Клайн и И. Александр, Б. Дженкинс, Р. Миллер, А. Рубин, Д. Голдстик, П. Вилкинсон, И. Ляхов и др.).

Для мирового сообщества особенно опасна политика т. н. „двоиных стандартов“, когда государства, с одной стороны заявляют, что борются против терроризма, а с другой поддерживают, финансируют и способствуют проведению террористических актов. Такая тайная военная тактика становится еще более опасным, когда террор восходит в ранг государственной политики. Такую политику, в основном, проводят те государства, которые добиваются мирового влияния и контроля, хотя, спецслужбы почти большинства государств связаны с организованными-криминальными группами, или с террористическими организациями (Клайн и Александр, Дж. Макмахан, доклад комиссии сенатора Черча, Т. Арнольд и М. Кеннеди и др.).

Несмотря на существование множества дефиниции „международного терроризма“, большинство террологов считает, что приемлемое для всех определение „международного терроризма“ до сих пор не установлено, хотя ученые приходят к выводу, что: „международный терроризм – „эта тайная война“, которая, фактически, не отличается от фундаментальных принципов официально объявленной войны (саботаж, диверсия, убийства, похищение официальных лиц и др.), и которая ориентирована на:

